დაზარალებულისა და დანაშაულის მსხვერპლის სამართლებრივი და კრიმინოლოგიური ასპექტები -----	73
მიხეილ ბაძაღუა	
მოსაზრებები სისხლის სამართლის პოლიტიკის რეფორმასთან დაკავშირებით – ნულოვანი ტოლერანტობიდან რეალურ ლიბერალიზაციამდე ---	78
ეკა კენჭაძე	
ტოტალიტარული სახელმწიფოს განათლების სისტემის მოკლე ისტორიული მიმოხილვა, საქართველოს მაგალითზე -----	81
გიორგი მუხაძე	
უეცარი, ძლიერი, სულიერი აღელვების მდგომარეობაში ჩადენილი განზრახ მკვლევლობის ზოგიერთი თეორიული საკითხი -----	89
ნინო ხარაული	
განზრახ მკვლევლობის კრიმინოლოგიური დახასიათება -----	95
სოფო ბოლაშვილი	
გაუპატიურების კრიმინოლოგიური დახასიათება -----	102
სოფიკო ხუციშვილი	
არასრულწლოვანთა მიმართ ჩადენილი დანაშაულობა, საქართველო და საერთაშორისო სტანდარტები -----	112
საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს რეფორმირების უწყებათშორისი კომისიის სამუშაო ჯგუფთან კრიმინოლოგიის ინსტიტუტისა და დანაშაულობის კვლევისა და პროგნოზირების ცენტრის თანამშრომლობა -----	117
ჩვენი მილოცვები -----	127
გამოსათხოვარი -----	135
საქართველოს შსს 2012 – 2014 წლებში, 2015 წლის იანვარ – ივნისის თვეებში რეგისტრირებული დანაშაულის სტატისტიკა -----	137

Содержание

Предисловие к девятому и десятому изданиям журнала “Криминолог” -----	13
Страница Редактора -----	34
Михеил Бадзагуа, Малхаз Бадзагуа	
Общая криминологические видения Превенции преступности несовершеннолетних --	36
Инеза Иаманидзе	
Воспитание учеников в процессе демократического строительства страны -----	42
Гия Мургулия	
Служба приставов в школе -----	48
Тамар Кердзаия, Нино Пирцхалаишвили	
Издевательства в школе и их долгосрочные последствия -----	53
Марина Шакарашвили	
Гомофобия в Грузии -----	60
Малхаз Бадзагуа	
Вопросы связанные с продолжением обучения и совершенствование дальнейшего образования с Грузии в зарубежных образовательных учреждениях -----	68
Гиви Абашидзе	
Правовые и криминологические аспекты пострадавших и жертв преступления -----	73
Михеил Бадзагуа	
Размышления о реформе политики в области уголовного правосудия - от нулевой толерантности до реальной либерализации -----	78
Ека Кенчадзе	
Краткий исторический обзор системы образования в тоталитарном государстве на примере Грузии -----	81
Георгий Мухадзе	
Некоторые теоретические вопросы преднамеренно совершённого убийства в состоянии внезапного, сильного душевного волнения -----	89
Нино Хараули	
Криминологическая характеристика умышленного убийство -----	95
Софо Болашвили	
Криминологическая характеристика изнасилования -----	102

Софико Хуцишвили

Преступления совершенные в отношении к несовершеннолетним: грузинские и международные стандарты -----	112
Сотрудничество, Института криминологии и Центра по исследованию и прогнозированию преступности с рабочей группы межведомственной комиссии для реформирования МВД Грузии -----	117
Наши поздравления -----	127
Прощание -----	135
В 2012 - 2014 годах, 2015 январь - июнь статистика преступности зарегистрированная в МВД Грузии -----	137

Contents

Introduction to the ninth and tenth editions of the Journal “Ciminologist” -----	21
Editor’s Page -----	34
Mikheil Badzagua, Malkhaz Badzagua	
General criminological overview of prevention of juvenile criminality -----	36
Ineza Iamanidze	
Upbringing of schoolers in the country’s democracy-building process -----	42
Gia Murgulia	
Office of Resource Officers at school -----	48
Tamar Kerdzaia, Nino Pirtskhalaishvili	
Bulling in schools and its long-lasting effects -----	53
Marine Shakarashvili	
Homophobia in Georgia -----	60
Malkhaz Badzagua	
Issue related to continuing and furthering education from Georgia onward to foreign educational institutions -----	68
Givi Abashidze	
Legal and criminological aspects of the survivor and the victim of a crime -----	73
Mikheil Badzagua	
Reflections on the reform of the Criminal Justice Policy – from zero tolerance to real liberalization -----	78
Eka Kenchadze	
Brief historical overview of the Totalitarian state education system on Georgia’s example -----	81
Giorgi Mukhadze	
Some theoretical issues of intentionally committed murder in a state of sudden, strong emotional excitation -----	89
Nino Kharauli	
Criminological characteristic of the premeditated murder -----	95
Sopho Bolashvili	
Criminological characterization of the rape -----	102

Sopiko Khutsishvili

Criminality committed against juveniles, international and Georgian standards -----	112
Cooperation of the Institute of Criminology and the Center of Study and Prediction of crime with interagency commission working group for the reform of the Georgian Ministry of Internal Affairs -----	117
Our congratulations -----	127
Farewell -----	135
2012 - 2014, 2015 January – June crime statistics, registered in the Georgian Ministry of Internal Affairs -----	137

რედაქტორის გვერდი

130 წლის წინ იტალიელი მეცნიერების ტოპინარდოსა და გაროფალოს მიერ 1885 წელს გამოცემა მონოგრაფია “კრიმინოლოგია”, რამაც მსოფლიო საზოგადოებაში დაამკვიდრა ახალი ტერმინი, როგორც დანაშაულობის შემსწავლელი მეცნიერება.

უკანასკნელ პერიოდში თანამედროვე მსოფლიოში და ჩვენს ქვეყანაშიც სულ უფრო აქტუალურია კრიმინოლოგიის, განსაკუთრებით დანაშაულობასთან ბრძოლის პრობლემატიკა.

ამჯერად თქვენს ყურადღებას შევაჩერებთ ტერმინის შემოდებიდან 130 წლის შემდეგ დანაშაულობის შემსწავლელი მეცნიერების კრიმინოლოგიის სწავლებაში, სამეცნიერო – კვლევით საქმიანობაში, სამართლადამცავი და მართლმსაჯულების სისტემებში არსებულ თეორიულ და ტერმინოლოგიურ პრობლემურ საკითხებზე. ჩვენი ქვეყნის უმაღლეს სასწავლებლებში კრიმინოლოგიის ზოგადი ნაწილი სამართლის საბაკალავრო პროგრამით თითქმის ყველგან არის გათვალისწინებული, ხოლო სისხლის სამართლის მიმართულებით მაგისტრატურაში კრიმინოლოგიის კერძო ნაწილი სხვადასხვა კონკრეტულ დანაშაულობასთან მიმართებით ისწავლება.

საკითხის შესწავლამ დაგვანახა, რომ უმაღლეს საგანმანათლებლო და სამეცნიერო – კვლევით დაწესებულებებში კრიმინოლოგიის სწავლება და კვლევები არაერთგაროვანია, კერძოდ, მასთან დაკავშირებული ძირითადი ხედვები, ცნებები და ტერმინები მონოგრაფიულ ნაშრომებში, სახელმძღვანელოებსა და სასწავლო სილაბუსებში სხვადასხვაგვარადაა წარმოდგენილი – არის როგორც შინაარსობრივი განსხვავება, ისე ტერმინოლოგიური უზუსტობა.

აღნიშნული მდგომარეობა არაეფექტურს ხდის კრიმინოლოგიის სწავლებას, კვლევებს და მის პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენებას. მიზეზი მრავალმხრივია:

- კრიმინოლოგია, საქართველოში, პოსტსაბჭოურ და ევროპულ სახელმწიფოებში სამართლისა და სოციალური მეცნიერებების ნაწილად ითვლება, ხოლო ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ინგლისში სოციალურ მეცნიერებას განეკუთვნება; უცხოეთში განათლება მიღებული მეცნიერები და პედაგოგები რომელთა რიცხვიც წლიდან წლამდე იზრდება შესაბამის ქვეყნებში არსებული მიდგომების მიხედვით თავიანთ კვლევებში, სამეცნიერო შრომებში, სახელმძღვანელოებსა და სილაბუსებში ნერგავენ “შესაბამის კრიმინოლოგიურ” ხედვებსა და ცნებებს;
- უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის სახელმძღვანელოები შეფასების ან გრიფირების გარეშე იბეჭდება და სასწავლო – სამეცნიერო პროცესში გამოიყენება;
- უცხო ლიტერატურიდან არასწორ თარგმანს, ტერმინოლოგიურ უზუსტობას ხშირად ხელს უწყობს ქართულ ენაზე გამოცემულ იურიდიულ ლექსიკონებში კრიმინოლოგიური ცნებებისა და ტერმინების განმარტების არარსებობა, ხოლო ასეთის არსებობის შემთხვევაში ბუნდოვანება და არასისტემურობა.

კრიმინოლოგიაში არსებული ზემოაღნიშნული თეორიული და ტერმინოლოგიური პრობლემები ხელს უშლის მისი, როგორც მეცნიერების სისტემურ განვითარებასა და სწავლების ხარისხს. ამის გათვალისწინებით გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის კრიმინოლოგიის სამეცნიერო – კვლევითი ინსტიტუტი გამოდის ინიციატივით შემუშავდეს კრიმინოლოგიის, როგორც სასწავლო დისციპლინის სტანდარტი, დადგინდეს კრიმინოლოგიაში ერთიანი მიდგომა, როგორც გამოყენებითი

მეცნიერების მიმართ, რომლის ფარგლებშიც მოხდება სახელმძღვანელოებისა და სასწავლო – მეთოდური მასალის მომზადება. ასევე, შეიქმნას კრიმინოლოგიური ცნებებისა და ტერმინების განმარტებითი ლექსიკონი. ამ მიზნით გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტში ჩამოყალიბდა კრიმინოლოგიური ცნებებისა და ტერმინების განმარტებითი ლექსიკონის შემმუშავებელი სარედაქციო საბჭო.

ვისურვებდით, მასში აქტიური მონაწილეობა მიიღონ ქვეყნის უმაღლესმა საგანმანათლებლო, სამეცნიერო – კვლევითმა დაწესებულებებმა და კრიმინოლოგიასთან დაკავშირებულმა სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციებმა, რის თაობაზეც 2015 წლის 16 ივნისს მიემართეთ საქართველოს იუსტიციის, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროებს.

მალხაზ ბაძაგუა

ჟურნალ “კრიმინოლოგის” მთავარი რედაქტორი,
კრიმინოლოგიის სამეცნიერო – კვლევითი
ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი

რედაქტორის გვერდი

რეზიუმე

განხილულია დანაშაულობის შემსწავლელი მეცნიერების - “კრიმინოლოგიის” სწავლების, სამეცნიერო – კვლევით და პრაქტიკულ საქმიანობაში არსებულ თეორიულ და ტერმინოლოგიურ პრობლემურ საკითხებზე.

ამ მიზნით გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტში ჩამოყალიბდა კრიმინოლოგიური ცნებებისა და ტერმინების განმარტებითი ლექსიკონის შემმუშავებელი სარედაქციო საბჭო.

ვისურვებდით, მასში აქტიური მონაწილეობა მიიღონ ქვეყნის უმაღლესმა საგანმანათლებლო, სამეცნიერო – კვლევითმა დაწესებულებებმა და კრიმინოლოგიასთან დაკავშირებულმა სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციებმა.

Малхаз Бадзагуа

Страница Редактора

Резюме

На странице редактора рассмотрены теоретические и терминологические проблемные вопросы обучения “Криминологии” как наука о преступности

С этой целью, был создан редакционный совет по составлению толкового крим-инологического словаря

Мы желаем, чтобы в создании словаря активно участвовали образовательные, научно – исследовательские учреждения страны, государственные и неправительственные организаций связанные с Криминологией.

Editor's Page

Summary

Editor's page discusses the theoretical and terminological issues related to Science of Criminology", the study of crime and criminality, empirical researches and the practical activities.

For this purpose at Grigol Robakidze's University editorial council was established for preparation of descriptive dictionary of criminology concepts and definitions.

We wish for active participation in this initiative of country's higher education, scientific - research institutions and State and non-governmental organizations interested in the field of criminology.

მიხეილ ბაძაგუა

მალხაზ ბაძაგუა

არასრულწლოვანთა დანაშაულობის პრევენციის ზოგადი

კრიმინოლოგიურ ხედვები

თემა "არასრულწლოვანთა დანაშაულობის პრევენციის ზოგადი კრიმინოლოგიური ხედვები" ტრადიციულად აქტუალურია, ჯერ კიდევ XVIII საუკუნეში იტალიელი მეცნიერი, კრიმინოლოგიის ერთ-ერთი ფუძემდებელი ჩეზარე ბეკარია თავის მონოგრაფიაში, "დანაშაულობა და სასჯელი" წერდა: "გნებავთ დანაშაულის თავიდან აცილება? გააკეთეთ ისე, რომ განათლება ვითარდებოდეს ხელისხელ ჩაკიდებული, თავისუფლებასთან ერთად..."

ჩვენთვის ცნობილია, რომ 1955 წლიდან დღემდე ყოველ ხუთ წელიწადში გაერთიანებული ერების ორგანიზაცია დანაშაულთან ბრძოლის კონგრესს ატარებს, ერთ-ერთი პირველი კონგრესი დანაშაულს და დანაშაულის თავიდან აცილებას მიეძღვნა.

მსოფლიოს სისხლის სამართლის და კრიმინოლოგიის ინსტიტუტებში არასრულწლოვანთა დანაშაულის პრობლემებზე არაერთი ღრმა მონოგრაფიული კვლევაა განხორციელებული. XX საუკუნის 60-70 იან წლებში არასრულწლოვანთა დანაშაულობის პრობლემებით ქართველი მეცნიერებიც დაინტერესდნენ, მიუძღვნეს სამეცნიერო-პრაქტიკული კვლევები, მათ შორის პროფესორებმა: მზია ლეკვეიშვილმა, ირაკლი გოძიაშვილმა, გიორგი თოდრიამ, ა.წ გარდაცვლილმა პროფესორებმა: ანზორ გაბიანმა, ზაურ წულაიამ, გივი ყვარელაშვილმა და სხვებმა. არასრულწლოვანთა დანაშაულობის პრობლემებზე ჩვენს ქვეყანაში დაცულია ათობით დისერტაცია.

ა.ა.ი.პ "დანაშაულობის კვლევისა და პროგნოზირების ცენტრი" მისი დაარსებიდან (2001წლიდან) დღემდე მნიშვნელოვან კვლევებს ანხორციელებს, არასრულწლოვანთა დანაშაულობის მიზეზებისა და პირობების შესწავლის, მისი თავიდან აცილების გზების განსასაზღვრავად. კვლევებით დასტურდება, რომ მიზეზთა შორის სამართლებრივს ჭარბობს სოციალური პრობლემები, განსაკუთრებით ეს შეიმჩნევა საზოგადოებაში: ოჯახში, ქუჩაში, განათლების სიტყმაში და სხვა.

გასულ საუკუნეში, საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის მიუხედავად, ხელისუფლებისაგან არასრულწლოვანთა დანაშაულობის საკითხებს ცენტრალურ და ადგილობრივ დონეზე განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა, შექმნილი იყო სპეციალური კანონმდებლობა, სისტემები და სტრუქტურები სამართლებრივი, სოციალური, საგანმანათლებლო და აღმზრდელობითი პრობლემების გადასაწყვეტად. ქვეყნის საკანონმდებლო (უმაღლესი საბჭო) და ადგილობრივ (საოლქო, საქალაქო და რაიონული) საბჭოებში ფუნქციონირებდა არასრულწლოვანთა პრობლემების შემსწავლელი სპეციალური კომისიები, ხოლო აღმასრულებელ სტრუქტურებში შინაგან საქმეთა სამინისტროსა და პროკურატურის სისტემაში არასრულწლოვანთა ხაზით შექმნილი იყო სპეციალური სამსახურები, პოლიციის არასრულწლოვანთა ინსპექციები. არასრულწლოვანთა მიმღებ-გამანაწილებლები და პროკურატურის თანაშემწეები არასრულწლოვანთა ხაზით. საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ქალაქებსა და რაიონების საბინაო-საექსპორტაციო კანტორებში ფუნქციონირებდა აღმზრდელი - ორგანიზატორის საშტატო ერთეულები.

განათლების სისტემაში: სკოლაში ფუნქციონირებდა კლასგარეშე და სკოლის-გარეშე მუშაობის დარგში დირექტორის მოადგილისა და კლასის დამრიგებლის ინსტიტუტები: ე.წ. პიონერთა ხელმძღვანელთან ერთად.

პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლებში - აღმზრდელით დარგში დირექტორის მოადგილის და აღმზრდელთა ინსტიტუტები.

უმაღლეს სასწავლებლებში - აღმზრდელით დარგში პრორექტორის და აღმზრდელით დარგში ფაკულტეტის დეკანის მოადგილის ინსტიტუტები და ა.შ

დამოუკიდებელ საქართველოს პირობებში საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის ბრძანებულებით 2004 წლამდე მოქმედებდა არასრულწლოვანთა დაცვის, განვითარებისა და საზოგადოებასთან ადაპტაციის სახელმწიფო პროგრამა, თუმცა ზემო აღნიშნულმა აღმზრდელითა ინსტიტუტებმა არასრულწლოვანებთან ქვეყანაში არასისტემური მუშაობის და სხვა მიზეზების გამო თანმიმდევრულად დაკარგეს ფუნქცია.

“ვარდების რევოლუციის” შემდგომ ნულოვანი ტოლერანტობის ლოზუნგით, დანაშაულის წინააღმდეგ მებრძოლმა ხელისუფლებამ მთლიანად გააუქმა აღმზრდელითი ინსტიტუტები, კრიმინოლოგიური აზროვნების გაუთვალისწინებლად ახორციელებდა დანაშაულობის წინააღმდეგ რეპრესიულ პოლიტიკას და ამ კუთხით შეეხო არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საკითხს. კერძოდ საქართველოს პარლამენტის გადაწყვეტილებით 2007 წლის 23 მაისს სისხლის სამართლის კოდექსში შევიდა ცვლილებები და დანაშაულის პასუხისმგებლობამ არასრულწლოვანებში 14დან-12 წლამდე დაიწია.

აღნიშნულ საკითხზე 2007 წლის 28 ნოემბერს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტმა და დანაშაულობის კვლევისა და პროგნოზირების ცენტრმა საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს მხარდაჭერით “ახალგაზრდობა დანაშაულობის წინააღმდეგ” პროექტის ფარგლებში გამართა მრგვალი მაგიდა თემაზე “არასრულწლოვანი და დანაშაულობა” სადაც გააპროტესტა ხელისუფლების გადაწყვეტილება.

აღნიშნულ მრგვალ მაგიდაზე წარმოდგენილი მოხსენებებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია პროფესორების: ოთარ გამყრელიძის, გიორგი თოდრიას, გიორგი ღლონტის, მარინა კვაჭაძის, ირმა მანჯავიძის, მარინე შაქარაშვილის და სხვების მოხსენებები. რამდენადაც გასაკვირი არ უნდა იყოს იმუამინდელ ხელისუფლებაზე საზოგადოების ზეწოლამ შედეგი გამოიღო, სხვებთან ერთად საქართველოს პარლამენტში წარგდენილი, ჩვენი შენიშვნები და რეკომენდაციები გათვალისწინებული

იქნა (1) არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ასაკი ძველ ნიშნულს დაუბრუნდა.

საზოგადოებაში დაგროვილმა პრობლემებმა, მათ შორის ხელისუფლების დანაშაულობის წინააღმდეგ ბრძოლის არასწორმა პოლიტიკამ მოიტანა 2012 წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შედეგები, რამაც ყველა ჩვენთაგანს გარკვეულად საშუალება მოგვცა საზოგადოებაში არსებული პრობლემების ხელისუფლებამდე მიტანის. 2013 წლის დეკემბერში, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიამ ჩაატარა სამეცნიერო კონფერენცია “საქართველოს განათლების რეფორმების მეცნიერული მართვის პრობლემები”. ცხრა წლიანი პაუზის შემდეგ აკადემიის ეგიდით ჩატარებულ კონფერენციაში აქტიურად მონაწილეობდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. სექციურ მუშაობაზე დისკუსია გაიმართა მოხსენებაზე “განათლების რეფორმა და საგანმანათლებლო დაწესებულებებში მანდატურის სამსახურის პერსპექტივები”(2) რომლის განხილვის პროცესში დაიბადა იდეა სპეციალური მრგვალი მაგიდა თემაზე: “დანაშაულობის პრევენციის მექანიზმები განათლების სისტემაში” ჩატარების თაობაზე, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის კრიმინოლოგიის ინსტიტუტის ორგანიზებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის და თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის მეცნიერებისა და პრაქტიკოსების მონაწილეობით. მრგვალი მაგიდის მიზანი იყო განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმების ხელშეწყობა, უსაფრთხოების განმტკიცება, სასწავლო-აღმზრდელობითი ინსტიტუტების განვითარება და ეფექტურობის გაზრდა, არასრულწლოვანთა დანაშაულობის პრევენციის მექანიზმის ძიება, საგანმანათლებლო დაწესებულებებში მანდატურის სამსახურის პერსპექტივები, სამართალდამცავ სტრუქტურებთან თანამშრომლობა და სხვა. შეკითხვაზე საზოგადოების მხრიდან პასუხის გაცემა ”აღზრდა თუ სასჯელი”.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის დახვეწა და თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოება საქართველოს ხელისუფლების ერთ-ერთი პრიორიტეტია, ამ მიმართულებით არასრულწლოვანთა დანაშაულობის პრევენცია, სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის ალტერნატიული მექანიზმების განრიდებისა და მედიაციის დანერგვა და ფართოდ გამოყენება.

მნიშვნელოვანია არასრულწლოვანებს შორის დანაშაულობის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის კუთხით გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშვთა ფონდის (იუნისეფის) ინიციატივა უმაღლეს სასწავლებლების სამართლის სკოლებში სასწავლო კურსის “მართლმსაჯულება ბავშვებისათვის” ბაკალავრიატსა და მაგისტრატურაში შემოღების თაობაზე, რომლის მიზანია: სტუდენტების სწავლება და უნარ-ჩვევების გამომუშავება: - კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვებთან მიმართებაში საერთაშორისო ჩარჩოს შესახებ:

- ბავშვის (როგორც დამნაშავე ასევე დაზარალებული) მიმართ გულისხმიერი კეთილგანწყობილი მიდგომის შესახებ;
- ბავშვთა უფლებების დაცვის პერსპექტივის კუთხით ქვეყნის შიდა სისტემის და არსებული პრაქტიკის შეფასების საშუალება;
- ქვეყნის სამართლის სისტემით გათვალისწინებული ბავშვთა მიმართ არსებული დამოკიდებულებების, კრიტიკულად შეფასებისა და შესაძლო რეფორმებზე დაფიქსირების საშუალება და სხვა(3).

საბოლოო ჯამში ქვეყნის აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებაში არასრულწლოვანთა – ბავშვთა სპეციალიზირებული ავტონომიური სტრუქტურების ჩამოყალიბება და ფუნქციონირებისათვის შესაბამისი კადრების - ადამიანთა რესურსების მომზადების წინაპირობის შექმნა.

საინტერესო სისტემური ეტაპობრივი რეფორმები მიმდინარეობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მანდატურის სამსახურში, სკოლებში,

დამრიგებლის და მშობელთა ინსტიტუტების მიმართულებით. კერძოდ 2013 წლის დასაწყისში მანდატურის სამსახურში შეიქმნა ფსიქო-სოციალური ცენტრი. დაგეგმილია მანდატურს გადაერქვას სახელი ბავშვთა დაცვის ოფიცერი, რომელსაც დაეკისრება როგორც ფიზიკური, ფსიქიკური, ფსიქოლოგიური უსაფრთხოება, მცირე კონფლიქტების მოგვარება და მედიაცია.

მოსწავლეებს, მასწავლებლებსა და მშობლებს შორის ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით ანალოგიური მოვალეობებია გათვალისწინებული დამრიგებლებთან დაკავშირებით. ასევე მშობელთა ჩართულობა სასკოლო ცხოვრებაში და შვილის აღზრდაში სასკოლო სივრცის მიღმა.

გამომდინარე აქედან მიზანშეწონილია სკოლებში შემოდებული იქნეს დირექტორის მოადგილის ინსტიტუტი, რომელიც იმუშავებს მანდატურის ინსტიტუტთან, დამრიგებელთან და მშობელთან. რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა კლასგარეშე სასკოლო სივრცის მიღმა საქმიანობას, მშობელთან, დამრიგებელთან და მანდატურთან. რაც შეეხება მანდატურის ინსტიტუტს მისი სტატუსი და ფუნქცია უნდა იქნეს განხილული არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების რეფორმის ფარგლებში არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებისა და სამართალდამცავი სტრუქტურების ჩამოყალიბებასთან ერთად.

საზოგადოებაში ხშირად ისმის რიტორიკული კითხვა: გვეშველება რამე? პასუხი ერთია არაფერი გვეშველება სანამ წმინდა დავით აღმაშენებლის და მისი აღმზრდელის წმინდა გიორგი ჭყონდიდელის მოღვაწეობის დარად საზოგადოებაში, სახელმწიფოებრივ აზროვნებას და აღმზრდელობით ინსტიტუტებს არ ავამაღლებთ.

2014 წლის სააღდგმო ეპისტოლეში სრულიად საქართველოს კათოლიკოს - პატრიარქი ილია მეორე აღნიშნავს: “პიროვნების სწორად ჩამოყალიბება დამოკიდებულია ოჯახში აღზრდაზე. ეს გარემო სასწავლებელთან და ეკლესიასთან ერთად გადამწყვეტ როლს ასრულებს ახალგაზრდის ფორმირებაში... ბევრი მიეჩნია უშრომელად ან შედარებით იოლი საქმიანობით თავის გატანას და აღარ ეძებს სხვა გზებს მდგომარეობის გამოსასწორებლად; ამასთან თუ ერთხელ არ გაუმართლა მცდელობამ უიმედობა იპყრობს, დეპრესიული ხდება და იწყებს ცხოვრების კიბეზე კიდევ უფრო დაბლა დაშვებას. ამიტომაც გამრავლდა ნარკომანია, ლოთობა, ქურდობა, მკვლელობა, აღვირახსნილობა..., ეს ყველაფერი არასწორი აღზრდის შედეგია.”(4)

ამრიგად მიმდინარე წელს განათლებისა და აღზრდის საკითხები ჩვენი საზოგადოებისათვის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი უნდა იყოს, მრგვალი მაგიდის მონაწილეებს, გამომსვლელებს მე მინდა ვუთხრა, რომ დღეს განხილული საკითხები, გამოქვეყნდება ჟურნალ “კრიმინოლოგიის” მეცხრე ნომერში, რომელიც სარედაქციო კოლეგიის წევრის, პროფესორ ანზორ გაბიანის ინიციატივით მიქმდნება პროფესორ ოთარ გამყრელიძეს, ხოლო ჩვენს მიერ მიღებული დასკვნითი რეკომენდაციები ეცნობება შესაბამის სახელისუფლებო სტრუქტურებს.

მიხეილ ბაძაღუა

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი, სამართლის დოქტორი

მალსაზ ბაძაღუა

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის
კრიმინოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი,
იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

გამოყენებული ლიტერატურა:

1. სამეცნიერო პრაქტიკული ჟურნალი “კრიმინოლოგი”, 1(2) ქ. თბილისი 2008წ.
2. მაღსაზ ბაძაღუა, ეკა კენჭაძე “განათლების რეფორმა და საგანმანათლებლო დაწესებულებებში მანდატურის სამსახურის პერსპექტივები”, სამეცნიერო კონფერენცია “საქართველოში განათლების რეფორმირების მეცნიერული მართვის პერსპექტივები”, თეზისები ქ. თბილისი 2013წ., გვ.15
3. “მართლმსაჯულება ბავშვებისათვის”, საუნივერსიტეტო კურსი, გაეროს ბავშვთა ფონდი, 2013 წელი
4. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის 2014 წლის “საადღგომო ეპისტოლე”. გვ.12-15.

მიხეილ ბაძაღუა

მაღსაზ ბაძაღუა

არასრულწლოვანთა დანაშაულობის პრევენციის ზოგადი

კრიმინოლოგიური ხედვები

რეზიუმე

ნაშრომში განხილულია არასრულწლოვანთა დანაშაულობის პრევენციის ზოგადი კრიმინოლოგიური ხედვები, ისტორიულ, სამართლებრივ და ეროვნულ ფორმატში. შეფასებულია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის ფორმირებაში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშვთა ფონდის “იუნისეფის” მიერ მომზადებული უმაღლესი სასწავლებლების სამართლის სკოლებისათვის სპეციალური სასწავლო კურსი “მართლმსაჯულება ბავშვებისათვის”.

მოცემულია რეკომენდაციები – სკოლებში აღმზრდელობითი ინსტიტუტების შემოღების და მანდატურის ინსტიტუტის სტატუსისა და ფუნქციის არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემაში განხილვის თაობაზე.

ასევე მოცემულია სრულიად საქართველოს კათოლიკოს – პატრიარქის ილია მეორეს ქადაგება ოჯახში აღზრდის მნიშვნელობაზე.

Михеил Бадзагуа

Малхаз Бадзагуа

Общая криминологическое видение Превенции преступности несовершеннолетних

Резюме

В статье рассмотрено общее криминологическое видение превенции преступности несовершеннолетних, в историческом, правовом международном и национальном формате. Дана оценка в формировании системы правосудия несовершеннолетних специального курса «Справедливость для детей» подготовленного детским фондом «ЮНИСЕФ» Организации Объединенных Наций, для выших образовательных учреждений.

Дана рекомендация – о внесении данного курса в программы средних школ, рассмотрен статус и функция института приставов в системе правосудия несовершеннолетних.

Представлена проповедь Католикоса – Патриарха всея Грузии Илья II-го о значении воспитания в семье.

Mikheil Badzagua

Malkhaz Badzagua

General criminological overviews of prevention of the Juvenile criminality

Summary

The work reviews general perspectives of juvenile crime prevention in the historical, legal, and national format. Special training course “Justice for Children” prepared by UNICEF for law schools of higher education institutions is assessed in terms of its role in the development of juvenile justice system in Georgia.

Recommendations are given to establish upbringing institutes in the schools and about consideration in the juvenile justice system of the resource officer institutes status and functions. There is also given preaching by the Catholicos – Patriarch of all Georgia Ilia II on the role of family upbringing.

მოსწავლეთა აღზრდა ქვეყნის

დემოკრატიული მშენებლობის პროცესში

ათ წელზე მეტია, რაც საქართველოს განათლების სისტემაში რეფორმა მიმდინარეობს. ქვეყანაში ახალი ეტაპი დაიწყო, როცა საქართველოს მაშინდელმა მთავრობამ დაამტკიცა რეფორმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დოკუმენტი - „ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები“, რომელსაც უნდა განესაზღვრა, სახელმწიფო დონეზე, თუ რას ემსახურება განათლება - კონკრეტულად კი სკოლა.

ზემო აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით, დაკვეთა განათლებაზე ასეთია - „ქვეყანაში განათლების სისტემა მიზნად ისახავს, შექმნას ხელსაყრელი პირობები ეროვნული და ზოგადსაქოცობრიო ღირებულებების მატარებელი თავისუფალი პიროვნების ჩამოყალიბებისათვის“. არაფერს ამბობს პროცესზე, როგორ აწარმოო პროდუქტი, რა ხერხებით, მეთოდებითა და მექანიზმებით მიიღწევა შედეგი.

ასე, რომ სისტემაში მექანიზმების ნაკლებობა ქმნის საშიშროებას, სკოლა იპოვის თუ არა იმ გზას, რომლითაც საზოგადოებისათვის სასურველი პიროვნება - სისტემის სრულქმნილი პროდუქტი იქნება თუ არა.

ისიც ცნობილია, რომ რაციონალურად დაგეგმილი ცვლილებების გარეშე მაღალი ხარისხის განათლება არ მიიღწევა. მიმდინარე პროცესში, განათლების შედეგების განსაზღვრა, სრულიად შეუძლებელია დიაგნოსტიკური ხასიათის კვლევების, პროცესის სისტემატიური მონიტორინგის გარეშე, რაც ქმნის საშიშროებას მხედველობიდან გამოგვრჩევს წარუმატებლობა მთლიან სისტემაში ან მის სხვადასხვა მნიშვნელოვან მიმართულებებში - მათ შორის აღზრდაში.

ამგვარი მაშტაბური რეფორმა აუცილებლად მოითხოვდა რეფორმის ინდიკატორების განსაზღვრას და პროცესის სისტემატიურ მონიტორინგს, წარუმატებლობისაგან დასაზღვევად. რაც არ განხორციელებულა და რომ არა საერთაშორისო საგანმანათლებლო კვლევები, ჩვენ წარმოდგენაც კი არ გვექნებოდა შედეგებზე სწავლებაში. კერძოდ იმის შესახებ, რომ 2006 – 2011 წლების შედეგების მიხედვით კვლევაში მონაწილე 45 ქვეყნიდან საქართველო 37-ე ადგილზეა და რომ ამ მონაცემებით სხვა პოსტსაბჭოურ ქვეყნებთან შედარებით ყველაზე უარესი შედეგები გვაქვს. ჩვენს შემდეგ არიან სამხრეთ აფრიკა, კუვეიტი, კატარი.

ახლა კი მინდა მიუბრუნდე აღზრდის საკითხებს, რომელმაც ფაქტიურად სადღეისოდ შეცვალა სკოლის მისია, მაგრამ ამის შესახებ ისევ და ისევ ბევრი არაფერი იცის პედაგოგიურმა საზოგადოებამ, რაც ქვეყნის სისტემის ხელმძღვანელ მუშაკთა არაკომპეტენტურობითაა გამოწვეული.

არავინ სვამს კითხვას რას ნიშნავს აღზრდა ქვეყნის დემოკრატიული მშენებლობის პროცესში? უნდა წარიმართოს თუ არა 21-ე საუკუნის დემოკრატიული განათლება, საერთაშორისო მოქალაქის აღზრდის გლობალურ ასპექტებში? ანუ საქმე ეხება თუ არა, აღზრდაში იგივე ღირებულებებს, რაც არსებობდა აქამდე, თუ დადგა დრო, როცა საზოგადოება უნდა შეთანხმდეს ახალზე. ამ საკითხებზე კამათი საზოგადოებაში განუწყვეტლივ უნდა მიმდინარეობდეს. შეთანხმებაა საჭირო სკოლაში აღზრდა ეროვნულ საწყისებზე უნდა განხორციელდეს, თუ აუცილებლად უნდა გაცდეს ეროვნულ ჩარჩოებს.

გლობალიზაციამ ტრადიციულ სკოლას საფუძველი გამოაცალა და დადგა აუცილებლობა აღზრდაში ერთ-ერთი მიმართულება საერთაშორისო მოქალაქის

აღზრდას უნდა ემსახურებოდეს. ასე რომ სიტუაცია პრობლემურია, პოზიცია რთულია, ამიტომაც დუმილს ამჯობინებენ რეფორმის მამები და ამიტომაც, თითქმის არ არსებობს ღირებულებებსა და მათ დეფინიციაზე კამათი არა თუ საზოგადოებაში, არამედ სისტემაშიც კი.

არა და ფაქტი ერთია - საზოგადოებისთვის გამოცანად რჩება, ვინ უნდა „გამოუშვას“ ამ რეფორმით მომუშავე ქართულმა სკოლამ. არ ჩანს თანამედროვე იდეალებისა და ეროვნულობის კონკრეტული თემები. ასევე სრულიად არ არის განსაზღვრული სკოლის ერთ-ერთი უმთავრესი ფუნქცია - აღზრდა, აღზრდის უპირატესობა, აღზრდის პრიორიტეტები.

რეფორმატორებს ყურადღებიდან გამორჩათ ის პრობლემური სიტუაცია, რომელშიც ცხოვრობს დღევანდელი თაობა, ეს არის კარდინალურად განსხვავებული ორი ეპოქა. საბჭოური და ახალი - დემოკრატიული საზოგადოების მშენებლობის პროცესი. არ არსებობს თეორიები სწავლებასა და აღზრდაში, რომელიც ყველა ეპოქაში ვარგისია. დროის ფაქტორი არსებითია. მოგეხსენებათ, აღზრდის სისტემის პირველი რგოლი ოჯახია, მაგრამ დღეს მისი ავტონომიურობა და ტრადიციები დაადვია გარემოში მიმდინარე პროცესებმა, რომლებიც მხოლოდ ხელისშემშლელი აღმოჩნდნენ, აღსაზრდელის ზნეობრივი და ეროვნული ღირებულებების ჩამოყალიბების პროცესში.

ასე, რომ საქმე მარტივად არ არის. ჩვენი საზოგადოება სიტყვა „ღირებულებების“ აღქმის საკითხებში ძალიან არაერთგვაროვანია. ნაკლებად ჩანს რაიმე თანხმობა, ღირებულებათა რა სისტემა ვაღიაროთ, როგორც ჩვენი იდენტობის საყრდენი, მომავალი თაობის ზნეობრივ ორიენტირად - ლგბტ საზოგადოებისა და სხვადასხვა უმცირესობების ინტერესების დაცვა, თუ ბრძოლა გამოუცხადოთ მათ?

ამას გარდა, მრავლად შეიძლება მაგალითების მოყვანა იმის შესახებ, რომ საზოგადოების ამ ეტაპზე არსებობს გარკვეული აცდენები და დისონანსები ღირებულებების დეფინიციისა. თუმცა არის საკითხები: ოჯახური ტრადიციები; პატრიოტიზმი (სიტყვა, რომლის ხსენებაც არ არის „ზოგადი განათლების“ შესახებ კანონში); ეროვნული კულტურა, რომელთა მიწოდება მოსწავლეთათვის ხდება პედაგოგების მიერ და რომლებიც ეროვნულ სასწავლო გეგმაში არის ასახული. ეს ღირებულებებიც ბეწვის ხიდზე გადის და უნდა ვეცადოთ ისინი მომავალი თაობების ცხოვრების განმსაზღვრელ ფასეულობებად დარჩნენ და იდეოლოგიურ იარაღად არ იქცნენ.

მარტივი გამოსავალი იქნება თუ ვიტყვით, რომ ქვეყანაში აღზრდის კონცეფცია არ არსებობს და ამიტომ სკოლას მინიმალური როლი ენიჭება მოზარდის ღირებულებათა სისტემის შექმნაში - ამ შემთხვევაში ხომ იგი ფუნქცია აყრილ ინსტიტუტად რჩება სისტემაში, ისეთ მნიშვნელოვან საკითხში როგორიცაა აღზრდის საკითხი. პარადოქსია!!!

უბედურებას ისიც ემატება, რომ არის მცდელობა იმისა, დავივიწყოთ დედა ენა, მამული, სარწმუნოება, სამშობლო, სულიერება, ეროვნულობა და ბოლოს გზა აღარ არის უნდა ვაღიაროთ, რომ ეს დემოკრატია და მის ოპონენტთა შორის გამართული საშინელი კონფლიქტების ეპოქაა. ქართულმა სკოლამ ამ კატაკლიზმებს თავი ვერ გაართვა და 21-ე საუკუნის საგანმანათლებლო სივრცის გარეთ აღმოჩნდა.

მოსწავლეებში იმატა აგრესიამ, ხშირია კონფლიქტები, აღვირახსნილობა, ნარკომანია, რომლებიც ხშირად არც თუ სახარბიელო შედეგებით მთავრდება, ეს ყველაფერი არასწორი აღზრდის შედეგია და რომლის აღმოფხვრისათვის სრულიად არ არის საკმარისი ის ღონისძიებები, რომლებიც დღევანდელ განათლების სისტემაში ტარდება.

ასეთ ვითარებაში, საქ. განათლების მეცნიერებათა აკადემიის მცდელობა შექმნას რეკომენდაციები, რომელიც ხელს შეუწყობს ახალი თაობის მოსწავლე ახალგაზრდობის აღზრდის საქმეს, კონკრეტულად, დანაშაულის პრევენციას პედაგოგიური ანალიზის საფუძველზე აუცილებელი და გადაუდებელი საკითხია.

აკადემიის მიერ საფუძველი ეყრება ახალ მიმართულებას განათლების სისტემაში, იურიდიულ პედაგოგიკას, რაც ჩვენი აზრით, მეტად მიგნებული მექანიზმი აღმოჩნდება მოსწავლეთა დანაშაულის პრევენციის საქმეში.

ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს თუ ნამდვილ სახელს დავარქმევთ, შეიძლება გაგვიჭირდეს მართვის ორიენტირის მიგნება. გამოსავალი ერთადერთია, ხელისუფლებამ უნდა აღიაროს, რომ საზოგადოებას უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს განათლებაში მიმდინარე საკითხების გადაწყვეტისას. აუცილებელია მოხდეს საკანონმდებლო ბაზის სერიოზული რევიზია და ამის შემდეგ აღზრდაში ჩაიდოს კანონის დაცვისა და მისი პატივისცემის უნარ - ჩვევა, მითუმეტეს მაშინ, როცა ვაშენებთ სამოქალაქო საზოგადოებას.

მშენებელი ხელისუფლებაა, მაგრამ ხელისუფლებები დროებითია, მუდმივია ისტორიული მეხსიერება, რომელიც არ დაივიწყებს იმას, რომ წინა ხელისუფლებამ მიიმედ დააბინძურა გარემო, არა მარტო სამართლებლივად, არამედ ზნეობრივად სამორინეებით, ღამისა და სტრიპტიზ ბარებით, ცოტალიზატორებით. სავსებით ნათელია, რომ ძალადობრივ, უხამს გადაცემებზე და ფილმებზე აღზრდილი თაობა ჯანსაღ ატმოსფეროს ვერ შექმნის და რომ, ამ გარემოში ძალიან გაუჭირდება ქართულ სკოლას - აღზარდოს სამოქალაქო საზოგადოებისათვის სრულფასოვანი მოქალაქე, რომელიც ჯანსაღი ცხოვრების წესით იცხოვრებს. ამაზე პასუხი უნდა აგოს ვიღაცამ და არა მხოლოდ სკოლამ. ისიც უნდა ითქვას, რომ გარემო და ელექტრონული მედია, ხშირად გადაცდომების მიზეზი ხდება, რასაც დაფიქრება სჭირდება.

ზემოაღნიშნულ კატაკლიზმებში სკოლამ გარდა იმისა, რომ პიროვნების ფორმირებაში გადამწყვეტი როლი და ფუნქცია დაკარგა, არა ერთი საერთაშორისო კვლევის შედეგით, როგორც უკვე აღვნიშნეთ, უკიდურესად ბოლო ადგილზე აღმოჩნდა. ჩვენ ვამბობთ, რომ მოსწავლეებმა დაკარგეს სწავლის ინტერესი - ნაცვლად იმისა, რომ ვთქვათ - დღეს ჩვენ როგორც სისტემა, ვერ უზრუნველყოფთ მათ სწავლებასა და აღზრდას განათლების ერთ-ერთი საუკეთესო ტრადიციების მქონე ქვეყანაში.

„სახელმწიფო ვალდებულია დაიცვას თავისი მოქალაქე სულიერი აგრესიისაგან - ბრძანებს პატრიარქი- რომ სექტების მოქმედება უკვე ანტიეროვნულ სახეს იღებს, მათი ძირგამომთხრელი საქმიანობა არა მარტო არ იზღუდება, არამედ კიდევ უფრო მეტად აკანონებენ მათ უფლებებს და მათ წინააღმდეგ მიმართულ აქციებს კრძალავენ. არის სექტები, რომლებიც საფრთხეს უქმნიან ადამიანის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, საზოგადოებას და საერთოდ ქვეყანას“. არავინ იცის რამდენი მოსწავლე და ახალგაზრდაა გაერთიანებული სადღეისოდ ამ სექტებში. ამ საკითხის სრულყოფილი ანალიზი, ვრცელ გამოკვლევას მოითხოვს, მაგრამ კანონი უმცირესობათა შესახებ ამას კრძალავს, არადა გარდა სულიერი გადაგვარებისა, სექტების მონაწილეები, ხშირად სისხლის სამართლის დონის დანაშაულის ჩამდენები ხდებიან მოქცეულნი ფანატიზმის ზემოქმედების ქვეშ.

ქვეყანაში, სადაც გარემო გაჯერებულია პიარტექნოლოგიებით, სადაც კარგადაა აპრობირებული ახალი ტიპის ოკუპაცია ინტერნეტისა და საინფორმაციო საშუალებებით ცხადია ადვილი არ არის გზის გაკვლევა. „ისიც უნდა იცოდეს, როგორ აპირებ საითმე წასვლას“, რაც სადღეისოდ გაურკვეველია. გაურკვეველობას ქმნის „კომუნიკაციების ეროვნულ ბიურო“, რომელმაც შექმნა დოკუმენტი უზნეობის, მოზარდში ეროვნული ცნობიერების სულიერი ნგრევის, ისეთი მასალების მიწოდებით როგორიცაა - ოკულტიზმის მაგინალური გავლენა მათ ცნობიერებაზე.

საინფორმაციო რევოლუციამ, ტელე კომპიუტერულმა კავშირებმა ძირეულად შეცვალა ყოფა. გლობალიზაციის პირობებში კითხვის ნიშნის ქვეშ დგება ეროვნული სახელმწიფოების შემდგომი არსებობაც კი. ასეთ პირობებში მარტივი არ არის შევინარჩუნოთ ადამიანური ეროვნული ღირებულებები. როგორი იქნება უახლესი და მომავლის შედეგები თაობათა აღზრდის საქმეში რთული არ არის პროგნოზირება. ის რაც დღეს ხდება აღზრდის სფეროში - ცუდი საწყისია ერის მომავლისათვის.

ცდება ვინც ფიქრობს, რომ ამ სირთულეების მოგვარება შეეძლო ან მომავალში შეეძლებს მანდატურის სამსახური. ადამიანის აღზრდას საუკუნეების პედაგოგიური გამოცდილება, განათლება, ჰუმანურობა და ბუნებით ნაბოძები ნიჭი ჭირდება, რასაც სამთვლიანი და თუ გნებავთ მეტხნიანი კურსების დამთავრება ვერ განაპირობებს. ადამიანმა, რომელმაც აღსაზრდელზე გავლენა შეიძლება იქონიოს კარგად უნდა იცნობდეს მის პიროვნებას და იმ მეცნიერებებს, რომელთა გამოყენებითაც უნდა შეძლოს მოზარდის უნარებისა და მიდრეკილებების გამომჟღავნება, ხელშეწყობა იმაში, რომ მან მართოს საკუთარი ინსტიქტები, შეძლოს განერიდოს კონფლიქტებს, და კიდევ მრავალი რამ, რაც ძალისმიერი მეთოდებით არ იმართება. აქსიომაა, რომ აღზრდის საფუძველი სიყვარულია, ვერ შეიყვარებ იმას, ვისიც გეშინია, ამიტომაც ძალადობა და სტრესი აღზრდაში მიუღებელია.

და მაინც მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ განსხვავებით პოლიციური სამსახურებისგან, მასწავლებლისა და მოსწავლის ურთიერთობები ეყრდნობა პრინციპებს - მასწავლებელი აღიარებს მოსწავლეს და პირიქით მოსწავლე აღიარებს მასწავლებლის ხელმძღვანელ როლს მისი სწავლებისა და აღზრდის საქმეში. პედაგოგია ის ვინც ყოველდღიურად ყოველ გაკვეთილზე, მოსწავლის აღზრდით წყვეტს საზოგადოების აღზრდისა და გარდაქმნის პირობლებას.

სკოლა ის ორგანიზმია, რომელშიც გამოკვეთილად და აშკარად ჩანს ის ინდივიდები, რომელთა ქცევაში შეიმჩნევა მიუღებელი ქმედებები, თავისებურებები, არასახარბიელო მიდრეკილებები - დაუდევრობების, ზოგჯერ დაუმორჩილებლობის სახით. და თუ ეს ყველაფერი რეაგირებისა და ყურადღების მიღმა დარჩა, მას შედეგად შეიძლება მძიმე დანაშაულიც კი მოყვეს. ეს რომ ასე არ მოხდეს, ამისათვის საკმარისი არ არის უსაფრთხო სკოლის დებულება ან მანდატურის სამსახური, ღირექციის, სამეთვალყურეო და პროფილაქტიკური საბჭოებისა და კომიტეტების შექმნით ასეთი მდგომარეობის პროფილაქტიკა ხშირად შეუძლებელია.

აუცილებელია სკოლაში არსებობდეს ფსიქოლოგიური სამსახური, რომელიც იქნება დანაშაულის პრევენციის ერთ-ერთი ძირითადი მექანიზმი, რათა სასწავლო აღმზრდელობით პროცესში სხვადასხვა მეთოდების გამოყენებით ხელი შეუწყოს სასწავლო პროცესში დისციპლინის ამაღლებას, რაც მაღალი აკადემიური მოსწრების საწინდარია.

დადგა დრო, რომ აღზრდას დაუბრუნოთ, ეროვნული განათლების სულიერი ფუნქცია, რის არ არსებობამაც დღეს საქმე იქამდე მიიყვანა, რომ სასულიერო პირები პარლამენტისა და მთავრობისაგან გარყვნილების პროპაგანდის აკრძალვას ითხოვენ, რათა - „დავიცვათ ჩვენი შვილები ნებისმიერი მავნე ზეგავლენისაგან და აღვზარდოთ ისინი ჩვენი ტრადიციების, ზნეობისა და რელიგიური მრწამსის შესაბამისად“.

სიტუაცია იმდენად ზღვარს გადასულია, რომ პატრიარქიც ხმას იმაღლებს და ბრძანებს „ჩვენი ყოფა უფრო დამძიმდა და დასნეულდა, რადგან მასიურად ხდება წახალისება ცოდვის პროპაგანდისა, ბოროტის შემოტევის ასეთი ფართო მასშტაბები ადრე არ იყო“.

„ . . . იერიში მიტანილი აქვთ ზნეობაზე“ წერია სააღდგომო ეპისტოლეში და საწინააღმდეგოდ ამისა პატრიარქი იმავე ეპისტოლეში გვაწვდის ღირებულება-

თა მთელ სისტემას აღზრდისას, რომლის მიხედვითაც სამართლებრივი კანონებით დაცულ სინდისს, სინდისით დაცული კანონი სჯობია. ეს ღირებულება აღსაზრდელობაში ნამდვილად სკოლამ უნდა განახორციელოს.

„მასწავლებლის სიტყვა - ყოველნაირ იარაღზე ძლიერია“ - ო ბრძანებს ბრძენთა ბრძენი სოკრატე, მაგრამ სიტუაციას ართულებს ის, რომ ძნელია დღევანდელი შეცნობა - თუმცა აქ უკვე ჰომეროსის მიხედვით უნდა ვიმოქმედოთ „ჭეშმარიტად დიდია ადამიანი, რომელმაც შეძლო თავისი დროის დაპატრონება“ - ო და ეს ადამიანი ჩვენს გვერდითაა, ეს გახლავთ საქართველოს პატრიარქი ილია II, რომელიც „დროს დაუფლებული“ გვმოძღვრავს.

„ამასთან ჩვენს თავში უნდა გავაძლიეროთ მებრძოლი სული, არ შევეგუოთ დაცემას, რამდენჯერაც არ უნდა შეგვემთხვას იგი, და ყოველთვის უნდა მოვქმედოთ ძალა ვნებათა დასათრგუნად, ასადგომად და გზის გასაგრძელებლად“.

რავა დაგვრჩენია „გაუფრთხილდეთ ჩვენს ახალგაზრდებს თუ გვინდა რომ გვექონდეს მომავალი“ ამბობდნენ დიდი ქართველები. ჩვენც მივყვეთ ისტორიულად წარმატებით ნაცად ამ გზას.

ღმერთმა მოგვანიჭოს ამის ძალა!

ინება იამანიძე

საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი

ინება იამანიძე

მოსწავლეთა აღზრდა ქვეყნის დემოკრატიული მშენებლობის პროცესში

რეზიუმე

ნაშრომში განხილულია საქართველოს განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმების საკითხები და ამ კონტექსტში: - აღზრდა 21-ე საუკუნის დემოკრატიული ქვეყნის პირობებში; - საერთაშორისო მოქალაქის აღზრდის გლობალურ ასპექტში.

მოცემულია რეკონდაციები – ქვეყანაში აღზრდის, კონცეფციის შემუშავების აუცილებლობის და ამ პროცესში საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის მონაწილეობის შესახებ.

გასათვალისწინებელია ამ მიმართულებით სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის საადღვომო ეპისტოლეში მოცემული რჩევები.

ამასთანავე დასმულია საკითხი იურიდიული პედაგოგიკის მნიშვნელობის, სკოლებში ფსიქოლოგიური სამსახურის შექმნის თაობაზე, რომელიც სხვადასხვა მეთოდოლოგიის გამოყენებით ხელს შეუწყობს სასწავლო პროცესში მოსწავლეთა მხრიდან დისციპლინის ამაღლებას, მაღალი აკადემიური მოსწრების უზრუნველსაყოფად.

Воспитание учеников в процессе демократического строительства страны

Резюме

В статье рассмотрены вопросы современных реформ в системе образования Грузии и в этом контексте; – проблемы воспитания в стране 21 века в условиях демократии; - Воспитание Международного гражданина в глобальном контексте.

Даны рекомендации – О необходимости разработки концепции воспитания в стране и участия Академии педагогических наук Грузии в этом процессе.

Дана оценка роли пасхального послания Католикоса – Патриарха всей Грузии Илии II-го в этом направлении.

В тоже время поставлен вопрос о значении юридической педагогики в создании психологической службы в школах, которая будет способствовать повышению дисциплины со стороны учеников в процессе обучения обеспечению академической успеваемости с помощью различных методов.

Ineza Iamanidze

Upbringing of schoolers in the country's democracy-building process

Summary

The work deals with ongoing reforms in the Georgia's educational system, and in this context: Upbringing of the 21st century in the democratic country conditions; - Upbringing international citizen in a global context.

The recommendations are given – on the elaboration of Concept of upbringing in the country and on the participation of the Academy of Educational Sciences of Georgia in this process.

In this respect should be considered advice and preaching given in the Easter epistle by the Catholicos – Patriarch of All Georgia Ilia II.

At the same time the question was brought up about Legal Pedagogy and the creation of psychological services in the schools, which will assist students in the learning process to raise the discipline by using various methodologies and to ensure high academic performance.

მანდატურის სამსახური სკოლაში

გაცნობიერებული წესრიგის გარეშე სკოლაში განათლების ხარისხი არ არსებობს. ეს აქსიომაა. ამდენად, ამგვარი წესრიგის უზრუნველყოფა უპირველეს ამოცანათაგანია.

განათლების სისტემამ რამდენიმე წლის წინ გააცნობიერა, რომ ამ მხრივ სერიოზული პრობლემები ჰქონდა - მოსწავლეთა ძალადობა და დისციპლინის ხშირი დარღვევა როგორც გაკვეთილებზე, ისე ამ პროცესის მიღმა მეტისმეტად თვალსაჩინო გახდა საიმისოდ, რომ ვერ შეემჩნიათ

პრობლემის გადასაჭრელად შემოდებულ იქნა მანდატურთა ინსტიტუცია. მიუხედავად იმისა, რომ ამ გადაწყვეტილებას თავიდანვე ხარვეზები ახლდა (მანდატურთა დანიშნულებისა და ფუნქციების ცენტრალიზებული თუ ადგილობრივი „გაფართოება“ სასწრაფოდ მომზადებული კადრების ნაწილის არასაკმარისი კომპეტენცია; სასკოლო საზოგადოებასთან ინსტიტუციის გაცნობასა და ადაპტაციისთვის ჩატარებული მუშაობის სიმწირე, სკოლის ადმინისტრაციასთან თანამშრომლობის ნაკლები ხარისხი...), ის მაინც აშკარად გამართლებული იყო, რადგან მეტნაკლებად მაინც უკეთესი ალტერნატივა ვერ გამოიძებნა, ოფიციალური სტატისტიკით, სკოლებში მკვეთრად შემცირდა, როგორც ძალადობა, ისე დისციპლინური დარღვევები. შედეგი მეტყველებს, რომ სისტემამ ნაბიჯი მართებული მიმართულებით გადადგა. მანდატურებმა მოახერხეს ორი მნიშვნელოვანი ფუნქციის - დანაშაულის პრევენციისა და ნებისმიერი სახის ძალადობისა და დარღვევის ფაქტობრივი აღკვეთის - შესრულება. ეს არ ნიშნავს, რომ პრობლემა სრულად გადაწყდა, მაგრამ მისი მასშტაბები ნამდვილად საგრძნობლად შემცირდა.

ხშირად, როდესაც მანდატურთა ინსტიტუციაზე საუბრობენ, მსჯელობენ, ავიწყდებათ ხოლმე, რომ მოზარდთა ძალადობის პრობლემას მხოლოდ მათი დახმარებით ვერ გადაწყვეტენ - ეს საკითხი გაცილებით კომპლექსურ გააზრებასა და მიდგომებს ითხოვს. რამდენიმე თეზისით შეგვხები მის არსს:

1. ყველა პრობლემას აქვს მიზეზი, შედეგი და გადაწყვეტის გზა. ჩვენთან, პრაქტიკულად, პირველი (მიზეზი) ნათლად გააზრებისა და იდენტიფიცირების გარეშე, აქცენტირებული იყო მხოლოდ მეორე (შედეგი) და მესამე (გადაწყვეტის გზა), რამაც ცალმხრივობამდე მიგვიყვანა. ძირითადი აქცენტი მხოლოდ მანდატურზე გადაიტანეს და „განზე“, დარჩა საოჯახო და სასკოლო არზრდის სისტემის თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისი მოდელის შექმნის ამოცანა. „ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებში“ დასახული პედაგოგიური ორიენტირების მისაღწევად სკოლებს პრაქტიკულად არანაირი სამოქმედო გეგმა არ აქვთ და მასწავლებელთა ინდივიდუალური თუ გუნდური პასუხისმგებლობა მოსწავლეთა აღზრდის თვალსაზრისით მკაფიოდ გამოკვეთილი არ არის.
2. მოზარდთა ძალადობის პრობლემა, მეტ-ნაკლები სიმწვავეთ, ყველა ქვეყანას ახასიათებს და ის „გადამწყვეტი აზრით“, არ არის დაკაშირებული ეკონომიკური კეთილდღეობის ამა თუ იმ ხარისხთან - ეს პრობლემა ისევე აწუხებს ინგლისს და იაპონიას, როგორც, მაგალითად, რუსეთში (სადაც რამდენიმე წლის წინ გამოაცხადეს რომ დიდ ქალაქებში, კრიმინოგენური თვალსაზრისით ყველაზე საშიში დაწესებულებები ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებია) ან განვითარებადი სამყაროს რომელიმე ქვეყანაში.

3. რა არის პრობლემის გამომწვევი ძირითადი მიზეზები? მოზარდთა ძალადობა და ქცევის “გადახრები“, გარდა მათი ზრდისა და განვითარების ფსიქიკური ფიზიოლოგიური ფაქტორებისა, უშუალოდ არის დაკავშირებული საზოგადოების განვითარებასთანაც. ძალიან მოკლედ თუ ვიტყვით, რა მაგალითსაც ხედავს ახალი თაობა “მამებისგან“, დიდ წილად მის “შესაბამისად“ იქცევა. ამის კლასიკური გამოხატულებაა ამერიკის პრეზიდენტის რონალდ რეიგანის მიერ ეიზენჰაუერის სახელობის კოლეჯში ნათქვამი სიტყვა. ის იხსენება, რომ მიმართავდა ერთ-ერთი საუნივერსიტეტო ქალაქის სტუდენტებს და მოსახლეობას (შეხვედრას 14000 ადამიანი ესწრებოდა) და ლაპარაკობდა ახალგაზრდებს შორის გავრცელებულ ძალადობაზე, ერთმა ხანდაზმულმა კაცმა სიტყვით გამოსვლის დასასრულს თურმე ასეთი შეკითხვა დაუსვა: “ბატონო პრეზიდენტო, რატომ ხდება ასე, რომ ჩვენ, უფროსი თაობა, ყოველდღე ვესაუბრებით ახალგაზრდებს სიკეთეზე, სიმშვიდეზე, ადამიანის სიყვარულსა და ღირსებაზე, ისინი კი მაინც ასე ცუდად იქცევიან?“ რეიგანი იხსენებს, რომ არც იცოდა, რა ეპასუხა, მაგრამ უთხრა ის, რასაც გულწრფელად ფიქრობდა იმ წამს:

“იქნებ იმიტომ, ჩემო ბატონო, რომ ჩვენ თვითონ არ ვიტყვით იმ ღირებულებათა შესაბამისად, რომლებსაც, მართლაც, ყოველდღე ვასწავლით მათ“. სკოლის მოსწავლეები კარგად ხედავენ, ადამიანთა წარმატებას (წარუმატებლობას კი არავენ ესწრაფის) ხშირად დამოკიდებულია არა მის კომპეტენციასა თუ პასუხისმგებლობაზე, არამედ სულ სხვა თვისებებზე, რომელთა რეკომენდაციაც აღზრდის არანაირ სისტემას არ შეიძლება ახასიათებდეს, არც ჩვენი საზოგადოება ამისგან თავისუფალი

სამყარომ უკვე დიდი ხანია დაასკვნა და ბოლო წლების მასშტაბური გამოკვლევებიც ადასტურებს, რომ მხოლოდ ინტელექტუალურმა აღზრდამ მსოფლიოს კარგი შედეგები ვერ მოუტანა. განათლების ყველა თეორეტიკოსი ერთხმად აღნიშნავს, რომ აუცილებელია ემოციური აღზრდაც. პიროვნების ჩამოყალიბების მწყობრი სისტემა არსებითად არც ერთ სკოლაში არ არსებობს. სკეპტიკოსებს შეუძლია დაუხსნა მხოლოდ ერთი კითხვა : რას აკეთებს თანამედროვე ქართული სკოლა საიმისოდ, რომ კარგად შეისწავლოს ჩვენი მენტალიტეტი და შესაბამისი საგანმანათლებლო პრაქტიკა მოამზადოს და დანერგოს იმისთვის, რათა ახალი თაობა უკეთესად მომზადებული აღმოჩნდეს 21-ე საუკუნის ცხოვრებისათვის? დაკონკრეტებისათვის: რას ვაკეთებთ ჩვენ საიმისოდ, რომ ბავშვების ნებისყოფა (რომლის გარეშეც პიროვნება საერთოდ არ არსებობს!) განვავითაროთ? ან იმაზე თუ ვზრუნავთ, რომ მოსწავლეებს დამოუკიდებლად გადაწყვეტილების გააზრებისა და მიღების უნარი ჩამოუწყალიბოთ? ან ჩვენი ბავშვების დროის მიმართ ადეკვატური დამოკიდებულების (რითაც ვერც უფროსი თაობა დაიკვივნის) ჩამოსაყალიბებლად რას ვაკეთებთ? -პრაქტიკულად არაფერს . ახალი თაობის აღზრდის ამოცანის რეალურმა იგნორირებამ (ეს სიტყვა აქ, სამწუხაროდ „თავის ადგილას“ არის) ცუდ შედეგებამდე მიგვიყვანა.

აღზრდის საკითხი ვერ გადაწყდება აღმზრდელთა კომპეტენციისა და პასუხისმგებლობის გარეშე. ჩვენ როგორ გვაქვს საქმე? - ძალიან არასახარბიელოდ. მასწავლებელთა მოტივაცია უკიდურესად დაბალია, ხოლო მათი საუნივერსიტეტო მომზადებისა თუ შემდგომი პროფესიული განვითარების სისტემა სათანადოდ ეფექტური არ არის. ჩვენი სკოლა, სამწუხაროდ, საზოგადოების იმ ნაწილისათვის რომელსაც მისი განვითარების ახალი იმპულსის მიცემა შეუძლია, დასაქმებისთვის მიმზიდველი ადგილი არ არის. დამატებით სირთულეს ისიც ქმნის, რომ სახელმწიფო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მხოლოდ „კვლავ წარმოებს“ აფინანსებს (უკეთეს შემთხვევაში), ხოლო განვითარებას - ნაკლებად ან საერთოდ არა. ამ სახსრებით თქვენ შეგიძლიათ წელსაც გააკეთოთ ის, რასაც შარშან ან შარშანწინ აკეთებდით, მაგრამ ვერ დააფინანსებთ ინოვაციურ

აზრსა და პროექტს, რაც სასწავლო დაწესებულებასა და იქ მყოფთა სწავლასა თუ აღზრდის პროცესს უკეთესს გახდის.

4. თუ ზემოხსენებულ მომენტებს გავითვალისწინებთ, დავინახავთ, რომ პრობლემები გვაქვს ოთხ „სტრატეგიულ დონეზე“. ესენია: სახელმწიფო, საზოგადოება, ოჯახი და სკოლა.

სახელმწიფო ბევრს არაფერს აკეთებს საიმისოდ, რომ ახალგაზრდობას განათლებული და ზნეობრივი ადამიანების აქტიური რეკლამირებით თვითრეალიზაციის შესაბამისი ფორმები „მიაწოდოს“. ამასთან, განვითარების სისტემის დეკლარირებულ პრიორიტეტთან სრულიად შეუსაბამოა დაფინანსების არსებული მოდელი და ოდენობა.

საზოგადოებაში ჯერ კიდევ ძალუმად შემორჩენილია კანონის მიმართ ნიჰილისტური დამოკიდებულება და ე.წ. „ჩაშვების“ არაადეკვატური გაგება (როდესაც სამოქალაქო ცნობიერებას ძალიან ავიწროებს კლანური ინტერესები). ზოგჯერ წესრიგის მოთხოვნა არაორაზროვნად არის გაიგივებული „უფლებების“ შელახვასთან. ქართული მენტალობისთვის დამახასიათებელი დროის არაადეკვატურ აღქმასთან დაკავშირებული „გადახრები“ (მაგალითად, ქრონიკული დაავადების სინდრომი) საზოგადოების მიერ „ტოლერანტულად“ არის კვალიფიცირებული და „მერე რა მოხდას“ განცდას არ ცდება. პრინციპი: „ეწეინოს კანონს, ოღონდ, ადამიანებს ნუ ეწეინება“ ძლიერ აქტიურად მოქმედებს ჩვენში, რაც მოზარდებშიც შესაბამის განწყობას ბადებს - მოსწავლეები ხშირად ვერც აცნობიერებენ, რომ მათი ქცევა აღიარებულ ნორმებს არსებითად სცდება.

ოჯახთა დიდ უმეტესობას, აღზრდის საკითხის ნაკლები გააზრებისა და ცოდნის გამო, არ და ვერ ხელეწიფება ბავშვებს მართებული საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივი და პიროვნული ღირებულებები ჩამოუყალიბოს და მათ ცხოვრებისეულ რეალიზებაში დაეხმაროს. აქ კვლავ სცოდავს სახელმწიფო, რომლებიც ბერს არაფერს აკეთებს მშობელთა პედაგოგიზაციის განხრით. ხშირად მშობელი პირდაპირ აცხადებს, რომ აღზრდის საკითხი მთლიანად სკოლამ უნდა გადაწყვიტოს და მას ამ საქმესთან შეხება საერთოდ არ აქვს. აქედან გამომდინარე, სასკოლო სხოვრებაში მშობელთა ჩართულობის ხარისხი ჩვენთან მოუთმენლად დაბალია და ჯერ-ჯერობით არც ჩანს უკეთესობისაკენ სვლა. ეს საერთაშორისო პრობლემაა, მაგრამ საქართველოში მეტად მწვავედ დგას.

სკოლის უმთავრესი პრობლემა, ხსენებული საკითხის თვალსაზრისით, ის არის, რომ პედაგოგთა დიდ უმრავლესობას კარგად არ აქვს გაცნობიერებული - რა უნდა გააკეთოს გაკვეთილზე თუ მათ მიღმა საიმისოდ, რომ მოსწავლეებში ჩამოყალიბდეს და განვითარდეს

თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისი უნარები და განწყობები. როდესაც მიზნადაც არ ისახავ რაღაცას, როგორ მიაღწევ მას?! საგნობრივი კომპეტენციის ასამაღლებლად მეტ-ნაკლებად წარმატებით ტარდება პედაგოგთა ტრენინგები რასაც ვერ ვიტყვით აღმზრდელობითი კომპეტენციის ამაღლებაზე - ისეთ შტაბეჭდილება იქმნება, თითქოს განათლების სისტემის ორი უმთავრესი გამოვლინების (სწავლებისა და აღზრდის) მეორე კომპონენტი, ფაქტობრივად უგულებელყოფილია.

5. ამ ვითარებაში, ცხადია, მანდატურის სამსახურის მნიშვნელობის გადაჭარბება გონივრული არ იქნება. ამ ინსტიტუციის მოქმედება და მიღწეული შედეგი დაკისრებული ფუნქციისა და მიზნების შესაბამისად უნდა შევაფასოთ. ამის გათვალისწინებით უნდა ვთქვათ, რომ:

მანდატურთა სამსახურის უბრალოდ არსებობაც კი სკოლაში დანაშაულისა და დისციპლინური გადახრის პრევენციის როლს ასრულებს.

მკვეთრად შემცირდა სკოლის ადმინისტრაციის მხრიდან სასკოლო ინციდენტების დაფარვის ფაქტები.

პრაქტიკულად გამოირიცხა მოსწავლეთა მიერ სკოლაში ცივი იარაღის შეტანა და თამბაქოს მოხმარება, რაც ნამდვილი სენი იყო.

გაკვეთილების მიმდინარეობის დროს პედაგოგთა მიერ გარეთ გამოშვებული ბავშვები უკონტროლოდ არ დადიან სკოლის დერეფნებში - ადრე ეს პრობლემა იყო, რადგან სასწავლო დაწესებულებას არ ჰქონდა და არც ახლა ყავს შემცველი მასწავლებლები.

პედაგოგიურ რისკთან დაკავშირებული ყველა ბავშვი სათანადო ყურადღების ცენტრშია, და როგორც მათთან ისე მათ მშობლებთან მუდმივად მიმდინარეობს ინდივიდუალური მუშაობა.

სათანადო ტექნიკური აღჭურვილობა (ვიდეოკამერები) მანდატურებსა და სკოლას შესაძლებლობას აძლევს ზუსტად დააფიქსიროს და შეაფასოს სკოლის ტერიტორიაზე ჩადენილი პრაქტიკულად ნებისმიერი დარღვევა და ადმინისტრაციას შესაძლებლობა მისცეს, სამართლიანად გადაწყვიტოს კონფლიქტური სიტუაცია თუ სადავო საკითხი.

6. დასკვნის სახით შეიძლება ითქვას რომ მანდატურის ინსტიტუცია ვერ „ჩაენაცვლება“ სკოლის ადმინისტრაციასა და პედაგოგებს ფუნქციურად - მას მხოლოდ დამხმარე ფუნქცია აქვს და თუ ეს ფუნქცია კვალიფიციურად სრულდება მას მხოლოდ დადებითი შედეგი მოაქვს.

გია მურდულია

ქ. თბილისის კერძო სკოლა „ლოგოსი“ – ს დირექტორი, ფილოლოგიის დოქტორი

გია მურდულია

მანდატურის სამსახური სკოლაში

რეზიუმე

ნაშრომში განხილულია მანდატურის სამსახურის მნიშვნელობა, მისი დადებითი და უარყოფითი მხარეები; მოზარდთა ძალადობის მიზეზები – საოჯახო და სასკოლო აღზრდის სისტემის შექმნის აუცილებლობა ამ მიზნით მშობელთა პედაგოგიზაცია და მასწავლებელთა პედაგოგიური მომზადების საკითხის გადაწყვეტა.

ავტორს დასკვნის სახით მოცემული აქვს, რომ მანდატურის ინსტიტუცია ვერ „ჩაენაცვლება“ სკოლის ადმინისტრაციას და პედაგოგებს ფუნქციურად – მას მხოლოდ დამხმარე ფუნქცია აქვს და თუ ეს ფუნქცია კვალიფიციურად სრულდება ის მხოლოდ დადებითი შედეგებს მოიტანს.

Служба приставов в школе

Резюме

В статье рассмотрено значение службы приставов, его положительные и отрицательные стороны; Причины насилия подростков – необходимость создать систему семейного и школьного воспитания. С этой целью, внедрение активного участия родителей и педагогов в образовательном процессе и их педагогическое подготовка.

Автор как вывод рассматривает, что учреждение института приставов функционально не может «заменить» школьной администрации и учителей - Она имеет только вспомогательную функцию и если эта функция выполняется квалифицированно это может принести положительные результаты.

Gia Murgulia

Resource Officers office at school

Summary

The thesis deals with the importance of Resource Officers office, its advantages and disadvantages; the causes of teenage violence – the need to create upbringing system in the family and school. For this purpose, active participation of parents in the educational process and pedagogical training for teachers are needed to address the issue.

The author has given the conclusion that the institution of resource officers functionally cannot “replace” the school administration and the teachers. It only has auxiliary function and if performed competently it will only produce positive results.

სასკოლო ჩაგვრა და მისი ხანგრძლივმოქმედი შედეგები

სხვადასხვა ქვეყნის საგანმანათლებლო დაწესებულებებში ხშირად საუბრობენ იმის შესახებ, თუ როგორ დასცინიან მოსწავლეები თანაკლასელებს და მასწავლებლებს. სტეფენსონისა და სმიტის (Stephenson & Smith, 1987) კვლევით აღმოჩნდა, რომ დაწყებითი კლასის 7 – 11 წლის ასაკის 1000 მოსწავლიდან ბავშვების 23% არის თანაკლასელთა დაცინვის მსხვერპლი. ესპანელი მკვლევარებიც (Fonseca Garcia & Perez, 1989) აღნიშნავენ, რომ ბავშვების 17-21% განიცდის თანატოლების მხრიდან დაცინვას. ირლანდიელი სპეციალისტების (O Moore, 1989) მონაცემებით ბავშვების 10% რეგულარულად განიცდის თანატოლების მხრიდან დაცინვას (აბუჩად აგდებას) და 55% კი - ეპიზოდურად.

დაცინვა, აბუჩად აგდება, ჩაგვრა (BULLING) არის ფსიქოლოგიური ძალადობის ერთ-ერთი ფორმა, რომელმაც საზოგადოების განსაკუთრებული ყურადღება რამდენიმე წლის წინ მიიპყრო.

“ბულინგს” უწოდებენ ხანგრძლივ ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ძალადობას ინდივიდის ან ჯგუფის მხრიდან ინდივიდის მიმართ, რომელსაც მოცემულ სიტუაციაში არ შეუძლია დაიცვას საკუთარი თავი, ის ფარულად მიმდინარეობს და შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს ყველგან, სადაც ადამიანები ურთიერთობენ ერთმანეთთან. ეს შეიძლება იყოს სკოლა, ოჯახი, სამუშაო ადგილი, ეკლესია და ა.შ. გამოყოფენ ჩაგვრის (ბულინგის) 3 ფორმას: ემოციონალურს, ვერბალურსა და ფიზიკურს. უნდა აღინიშნოს, რომ ნებისმიერი ბავშვი შეიძლება იყოს, როგორც “ბულინგის” მსხვერპლი, ისე მისი ინიციატორი.

ფსიქოლოგები გამოყოფენ მსხვერპლის და აგრესორის ზოგიერთ ტიპურ თვისებას და ქცევის სტილს.

ბავშვი-მსხვერპლი ცდილობს იყოს თანატოლებთან შედარებით უფრო შეუმჩნეველი, პატარა და სუსტი. საფრთხის განჩინისთანავე ფრთხება, ტირის, საცოდავად და უბედურად გამოიყურება. ბავშვი-მსხვერპლი უმეტეს დროს კლასში ატარებს, მათ შორის შესვენებებსაც, ერიდება ბავშვების ხმაურიან თავყრილობებს. ასეთ ბავშვს შეიძლება ჰქონდეს ჩივილებიც: მოუსვენარი ძილი, თავის ან მუცლის ტკივილი, უმადლობა, ენურეზი.

ჩაგვრის მსხვერპლი შეიძლება გახდეს ბავშვი, რომელსაც აქვს სხვებისგან მკვეთრად გამორჩეული თვისებები. მაგალითად, იყოს სხვებზე ბევრად დაბალი ან მაღალი; მსუქანი ან გამხდარი; ღარიბი ან მდიდარი; წყნარი, ჭკვიანი.

სასკოლო ჩაგვრის მსხვერპლი შეიძლება ხანგრძლივი დროის განმავლობაში ვერ განიკურნოს ფიზიკური დაზიანებებისაგან და/ან განიცდიდეს მუდმივ შიშს, შფოთვას, თავს დამცირებულად ან დათრგუნულად გრძნობდეს, დაუქვეითდეს თვითშეფასება. გარდა ამისა, ხშირად აცდენს ან აგვიანებს გაკვეთილებზე, უარესდება ბავშვის აკადემიური მოსწრება. ასეთი ბავშვები თავს არიდებენ სკოლის ღონისძიებებში მონაწილეობას, კარგავენ მეგობრებს თანაკლასელთა შორის.

ბავშვი-აგრესორი მუდმივად ცდილობს უფროსად და ძლიერად გამოიყურებოდეს, ხშირად ეუხეშება მასწავლებლებს, მშობლებს, დედამამიშვილებს. პიროვნებათაშორის ურთიერთობებში, თამაშებში აღიარებს მხოლოდ ძალას, სისასტიკეს და ამის დემონსტრირებასაც ახდენს. ნებისმიერი კონფლიქტის გადასაჭრელად უპირატესობას ძალ-

ისმიერ გზას ანიჭებს. როგორც წესი, ბავშვ-აგრესორებს მაღალი თვითშეფასება აქვთ და სოციალური უპირატესობის მოპოვებას ცდილობენ. ზოგჯერ, ისინი ჩაკეტილები და ნაკლებად კონტაქტურები ხდებიან, თუმცა პერიოდულად ავლენენ არამოტივირებულ რისხვას.

როგორც მსხვერპლს, ასევე მჩაგვრელს ჰყავთ ცოტა ახლო მეგობარი, ვიდრე სხვა ბავშვებს. მართალია, ფიზიკური მახასიათებლები, გარეგნობა და ფიზიკური ძალა საყურადღებოა, მაგრამ მათი მნიშვნელობა ხშირად გადაჭარბებულია. დაცინვის მიზეზი შეიძლება იყოს, მსხვერპლის ნებისმიერი მახასიათებელი.

სასკოლო ჩაგვრა ერთნაირად არ არის გავრცელებული. განსხვავება არსებობს არამარტო სკოლებს, არამედ ერთი სკოლის კლასებსა და სასწავლო წელს შორისაც კი. ასეთი განსხვავება შეუძლებელია აიხსნას მოსწავლეების ინდივიდუალური და ოჯახური მახასიათებლებით. უნდა იქნას შესწავლილი სკოლის ფაქტორი. “ბულინგის” გავრცელებას განაპირობებს მრავალი ფაქტორი, მათ შორის სკოლის ადმინისტრაციის პოზიცია. ასევე, მოსწავლეების, პედაგოგების და მშობლების აზრი სკოლის, როგორც უსაფრთხო ადგილის შესახებ. (Arora&Thompson, 1987).

არსებობს “ბულინგის” ხილული ნიშნები (ჩალურჯება სხეულზე, დაზიანებული ნივთები და სხვ.), მაგრამ უფრო მნიშვნელოვანია ისეთი სიმპტომები, როგორიცაა სკოლაში არ წასვლის სურვილი, მოწყენილობა, დეპრესია და იზოლაცია, რასაც ადასტურებენ უახლესი კვლევები. მაგრამ არის ნაკლებ შესამჩნევი შედეგებიც, რომლებმაც შეიძლება თავი რამდენიმე ათეული წლის შემდეგაც იჩინოს. ამას არაერთი კვლევა ადასტურებს.

ბრიტანელი ფსიქიატრების კვლევა მოიცავდა 7 771 ბავშვს, რომელთა მშობლებმაც ლონგიტუდური გამოკითხვის პროცესში განაცხადეს შვილების ჩაგვრის შესახებ როცა ბავშვები იყვნენ 7 და 11 წლის. ეს ადამიანები განმეორებით გამოკითხეს 23, 45 და 55 წლის ასაკშიც. ფასდებოდა მათი ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობა. აღმოჩნდა, რომ ამ ბავშვების მეოთხედზე მეტი (28%) იყო ჩაგვრის მსხვერპლი ხანდახან და 15% კი – ხშირად.

ლაურა ბოგარტის მიერ ბოსტონის ბავშვთა ჰოსპიტალში ჩატარებულმა კვლევამ (ფსიქოლოგიური პარამეტრები იყო ნეგატიური ემოციები, როგორიცაა ბრაზი და აგრესია.), რომელიც მიმართული იყო ბავშვობაში ინტელექტის კოეფიციენტის, ემოციური და ბიჰევიორალური პრობლემების და მშობლების ნაკლებ ჩართულობის კვლევაზე, ასევე გამოავლინა ადამიანები, რომლებსაც ხშირად ჩაგრავენ ბავშვობაში, და მათ მრავალი წლის შემდეგაც ჰქონდათ მომატებული რისკი ისეთი ფსიქიკური დარღვევების, როგორიცაა: დეპრესია, შფოთვა და ჰქონიათ სუიციდალური აზრები. “ბულინგის” მსხვერპლთ მაღალი ალბათობით აღმოჩნდათ დაბალი განათლების დონე, სირთულეები ურთიერთობებში და ნაკლებ ხარისხიანი ცხოვრება – მამაკაცებს, რომლებსაც ჩაგრავენ ბავშვობაში, უმეტეს შემთხვევაში ჰქონდათ დაბალ ანაზღაურებადი სამუშაო ან იყვნენ უმუშევარი.

კვლევა ჩატარდა ლოს ანჯელესის, ჰიუსტონისა და ბირმინგემის სკოლებშიც, ალბამას შტატში. მონაწილეობდა სულ 4,297 მოსწავლე და მათი მშობლები. კვლევა ტარდებოდა სამ ფაზად. მოსწავლეების და მათი მშობლების გამოკითხვა მოხდა 5, 7 და 10 კლასში. კითხვები ეხებოდა “ბულინგსა” და ვიქტიმიზაციას. ასევე ეკითხებოდნენ ჩაგვრა ხდებოდა წარსულში თუ გრძელდებოდა აწმყოშიც. მკვლევარებმა ნახეს გასაოცარი განსხვავება. ფსიქიკური ჯანმრთელობა გაუარესებული ჰქონდა “ბულინგის” მსხვერპლი ბავშვების 31%-ს შედარებით იმ ბავშვების 4%-თან, რომლებსაც არ ჩაგრავენ სკოლაში. მათ, ვინც განიცდიდნენ ჩაგვრას წარსულშიც და აწმყოშიც, ასევე აღმოჩნდათ დეპრესიის სიმპტომების გაუარესება სხვა გამოკითხულ ბავშვებთან შედარებით. დეპრესიის ყველაზე უარესი სიმპტომები ჰქონდათ

10 კლასელების 31%-ს რომლებსაც ჩაგრავედენ ადრეც და ახლაც, შედარებით მოსწავლეების იმ 19%-თან ვისაც ჩაგრავედენ მხოლოდ აწმყოში და 13%-თან იმ ბავშვების, ვისაც ჩაგრავედენ მხოლოდ წარსულში. რაც შეეხება ბავშვებს, რომელთაც საერთოდ არ ჩაგრავედენ, მხოლოდ 8%-ს აღენიშნა დეპრესიის სიმპტომების გაუარესება. კვლევის თანახმად, აწმყოში ჩაგვრა ცუდი ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის უფრო მყარი პრედიქტორია, ვიდრე წარსულში ჩაგვრა. თუმცა ამ კავშირების მიუხედავად, მაინც ვერ ვიტყვიტ დანამდვილებით, რომ სწორედ ბულინგი განაპირობებს ჯანმრთელობის გაუარესებას.

ჩაგვრა საქართველოს სკოლებშიც არის გავრცელებული. მიუხედავად იმისა, რომ კვლევები ამ მიმართულებით საკმაოდ ცოტაა, ბოლო 5 წლის განმავლობაში დაგროვილი მონაცემები ცხადყოფს, რომ მოსწავლეების საკმაოდ დიდი რაოდენობისთვის ჩაგვრა სასკოლო ძალადობის ნაწილია.

გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ ჩატარებული კვლევის მიხედვით (უსაფრთხო სკოლის გზამკვლევი), მოსწავლეების უმეტესობა (77.5 %) სკოლაში თავს ყოველთვის უსაფრთხოდ თვლის (UNICEF). თუმცა, გამოკითხულ მოსწავლეთა დაახლოებით ნახევარმა განაცხადა, რომ ბოლო ერთი წლის განმავლობაში სკოლაში ძალადობასთან პქონდა საქმე.

ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის მიზანი იყო საჯარო სკოლებში ამჟამად არსებული მდგომარეობის გარკვევა სასკოლო ჩაგვრის პრობლემასთან დაკავშირებით.

კვლევა ჩატარდა 2013 წელს თბილისის სამ საჯარო სკოლაში და მასში მონაწილეობა მიიღო VI, VII, VIII კლასის 498 მოსწავლემ, მათ შორის გოგონა – 219, ვაჟი – 279.

კვლევის მეთოდი იყო ამერიკის ფსიქოლოგთა ასოციაციის (APA) მიერ გამოქვეყნებული კითხვარი, რომელიც შედგება 20 კითხვისგან. კითხვარი იძლევა საშუალებას ვნახოთ:

1. საგანმანათლებლო დაწესებულებაში ადგილი თუ აქვს სასკოლო ჩაგვრას და რა სიხშირით (არასდროს, ზოგჯერ (თვეში 1-2 ჯერ), რეგულარულად (კვირაში 1-2 ჯერ), ყოველდღე);
2. თუ განიცდიან მოსწავლეები თავს დაჩაგრულად და რა სიხშირით;
3. ჩაგვრის რა ფორმაა გავრცელებული;
4. რა შეიძლება იყოს ჩაგვრის მიზეზი;
5. ჩაგვრის შემთხვევაში როგორია მოსწავლეების და მოზრდილების ჩარევის თავისებურებები.

კვლევის მონაცემების მიხედვით, მოსწავლეთა უმრავლესობა (71.1%-დან 78.65%-მდე) თვლის, რომ მას არ ჩაგრავენ. ეს მონაცემები სტაბილურია ყველა კლასში და ემთხვევა UNICEF-ის კვლევის მონაცემებს.

იმ მოსწავლეებს შორის კი, რომლებიც განიცდიან ჩაგვრას, ჭარბობს ვერბალური ჩაგვრის ფორმა - დაცინვა (15.73%-მდე). მაგალითად, მაჯავრებენ და მეძახიან ზედმეტ სახელებს. 12 წლის ასაკიდან ეს მონაცემი მცირდება და სტაბილურ ხასიათს იღებს (დაახლოებით 10%).

1. ფიზიკური ძალადობის ფორმა უმნიშვნელოდაა წარმოდგენილი და ისიც მხოლოდ 12-13 წლიანებთან. თუმცა მოსწავლეების დაახლოებით 14 - 16% ბოლო 12 თვის განმავლობაში, სკოლის ტერიტორიაზე, განიცდის შიშს ფიზიკური ძალ-

ადობის მიმართ (ხელს კრავენ, დაარტყამენ) ან იმის, რომ მოპარავენ და დაუზიანებენ კუთვნილ ნივთებს.

2. 12 წლიდან მკვეთრად მატულობს და სტაბილურ ხასიათს იძენს ჩაგვრის ისეთი ფორმა, როგორცაა ახლო გარემოცვის წევრად მიუღებლობა, ანუ უარყოფა (5,49%).
3. ასევე მკვეთრად მატულობს და სტაბილურ მაჩვენებელს გვაძლევს ნივთების (ტანსაცმელი, წიგნები და სხვა) წართმევა (7,68%). მოსწავლეთა მხოლოდ 4.8% მიმართავს სხვისი პირადი ნივთების მოპარვას და დაზიანებას და ისიც ზოგჯერ.
4. 13 წლიანებში ჩნდება და მერე ისევ ფაქტობრივად სრულიად ქრება გაბუტვა (ძირითადად გოგონებში) და ფიზიკური აგრესია სკოლის ფარგლებს გარეთ. ეს ძალზედ მნიშვნელოვანი მონაცემია. როგორც ჩანს, სკოლებში მანდატურის სამსახურის დაწესებამ, ფიზიკური აგრესიის შემთხვევები კი არ მოსპო, არამედ გაიტანა სკოლის ფარგლებს გარეთ. სკოლაში კი დარჩა შიში!
5. უმეტესწილად ჩაგვრა ხორციელდება 1 ბავშვის მხრიდან და შედარებით ნაკლებად აქვს ადგილი ჩაგვრას 2 ან მეტი ბავშვის მხრიდან.
6. მოსწავლეთა უმრავლესობა (34%) თვლის, რომ სკოლის უკეთესად მეთვალყურეობა ხელს შეუწყობს ჩაგვრის შეჩერებას; ნაწილს (28%) მიაჩნია, რომ მნიშვნელოვანია ჩაგვრის საწინააღმდეგო წესების შექმნა და ჩხუბისთავებთან დისციპლინის დამყარება, ასევე უფროსი ადამიანების საუბარი ბავშვებთან ამ საკითხებზე (14%) და მოსწავლეების დახმარება, როგორ იპოვნონ პრობლემის მოგვარების გზები (16%).
7. გამოკითხულ მოსწავლეთა ნახევარი თავად ცდილობს შეაჩეროს ჩაგვრა და მოაგვაროს პრობლემა, რადგან მოსწავლეთა 16.7 % თვლის, რომ მოზრდილი ადამიანები ყურადღებას არ აქცევენ ჩაგვრის ფაქტს და შესაბამისად, არც ერევნიან მის მოგვარებაში. ბავშვების აზრით, სკოლაში მოზრდილებმა უმეტეს შემთხვევაში არ იციან რა გააკეთონ სასკოლო ჩაგვრის შემცირებასთან დაკავშირებით და შესაბამისად ნაკლებად საუბრობენ მსგავს პრობლემებზე და მოსწავლეებიც ჩაგვრის შემთხვევაში იშვიათად მიმართავენ მოზრდილებს დახმარებისთვის.
8. მოსწავლეების 13.7% ჩაგვრის ფაქტთან დაკავშირებით არ მიმართავს მოზრდილ ადამიანებს. მხოლოდ 1.96 % მიმართავს მასწავლებელს ან სხვა მოზრდილს; 0.78 % - დას ან ძმას; 4.89 % – მეგობარს და 4,11% მშობელს.
9. კითხვაზე “რატომ არის ზოგიერთი ბავშვი მჩაგვრელი?” პასუხები ასე განაწილდა: “მათ უნდათ, რომ მოახდინონ შთაბეჭდილება მეგობრებზე და იტრაბახონ” – 41.88 %; “არ ვიცი” – 24.01 %; “ფიქრობენ, რომ ეს გართობაა” – 22.56 %; “ისინი უფრო დიდები და ძლიერები არიან” – 6.86% “მათ უნდათ, რომ დაემსგავსონ იმას, ვინც ჩაგრავენ” – 3.07%; “ისინი ასე იქცევიან საკუთარ ოჯახშიც” – 1.62%.

როგორც ვხედავთ, გამოიკვეთა რამდენიმე საყურადღებო მომენტი:

1. ფიზიკური ძალადობა გავიდა სკოლის გარეთ, მაგრამ დარჩა ამის შიში.
2. სკოლაში ძირითადად შეიმჩნევა ფსიქოლოგიური ძალადობის ვერბალური ფორმა – გაბუტვა, დაცინვა, უარყოფა, გარიყვა.
3. გამოკითხულ მოსწავლეთა უმრავლესობა მიაჩნის, რომ აგრესიულ ბავშვებს

შთაბეჭდილების მოხდენა უნდათ. ჩნდება კითხვა: რატომ? რა აკლიათ? რისი დეფიციტის შევსება სურთ? ვისზე უნდათ შთაბეჭდილების მოხდენა: თანატოლებზე? თუ უფროსებზე? ძალიან ნიშანდობლივია, რომ ზოგიერთი მოსწავლის აზრით, მწავრელებს სურთ დაემსგავსონ იმათ, ვინც მათ ჩაგრავს და რომ საკუთარ ოჯახშიც ასე იქცევიან. ე.ი. მნიშვნელოვანია ოჯახის კონტექსტის გათვალისწინებაც.

4. ყველაზე მეტად შემაშფოთებელია ის, რომ მოსწავლეთა 22%-ის აზრით მწავრელებისთვის ეს არის “გართობა”. და როგორც ჩანს, არამარტო მწავრელებისთვის. როდესაც მოსწავლეთა აბსოლუტური უმრავლესობა (78%) აცხადებს, რომ მას “არ ჩაგრავენ”, იქნებ იმიტომაც, რომ ასეთ ქცევას (დაცინვა, ხელის კვრა და სხვ) თვლიან ხუმრობად, გართობად – ასე ხომ ადვილია თავი არ იგრძნო შეურაცხყოფილად და დამცირებულად.

უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ “ბულინგის” მსხვერპლი არის არამარტო უშუალო ობიექტი აგრესიული ქცევის, არამედ ის ბავშვებიც, რომლებიც ამ ფაქტს შეესწრებიან და უყურებენ. მეტიც ისევე იბუდებს შფოთვა და შიში. ასეთი ბავშვები კი ძალიან ბევრია. ამიტომ სასკოლო ჩაგვრა არ არის მოვლენა, რომელსაც შეიძლება არ მიაქციო ყურადღება მხოლოდ იმის გამო, რომ ფიზიკურ აგრესიას თითქმის აღარ აქვს ადგილი სკოლაში.

მაგრამ ვინ უნდა გამოავლინოს ეს და მოახდინოს რეაგირება?

საერთაშორისო გამოცდილებას თუ გადავხედავთ, ძირითადად გამოიყოფა უსაფრთხოების ორი სახე:

- ა) პროცესზე დაფუძნებული მიდგომა, რომელიც ძირითადად სასკოლო კლიმატის გაუმჯობესებაზეა ორიენტირებული და პრევენციული ეფექტი აქვს. ეს მოითხოვს სარისკო ქცევის ადრეულ სტადიაზე იდენტიფიცირებას და მის მართვას; სამედიცინო, ფსიქოლოგიური და სოციალური მხარდაჭერის სისტემის ამოქმედებას; სოციალური ნორმების დაწესებასა და მოდელირებას.
- ბ) პროდუქტზე დაფუძნებული მიდგომა პრობლემის მოკლევადიან გადაჭრაზეა ორიენტირებული და ნაკლებად უწყობს ხელს ძალადობის პრევენციას. პროდუქტზე დაფუძნებული მიდგომა გულისხმობს დაცვას, კამერებს, დეტექტორებს, მოსწავლეთა პირადი საქმეების კომპიუტერულ უზრუნველყოფას. ხოლო პროცესზე დაფუძნებული მიდგომა კი – პოზიტიურ სასკოლო კლიმატს, მოსწავლეთა და სკოლის თანამშრომელთა მხარდაჭერის სისტემას და კონსულტაციების შესაძლებლობებს.

2010-2011 წლის გამოწვევების დოკუმენტის მიხედვით, სკოლის უსაფრთხოება და შესაბამისად ძალადობის პრობლემის მართვა სასკოლო დონეზე ითვალისწინებს სასკოლო მანდატურის ინსტიტუტის შექმნას. დებულების თანახმად, სწორედ მანდატური “უზრუნველყოფს სამეურვეო საბჭოს, პედაგოგიური საბჭოს, დირექციის ან მასწავლებლის თხოვნით სოციალური ქცევის პრობლემების მქონე მოსწავლეებთან ურთიერთობას, მათთან ინდივიდუალური გასაუბრებების წარმოებას, მათ ქცევაზე დაკვირვებას და კონტროლს”.

გამოდის, რომ ისეთი პრობლემების დიაგნოსტიკა, როგორცაა შიში, შფოთვები, დეპრესია, უარყოფა, დაბალი თვითშეფასება და ა.შ. უნდა მოახდინოს მასწავლებელმა, სამეურვეო საბჭომ, პედაგოგიურმა საბჭომ, დირექციამ და ბოლოს, მანდატურმა, რომელმაც ასევე უნდა გადაწყვიტოს თვითონ გაუმკლავდეს პრობლემას თუ დასჭირდება სპეციალისტის (ფსიქოლოგის, ფსიქიატრის ან სოციალური მუშაკის) დახმარება. ეს არასწორი მიდგომაა, რადგან ასეთი სამუშაოს ჩატარება შეუძლია

მხოლოდ ფსიქოლოგს, და არა სკოლაში დროებით მოსულ ფსიქოლოგს. ასეთი მიდგომა, ვფიქრობთ, ვერ შეუწყობს ხელს სასკოლო ჩაგვრის, როგორც ფრიად საშიში (ხანგრძლივ მოქმედი უარყოფითი ეფექტის მქონე) მოვლენის პრევენციას და ითხოვს სერიოზულ მიდგომას განათლების სისტემის პოლიტიკის განმსაზღვრელი პირების მხრიდან.

თამარ კერძაია

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორი,
საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის წევრი,
ფსიქოლოგიის დოქტორი

ნინო ფირცხალაიშვილი

წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის,
ქართული უნივერსიტეტის დოქტორანტი

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Stephenson, P. and Smith, P.K. (1987). Anatomy of a playground bully. *Education*, 236-237.
2. Arora, C.M.J. & Thompson, D.A. (1987). Defining bullying for a secondary school. *Educational and Child Psychology*, 4, 110-120
3. O'Moore, A. M. (1995), Bullying Behaviour in Children and Adolescents in Ireland. *Children & Society*, 9: 54–72. doi: 10.1111/j.1099-0860.1995.tb00450.x
4. Adriana G. McEachern, Maureen Kenny, Elizabeth Blake and Oyaziwo Aluede. Bullying in Schools: International Variations, *Peer Victimization in Schools: An International Perspective Journal of Social Sciences Special Issue No. 8*: 51-58 (2005)
5. Vieira da Fonseca, M., I. Garcia Fernandez, and G. Quevedo Perez. 1989. "Violence, bullying and counseling in the Iberian Peninsula", (pp. 35–52) in E. Roland and E. Munthe (eds.), *Bullying an International Perspective*. London: David Fulton.
6. bullying's mental health toll may last years, journal Pediatrics <http://thechart.blogs.cnn.com/2014/02/17/bullyings-mental-health-toll-may-last-years/>

სასკოლო ჩაგვრა და მისი ხანგრძლივმოქმედი შედეგები

რეზიუმე

ნაშრომში განხილულია მოსწავლეთა მხრიდან თანაკლასელებისა და მასწავლებლების დაცინვა, აბუჩად აგდება, ჩაგვრა. როგორც ფსიქოლოგიური ძალადობის ფორმა გამოყოფილია ჩაგვრის (ბულინგის) 3 ფორმა: ემოციური, ვერბალური და ფიზიკური. დახასიათებულია ბავშვი, როგორც ჩაგვრის მსხვერპლი ისე აგრესორი.

კვლევის საფუძველზე განხილულია ამ მიმართულებით საზღვარგარეთის ქვეყნებისა და საქართველოს მდგომარეობა, კონკრეტულადაა გაანალიზებული ქ. თბილისის რამდენიმე საჯარო სკოლაში ნინო ფირცხალაიშვილის მიერ ჩატარებული კვლევა, მოცემულია სასკოლო ჩაგვრის მიზეზები და საერთაშორისო გამოცდილებიდან გამომდინარე რეკომენდაციები.

Тамар Кердзаия

Нино Пирцхалаишвили

Издательства в школе и их долгосрочные последствия

Резюме

В статье рассмотрено высмеивание, угнетение и презрение со стороны школьных учителей и одноклассников и других учеников, как форма психологического насилия. Выделены 3 формы угнетения (запугивания): эмоциональное, вербальное и физическое. Ребенок характеризуется как жертва угнетения, так и как агрессор.

На основании исследования сделан сравнительный анализ зарубежных стран и Грузии. В исследовании Нино Пирцхалаишвили конкретно проанализировано состояние в нескольких общественных школах города Тбилиси. В статье показаны причины школьного угнетения и рекомендации по внедрению международного опыта.

Bulling in schools and its long-lasting effects Summary

The thesis deals with school students who subject classmates and teachers to bullying and mockery. The psychological violence is divided in 3 forms of oppression (bullying): emotional, verbal and physical. Described the child as a victim of bullying and as the aggressor.

Based on the findings of studies the article deals with the conditions of foreign countries and Georgia. In some public schools of Tbilisi city research conducted by Nino Pirtskhalaishvili is analysed. Recommendations are given from international experience about causes of school bullying.

მარინე შაქარაშვილი

ჰომოფობია საქართველოში

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის განსაზღვრებით სექსუალური ჯანმრთელობა არის სექსუალურ ცხოვრებასთან დაკავშირებული ფიზიკური, ემოციური, ფსიქიკური სიჯანსაღე და სოციალური კეთილდღეობა. სექსუალური სიჯანსაღე განაპირობებს დადებით დამოკიდებულებას სექსუალური ურთიერთობებისადმი და უსაფრთხო სექსუალურ გამოცდილებას.

ბიოლოგიურ სქესი. ადამიანებს ყოფენ ორ ჯგუფად: ქალებად და მამაკაცებად. ადამიანის სქესობრივი კლასიფიკაცია ხორციელდება ბიოლოგიურ მახასიათებლების საფუძველზე: ქრომოსომული კომბინაცია (XX; X),ჰორმონები, გარეგანი და შიდა სასქესო ორგანოები. ბიოლოგიურ სქესზე დაყრდნობით საზოგადოება ადამიანს ანიჭებს გარკვეულ როლებს, განსაზღვრავს მათი ქცევის წესებს და საქმიანობის სფეროს, რასაც უკავშირდება სოციალური სქესის, გენდერის ცნება (კაცურობა და ქალურობა). ბევრ ქვეყანაში “კაცურობა” გულისხმობს მამაკაცის დომინანტურ როლს, რაც ხშირად ხდება ქალების, როგორც სოციალური ჯგუფის დისკრიმინაციის მიზეზი. უნდა აღინიშნოს, რომ მთელ მსოფლიოში ხდება გენდერული როლების ნიველირება. ამას ადასტურებს ქალების აქტიურობა პოლიტიკაში, ბიზნეს სექტორსა და სხვა ტრადიციულად “მამაკაცურ” სფეროებში [1].

სქესისა და გენდერის გარდა ადამიანის იდენტობის მაჩვენებელია სექსუალური ორიენტაცია. სექსუალური ორიენტაცია აღნიშნავს ინდივიდის მდგრად ემოციურ და სექსუალურ ლტოლვას რომელიმე სქესის ინდივიდის მიმართ. განასხვავებენ ჰეტეროსექსუალურ, ჰომოსექსუალურ და ბისექსუალურ ორიენტაციას. “ჰეტეროსექსუალობა” - ლტოლვა საპირისპირო სქესის/გენდერის ადამიანებისადმი, “ჰომოსექსუალობა - ”საკუთარი სქესის/გენდერის წარმომადგენლის მიმართ, ხოლო “ბისექსუალობა” ლტოლვა ორივე სქესისადმი.

კაცობრიობის ისტორიას ახსოვს კულტურები, სადაც ჰომო და ბისექსუალური ორიენტაცია არ ითვლებოდა არც სირცხვილად, არც ცოდვად და ჩვეულებრივი მოვლენა იყო [2]. მაგალითად ძველ მესოპოტამიასა და ეგვიპტეში, ანტიკურ საბერძნეთსა და რომში. არსებობს ცნობები კართაგენელებში, გალებში, კელტებში, ბრიტანეთისა

და სკანდინავიის ძველ მოსახლეობაში ჰომოსექსუალიზმის გავრცელების შესახებ. კორტესი ანალოგიურ ვითარებას აღწერს მექსიკის ინდიელებში, ბერი შარლევუა - ჩრდილო ამერიკის ინდიელ ტომებში. ევროპელ მისიონერებს ჰომოსექსუალიზმის უამრავი მაგალითი მოჰყავთ აღმოსავლეთის ქვეყნების ცხოვრებიდან (ჩინეთი, იაპონია, ინდოჩინეთი). ჰომოსექსუალიზმი ფართოდ იყო გავრცელებული ისლამურ სამყაროშიც (მაროკო, ალჟირი, ერაყი და თურქეთი, ირანი, პაკისტანი, ავღანეთი ა.შ.). ძველი აღთქმის რელიგია მკვეთრად აღუდგა წინ ჰომოსექსუალიზმს. მოსეს სჯულის მიღების შემდეგ, ებრაელ ერს ეკრძალებოდა ყოველგვარი გაუკუღმართებელი სექსუალური ცხოვრება. რაც შეეხება ახალ აღთქმას, ჰომოსექსუალიზმის წინააღმდეგ კატეგორიულად ილაშქრებს პავლე მოციქული და სოდომურ ცოდვად მიიჩნევს და განარჩევს სქესობრივი ცხოვრების ორ - ბუნებრივ და არაბუნებრივ მხარეს. წმიდა წერილი ადამიანის სქესობრივი ცხოვრების “ღვთაებრივ დანიშნულებას” მხოლოდ გვარის გაგრძელებას, ოჯახის შექმნასა და შვილიერებას მიიჩნევს. ნეგატიური დამოკიდებულება განსაკუთრებით გაძლიერდა შუასაუკუნეების დასავლეთში. ცოდვასთან საბოლოოვლად ეკლესიამ გამოიტანა სპეციალური მარეგულირებელი კანონები [3; 4].

ყველაზე მძიმე პერიოდი ჰომოსექსუალისტებისათვის იყო ინკვიზიციის პერიოდი [5]. XIII საუკუნეში განხვავებულ ორიენტაციის პირებს კოცონზე წვავენ. რენესანსის ეპოქაში ეკლესიის ძალაუფლება შემცირდა, მაგრამ არატრადიციული სქესობრივი ურთიერთობები ითვლებოდა დანაშაულად და გარყვნილებად XIX საუკუნამდე. დამოუკიდებლობის დეკლარაციის მთავარმა ავტორმა და ქვეყნის მესამე პრეზიდენტმა თომას ჯეფერსონმა, ვირჯინიის შტატში გუბერნატორობის დროს, 1799 წელს, ჰომოსექსუალიზმი გაუპატიურების ტოლფას დანაშაულად სცნო და ამ ორ დანაშაულს ერთნაირი სასჯელი დაუწესა. ნაციტურ გერმანიაში ჰომოსექსუალური აქტის გარდა, იკრძალებოდა კოცნა, ჩახუტება, ჰომოსექსუალური ფანტაზიებიც კი. კანონის დამრღვევები სასჯელს ციხეში იხდიდნენ, შემდეგ მათ საკონცენტრაციო ბანაკებში გზავნიდნენ. გამოტანილი განაჩენი მათ სტერილიზაციას ითვალისწინებდა, რასაც ხშირად კასტრაციაც სდევდა თან. 1942 წელს სასჯელი გაამკაცრეს და ჰომოსექსუალური აქტისთვის ადამიანებს სიკვდილით სჯიდნენ. XIX საუკუნიდან დამკვიდრდა ჰომოსექსუალობის, როგორც დაავადების აღქმა. ფსიქოლოგიისა და სექსოლოგიის ჩამოყალიბებასა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების განვითარებასთან ერთად დაიწყო ჰომოსექსუალობის მიზეზების დადგენის მცდელობები და ჩამოყალიბდა თეორიები, რომლებშიც ძირითადად აქცენტი კეთდება ბიოლოგიურ და ფსიქოლოგიურ მიზეზებზე.

ბიოლოგიური თეორიები. სექსუალურ ორიენტაციას განსაზღვრავენ ბიოლოგიური მექანიზმები: ჰომოსექსუალობას განაპირობებს გენეტიკური ფაქტორები; ჰომოსექსუალობის ჩამოყალიბებაში ჰორმონალური ფაქტორები მონაწილეობენ (პრენატალურ პერიოდში ჰორმონების დონე ზრდასრულ ასაკში ინდივიდის ამა თუ იმ ტიპის სექსუალური ქცევისადმი მიდრეკილებას განსაზღვრავს).

ფსიქოლოგიური თეორიები, ფროიდის კონცეფცია: ჰომოსექსუალობა ყოველი ადამიანის ბისექსუალობისადმი თანდაყოლილი მიდრეკილების შედეგია. ჩვეულებრივ პირობებში, ბავშვის ფსიქოსექსუალური განვითარება ჰეტეროსექსუალური გზით მიდის, მაგრამ ზოგ შემთხვევაში, ნორმალური განვითარება შესაძლოა “მოუმწიფებელ” სტადიაზე შეჩერდეს. ეს კი საბოლოო ჯამში, ჰომოსექსუალობასთან მიგვიყვანს. გარდა ამისა, ფროიდის აზრით, ჰომოსექსუალობისკენ ფარული ლტოლვა ყოველ ადამიანს აქვს და გარკვეული გარემოების ფონზე ჰომოსექსუალური ქცევა შესაძლოა ზრდასრულ ასაკში გამოვლინდეს; ბიბერის მოდელი. ი. ბიბერმა და მისმა კოლეგებმა პაციენტების ოჯახური ცხოვრება გამოიკვლიეს და გამოავლინეს, რომ ბევრ ჰომოსექსუალს ავტორიტარული დედა და უნებისყოფო მამა ჰყავდა; გრინბლატის მონაცემებით ჰომოსექსუალი მამაკაცების მამები კეთილი და მზრუნველი ადა-

მიანები არიან, ხოლო დედები არც ზედმეტი მზრუნველობით გამოირჩევიან და არც ძალაუფლების მოყვარეობით; ზიგელმანის თვალსაზრისით ჰომოსექსუალები ისეთ ოჯახებშიც გხვდებიან, სადაც დედა თავდაჭერილი და ცივია, ხოლო მამები ძალიან ახლოს არიან ბავშვებთან; ისეთ ოჯახებშიც, სადაც უფროს ძმებთან ურთიერთობა “არაერთმნიშვნელოვანია” და სადაც ბავშვი დედის ან მამის ნაკლებობას განიცდიდა და სადაც მამების იდეალიზება ხდებოდა, ხოლო დედას მოსამსახურის როლი ჰქონდა მინიჭებული; ვოლფმა დაადგინა, რომ ლესბოსელები ის გოგონები ხდებიან, რომლებსაც დედები საკმარის ყურადღებას არ უთმობენ, სიყვარულს არ ამჟღავნებენ და ამით აიძულებენ, რომ ყოველივე ეს სხვა ქალებთან ეძიონ. დედა, რომელიც შვილს უარყოფს ან გულგრილია და მამა, რომელიც განზე დგას.

სოციალურ-ფსიქოლოგიურ თეორიები. ჰევიორისტული თეორიების მიხედვით ადამიანები ჰომოსექსუალობას შესწავლის შედეგად ირჩევენ (McGuire; Carlisle; Young; Gagnon; Simon; Masters; Johnson). ამ თვალსაზრისით, სექსუალური ორიენტაციის პროცესი ადრეული ხდება. ამგვარად, ადრეულ სექსუალურ გამოცდილებას შეუძლია ადამიანს ჰომოსექსუალური ქცევისკენ უბიძგოს, თუკი თავისივე სქესის წარმომადგენელთან მას დაკმაყოფილების მომტანი კონტაქტი ჰქონდა ან პირიქით, საპირისპირო სქესის წარმომადგენელთან კონტაქტი იმედის გამაცრუებელი იყო (ხშირად ქალი გაუპატიურების შემდეგ ლესბოსელი ხდება (Grandlach); სტორმზის თეორიის მიხედვით ადრეული სქესობრივი მომწიფების დროს ჰომოსექსუალური ექსპერიმენტები ჩვეულებრივი რამაა, ხოლო ძლიერი განწყობა ჯერ კიდევ არ არის შექმნილი. ამ ასაკში ჰომოსექსუალური კავშირი გაცილებით უფრო მისაწვდომია, ვიდრე ჰეტეროსექსუალური, რაც შესაძლებელს (მაგრამ არა აბსოლუტურს) ხდის იმას, რომ ზრდასრულ ასაკში იგი უპირატესობას ჰომოსექსუალურ ურთიერთობებს ანიჭებს; მკვლევარები აღნიშნავენ, რომ თუ თამაშის პროცესში ბავშვების ქცევა შეუსაბამოა მის სქესთან, (მაგ. თუ ბიჭს უყვარს თოჯინებით თამაში) ეს არის მომავალში ჰომოსექსუალობის განვითარების მნიშვნელოვანი მაჩვენებელი (მაგრამ არა აბსოლუტური); ანუ დღეისათვის არ არსებობს ერთიანი შეხედულება ჰომოსექსუალიზმის გამომწვევ მიზეზის შესახებ. თითქმის ყველა შემთხვევაში ადგილი აქვს მიზეზების კომბინაციას და ბევრი მეცნიერი თანხმდება, რომ ადამიანში სექსუალური ორიენტაციის ჩამოყალიბება მულტიფაქტორულია, ხდება ადრეულ ასაკში ბიოლოგიური, ფსიქოლოგიური და სოციალური ფაქტორების ზეგავლენის შედეგად.

ჰომოფობია (ბერძ. ჰომოიოს-“იგივე” და ფობოს- “შიში”). ჰომოფობია განიხილება ინდივიდუალურ და სოციალურ დონეზე. ჰომოფობია ევროპარლამენტის მიერ მიღებულ რეზოლუციაში განმარტებულია როგორც “ლესბოსელების, გეების, ბისექსუალებისა და ტრანსგენდერი ადამიანების მიმართ წინასწარ განწყობაზე დაფუძნებული ირაციონალური შიში და სიძულვილი, რომელიც მსგავსია რასიზმის, ქსენოფობიის, ანტიემიტიზმისა და სექსიზმის”. ჰომოფობია ხშირ შემთხვევაში გავლენას ახდებს ჰომოსექსუალების თვითშეფასებაზე. თავდაცვის მიზნით ბევრი ჰომოსექსუალი ახდენს ჰეტეროსექსუალური ქცევის იმიტაციას, თრგუნავს საკუთარ სექსუალურ ინტერესს, მათ აღენიშნებად ქრონიკული შფოთვა, დაძაბულობა (მოიხმარენ ნარკოტიკებს, ალკოჰოლს), და ავტოაგრესიული მოქმედება (ხშირია თვითმკვლელობის შემთხვევები) ან იკეტება ჰომოსექსუალების ჯგუფში და ამჟღავნებს აგდებულ დამოკიდებულებას ჰეტეროსექსუალთა მიმართ (ჰეტეროფობია).

აქედან გამომდინარე, ჰომოფობიის განხილვა სცდება ინდივიდუალურ დონეს და არის არა მხოლოდ ფსიქოლოგიური, არამედ სოციალური პრობლემა. [6;7]

1973 წელს ამერიკის ფსიქიატრიულმა ასოციაციამ (APA-the American Psychiatric Association) ამოიღო “ჰომოსექსულობა” ფსიქიკური და ემოციური დაავადებების ოფიციალური სიიდან როგორც სექსუალური დარღვევა APA -ს ფსიქიკური და მენტალური აშლილობების დიაგნოზისა და სტატისტიკის სახელმძღვანელოდან (DSM-

II). 1975წ. ამერიკის ფსიქოლოგთა ასოციაციამაც მიიღო ამ აქციის მხარდამჭერი გადაწყვეტილება. 1990წ. ამერიკის ფსიქოლოგთა ასოციაციამ გააკეთა განცხადება, რომ არ არსებობს შემობრუნების თერაპიის ქმედითობის დამადასტურებელი არანაირი საბუთი და მკურნალობას ზიანის მოტანა უფრო შეუძლია, ვიდრე სარგებელის. ამიტომ იბადება კითხვა: ეთიკურია თუ არა ეცადო თერაპიის მეშვეობით შეცვალო ადამიანის თვისება, რომელიც არ წარმოადგენს არანორმალურს და, რომელიც ძალზედ მნიშვნელოვანია პიროვნების თვითაღქმისათვის.

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ (WHO) 1992 წ. ცვლილებები შეიტანა დაავადებათა საერთაშორისო კლასიფიკაციაში და ჰომოსექსუალობა ამოიღო დაავადებათა სიიდან და ამჟამად ჰომოსექსუალობა შეფასებულია, როგორც განსხვავებული სექსუალური ქცევა და არა დაავადება [8].

ჰომოსექსუალური ქცევის ნორმად აღიარება იყო გეი აქტივისტების ძალიან დიდი გამარჯვება. ამ გადაწყვეტილების მოწინააღმდეგე უამრავი ფსიქიატრის მიერ გასულ ათწლეულებში დეტალურად იქნა აღწერილი, თუ რამ გამოიწვია ამერიკის ფსიქიატრთა ასოციაციის (APA) შიგნით თუ მის გარეთ, ჰომოსექსუალობის ამოღება APA -ს «ფსიქიკური და მენტალური აშლილობების დიაგნოზისა და სტატისტიკის სახელმძღვანელოდან». დოქტორმა რონალდ ბაიერმა საკუთარ წიგნში „ჰომოსექსუალობა და ამერიკული ფსიქიატრია“ წერს, რომ პირველი წინააღმდეგობა ამერიკის ფსიქიატრთა ასოციაციაზე ჰომოსექსუალთა და მათი მხარდამჭერი ჯგუფების მიერ დაიწყო 1970 წ. როდესაც ორგანიზაცია შეიკრიბა სანფრანცისკოში, გეი აქტივისტებმა გადაწყვიტეს კონფერენციის ჩაშლა, ხელი შეუშალეს მომხსენებელთ, შეაწყვეინეს სიტყვა და მასხრად აგდება დაიწყო იმ ფსიქიატრების, ვინც აფიქსირებდა იმ აზრს, რომ ჰომოსექსუალობა მენტალური აშლილობაა. 1971 წელს, გეი აქტივისტი ფრენკ კამენი, აგრძელებდა აქტიურ მუშაობას გეების განმანთავისუფლებელ ფრონტთან ერთად ამერიკის ფსიქიატრთა ასოციაციის კონვენციის წინააღმდეგ [9]. მიუხედავად იმისა, რომ მიჩნეულია, რომ ამერიკის ფსიქიატრთა ასოციაციის გადაწყვეტილება იყო დაფუძნებული ახალ სამეცნიერო აღმოჩენებზე, რომლებიც ადასტურებდნენ ჰომოსექსუალური ორიენტაციის სავსებით ნორმალურ თვისებას ბევრ ქვეყანაში ნორმად ჰეტეროსექსუალობა ითვლება, დამოკიდებულება ჰომოსექსუალობის მიმართ უმეტესწილად ნეგატიურია და განიხილება ცოდვის, დანაშაულის და დაავადების კონტექსტში. ამიტომ სექსუალურ ორიენტაციაზე დაფუძნებული დისკრიმინაციის შემთხვევები გვხვდება, როგორც ყოფით, ისე ინსტიტუციონალურ და კულტურულ დონეზე. გარდა ამისა არსებობენ ფსიქოლოგები, ფსიქიატრები და ორგანიზაციები (მაგალითად “ჰომოსექსუალთა კვლევისა და მკურნალობის ნაციონალური ასოციაცია” - NARTH), რომელიც ჰომოსექსუალობას კვლავ დაავადებად განიხილავს და აქვეყნებს მისგან განკურნების მეთოდებს [10;11].

ამასთან დაკავშირებით “ამერიკის ფსიქოლოგთა ასოციაციის” 2000წ. განცხადებაში წერია: “ჰომოსექსუალობის პათოლოგიზაციის ხელახალი მცდელობები მისი “განკურნებადობის” გზით ემყარება არა მკაცრ სამეცნიერო ან ფსიქიატრიულ კვლევებს, არამედ წარმოადგენს იმ რელიგიური და პოლიტიკური ძალების გავლენის შედეგს, ვინც ეწინააღმდეგება გეებისა და ლესბოსელებისთვის სამოქალაქო უფლებების მინიჭებას.”

ქართული მენტალიტეტი და ჰომოფობია. მას შემდეგ რაც ჰომოსექსუალობა არ წარმოადგენს სამედიცინო დიაგნოზს, მეცნიერები დაინტერესდნენ იმ მიზეზებით, რაც ძლიერ ნეგატიურ განწყობას წარმოშობს ჰომოსექსუალური თუ ბისექსუალური ორიენტაციის მქონე პირების მიმართ. ჰომოფობია მსოფლიოს არაერთ ქვეყანაში და მათ შორის საქართველოშიც აქტუალური პრობლემაა [12].

1934 წ-დან საბჭოთა კავშირის კანონმდებლობით ჰომოსექსუალობა კანონით დასჯადი გახდა და ამ ბრალდებით დაახლოებით 60 000 ადამიანი გასამართლდა. აღსანიშნავია არა მარტო ჰომოსექსუალობა მიმართ დამოკიდებულება, არამედ თავად სექსუალობასთან დაკავშირებული წარმოდგენები [13]. ყოველივე ზემოაღნიშნულმა აგრესიის განსხვავებული ფორმები შეიძინა. ჰომოსექსუალიზმზე საუბარი საჯარო დონეზე ფაქტიურად არ ხდებოდა. ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე საქართველოში ჰომოსექსუალობის თემას 70 წლიანი ტაბუ ქონდა დადებული საზოგადოებასა და მედიაში, თუმცა 90-იან წლებში საკითხს არათუ ტაბუ მოეხსნა, არამედ “მორალური პანიკის” საფუძველიც გახდა და პოლიტიკური ჟღერადობა შეიძინა. გლობალიზაციამ გამოიწვია მიგრაციის პროცესის გააქტივება, რასების, რელიგიებს და ტრადიციების აღრევა, რამაც დადებითი შედეგების გარდა ბევრი პრობლემა და გაუგებრობა გამოიწვია. აღნიშნული ეხება საქართველოსაც. ბევრი მკვლევარი ამის მიზეზად ინფორმაციის ნაკლებობას თვლის. საზოგადოება იმყოფება არსებული სტერეოტიპებისა და დოგმების გავლენის ქვეშ, რაც ხშირად ჰომოფობიურ დამოკიდებულებას განაპირობებს [14;15].

ჩვენს კულტურაში ბევრი მკაცრად “ჰეტეროსექსუალი” ან “ჰომოსექსუალი”. საქართველოში ჩატარებული კვლევებით დადგინდა, რომ გოგონებისა და ბიჭების 65,3%-ის აზრით ჰომოსექსუალობა არის ფსიქოლოგიური დაავადებაა, რომელიც ფსიქოლოგთან და ფსიქიატრებთან ვიზიტით შეიძლება განიკურნოს. მათი 73,5%-ის თვლის, რომ ჰომოსექსუალიზმი “ბიჭების დაავადებაა” და აღნიშნული არ ეხება გოგონებს.

ხშირად ჰეტეროსექსუალები ჰომოსექსუალებს ექცევიან, როგორც მეორეხარისხოვან მოქალაქეებს, რაც ერთმანეთის მიმართ რთული დამოკიდებულების მიზეზი ხდება [16; 17]. ამიტომ ჰომოსექსუალებს წარსულში საკუთარ თავზე ხშირად დაბალი წარმოდგენა ჰქონდათ და მათი “იატაკქვეშეთიდან გამოსვლის” პროცესი იყო ძალიან რთული და ემოციურად მძიმე. “იატაკქვეშეთიდან გამოსვლის” შემთხვევაში ისინი ხშირად გარიყული იყვნენ ოჯახებიდან, მეგობრების, თანამშრომლების და რელიგიური საზოგადოებების წრიდან. სულ რამდენიმე წელია, რაც ჰომოსექსუალებმა განსხვავებულად შეხედეს საკუთარ თავს [18].

ჩატარებული კვლევის შედეგად იყო გამოვლენილი “ლგბტ” პირთა მიმართ უარყოფით დამოკიდებულების გამომწვევი შემდეგი ფაქტორები: რელიგია, ქართული მენტალიტეტი/ტრადიციები, “ლგბტ” ადამიანების საჯარო გამოსვლები და ხალხის გარყვნის საფრთხე. აგრეთვე ის, რომ საზოგადოება ნაკლებად არაინფორმირებულია “ლგბტ” ადამიანებთან დაკავშირებულ საკითხებზე; უფროსი თაობის წარმომადგენლებთან შედარებით ქართველ ახალგაზრდებს და მდებდრობითი სქესის ჰომოსექსუალობისადმი ლიბერალური დამოკიდებულება გააჩნიათ; “ლგბტ” ადამიანებთან პირადი ურთიერთობის ქონას დადებითი ზეგავლენის მოხდენა შეუძლია ინდივიდის ჰომოფობიურ შეხედულებებზე; თბილისში “ლგბტ” ადამიანებს თვითრეალიზაციის მეტი საშუალება გააჩნიათ ვიდრე რეგიონებში.

მიუხედავად ამისა 2000 წ. ქართულმა კანონმდებლობამ მოახდინა ჰომოსექსუალობის დეკრიმინალიზაცია, რაც იმას ნიშნავს რომ ჰომოსექსუალობა არ წარმოადგენს კანონით დასჯად ქმედებას. საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლით (თანასწორობის პრინციპი) ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალია და კანონის წინაშე თანასწორია განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა. კონსტიტუციის ზემოაღნიშნული მუხლი არ მოიცავდა სექსუალური ორიენტაციას ან გენდერულ იდენტობას, როგორც ადამიანთა თანასწორობის საფუძველს. მნიშვნელოვანი ცვლილება, რომელიც “ლგბტ” პირებთან დაკავშირებით იქნა

გადადგმული წარმოადგენს ცვლილებას სისხლის სამართლის კოდექსში, რომელიც 2012 წლის 27 მარტს შევიდა. სსკ-ის 53 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სასჯელის დანიშვნის დროს დამამძიმებელ გარემოებად იქნება განხილული დანაშაულის ჩადენა სქესის, სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობის შეუწყნარებლობის მოტივით. აღნიშნული ცვლილება უდავოდ მისასალმებელი ცვლილება “ლგბტ” პირთა უფლებების მხრივ. მნიშვნელოვანია ასევე 2013 წლის 12 ივნისს შეტანილი ცვლილება საქართველოს შრომის კოდექსის მე-3 მუხლში: შრომით ურთიერთობებში აკრძალულია დისკრიმინაცია (მათ შორის) სექსუალური ორიენტაციის ნიშნის საფუძველზე. უნდა აღინიშნოს, რომ ეს მუხლი ფაქტიურად არაქმედითია და მხოლოდ სექსუალური უმცირესობების შრომით ურთიერთობებში დისკრიმინაციას არ ეხება.

საქართველოს პარლამენტმა 2014 წლის 17 აპრილს მიიღო კანონი “ანტიდისკრიმინაციის შესახებ” რომელიც - “დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ უზრუნველყოფს დისკრიმინაციის წინააღმდეგ დაცვას რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, ასაკის, მოქალაქეობის, წარმოშობის, დაბადების, საცხოვრებელი ადგილის, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, რელიგიის ან რწმენის, ეროვნული, ეთნიკური ან სოციალური კუთვნილების, პროფესიის, ოჯახური მდგომარეობის, ჯანმრთელობის მდგომარეობის, შეზღუდული შესაძლებლობის, სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობისა და გამოსატვის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების ან სხვა ნიშნის მიუხედავად.“

ჰომო და ჰეტეროსექსუალები ერთი და იმავე სამყაროს წევრები არიან და თუკი ამის გაცნობიერება და გათავისება არ მოხდება, მათ შორის გაუგებრობის საფუძველი ყოველთვის დარჩება [19].

ამასთანავე აუცილებელია კანონმდებლობის შემდგომი სრულყოფა, რაც კონსტიტუციასთან ნორმატიული აქტების ჰარმონიზაციას უზრუნველყოფს.

რაც შეეხება რელიგიას, ვინაიდან საპატრიარქო გამიჯნულია სახელმწიფო სისტემისაგან, მას შეიძლება ჰქონდეს განსხვავებული დამოკიდებულება სექსუალური ორიენტაციის პირების მიმართ, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს საპატრიარქოსთვის მიუდებელია პიროვნების დისკრიმინაცია. ცნობილი ღვთისმეტყველი, დეკანოზი ვლადიმერ შმალი, აღნიშნავს: „ჰომოსექსუალური ორიენტაციის ადამიანი თავისუფლად შეიძლება კარგი ქრისტიანი იყოს. უფრო მეტიც, ვიღაცისთვის ჰომოსექსუალიზმი შეიძლება ერთგვარი გამოცდა და ჯვარია, ისეთივე როგორიც რაიმე სხვა დაავადება ან ცოდვიანი მიდრეკილება, რომელთანაც ქრისტიანს უწევს ბრძოლა. მაგრამ ჰომოსექსუალური ურთიერთობები და მისი პროპაგანდა კი ნამდვილად ცოდვაა.“

მნიშვნელოვანია საზოგადოების განათლება. პიროვნებამ სწორი გადაწყვეტილება შეიძლება მიიღოს მხოლოდ სრული და ადეკვატური ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე. ზუსტი ინფორმაცია ჰომოსექსუალობის შესახებ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ახალგაზრდებისათვის. მიზანშეწონილია ისეთი პროგრამების დაგეგმვა და რეალიზება, რომლებიც ხელს შეუწყობს ტოლერანტობის პრინციპების დამკვიდრებას (ლექციები, დისკუსიები), სასწავლო პროგრამებში ჰუმანიტარული საგნების წილის გაზრდა (კულტუროლოგია, სოციოლოგია, ბიოეთიკა, რელიგიის ისტორია და სხვა). საკითხის განხილვაში უნდა მონაწილეობდნენ კომპეტენტური და დაინტერესებული პირები - იურისტები, ფსიქოლოგები, მედიცინის მუშაკები, პოლიციელები, მშობლები. აუცილებელია სკოლის და მშობლების სახელმწიფოებრივი ინტერესების ინტეგრირების უზრუნველყოფა, და საკონსულტაციო სამსახურის შექმნა.

სამედიცინო დახმარება. ფსიქოლოგები თვლიან, რომ ადამიანთა უმრავლესობისათვის სექსუალური ორიენტაცია არ წარმოადგენს შეგნებული არჩევანის შედეგს, რომელიც შეიძლება ნებაყოფლობით შეიცვალოს. სექსუალური უპირატესობები მონარდობის ასაკში ყალიბდება, ზრდასრული ადამიანების სექსუალურ ორიენტაციაში

მნიშვნელოვანი ცვლილებები იშვიათად, მაგრამ ხდება. აშშ-ში ჰომოსექსუალიზმის მკურნალობის თაობაზე დიდი დებატები მიმდინარეობს. ამერიკის ფსიქიატრთა ასოციაციის რეკომენდაციის თანახმად, სპეციალისტებმა უნდა გაითვალისწინონ ეთიკური სტანდარტები და ჰომოსექსუალიზმის განკურნების მცდელობისგან თავი შეიკავონ. ზოგიერთი ორგანიზაციის წარმომადგენლები კი იცავენ იმ აზრს, რომ პაციენტს აქვს უფლება, დახმარებისთვის მიმართოს ექიმს, ხოლო ექიმს - დაეხმაროს მას. ისინი ეყრდნობიან ფსიქიატრ რობერტ სპიტცერის ნაშრომებს, რომელიც თავდაპირველად ფსიქიკური დარღვევების სიიდან ჰომოსექსუალიზმის ამოღებას ემხრობოდა, მოგვიანებით კი ივარაუდა, რომ თერაპიული მეთოდებით სქესობრივი ორიენტაციის შეცვლა შესაძლებელია. ვინაიდან ადამიანთა უმრავლესობას მოზარდობის პერიოდში, სანამ არ მიიღებს სექსუალურ გამოცდილებას არ უყალიბდება სექსუალური ორიენტაცია მნიშვნელოვანია ჰომოსექსუალური კავშირების პრევენცია: ბავშვისთვის და მოზარდისთვის ჯანსაღი გარემოს უზრუნველყოფა ოჯახში, სასწავლო დაწესებულებებში, აუცილებელია ფეხმძიმე პირებისთვის და მცირეწლოვანთა ბავშვების მშობლებისათვის ინდივიდუალური სამუშაო გრაფიკის შემუშავება. მკურნალობის დაწყების გადაწყვეტილების შემთხვევაში ფსიქოთერაპიის კურსი უნდა მაღალკვალიფიცირებულ სპეციალისტმა ჩაატაროს, რომელმაც დეტალურად შეისწავლის და გაანალიზებს ყოველ კონკრეტული შემთხვევას.

მარინე შაქარაშვილი

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორი,
მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი

გამოყენებული ლიტერატურა

1. დათო შუბლაძე - “კაცის გენდერული როლი” <http://lgbt.ge/?p=2054&lang=en>;
2. (<http://totalcomingout.ru/sex/ancient-same-sex-relationships/>);
3. ჰომოსექსუალიზმი (სოლომია) - უმძიმესი ცოდვა, გაზეთი “საპატრიარქოს უწყებანი” № 11 (113), 2001 წ.;
4. ეკა აღდგომელაშვილი, “ცოდვა, დანაშაული, დაავადება, ნორმა “ - ჟურნალი “მე” №11, <http://minority.ge/library/publications/sin-crime-illnes-norm/> ;
5. (<http://labrys.ru/node/7417>);
6. European Parliament resolution on homophobia in Europe (P6_TA(2006)0018 – 18 January 2006 Schultz G. NARTH Report Shows Gay Activist Influence on Mental Health Organizations Says society that promotes homosexuality results in more self-identified homosexuals // <http://www.lifesite.net/ldn/2006/feb/06020902.html>;
7. George Weinberg – ‘Society and the Healthy Homosexual’, 1972;
8. Международная классификация болезней (10-й пересмотр). Классификация психических и поведенческих расстройств. Клинические описания и указания по диагностике. Всемирная организация здравоохранения. – Санкт-Петербург: АДИС, 1994. – 304 с.;
9. Satinover J.B. The Trojan Couch: How the Mental Health Guilds Allow Medical Diagnostics, Scientific Research and Jurisprudence to be Subverted in Lockstep with the Political Aims of their Gay Sub-Components // National Association for Research and Therapy of Homosexuality. CONFERENCE REPORTS, 2005 // <http://www.narth.com/docs/TheTrojan-CouchSatinover.pdf>;
10. Nicolosi J. Reparative therapy of male homosexuality. A new clinical approach. – Lancham, Boulder, New York, Toronto, Oxford: A Jason Aronson Book. Rowman & Littlefield Publishers, Inc., 2004. – XVIII, 355 p.;
11. Nicolosi L.A. Sexual Orientation Change Is Possible – But Only Outside Of Therapy, Says

APA Office Of Gay Concerns // <http://www.narth.com/docs/outsideof.html>;

12. Кош И. С., 2003 მაკროსოციალური ფაქტორები;

13. ეკა აღდგომელაშვილი: “იდეოლოგიური ჰომოფობია”, ჟურნალი სოლიდარობა 3(30) , 2009;

14. ეკა აღდგომელაშვილი: “იდეოლოგიური ჰომოფობია”, ჟურნალი სოლიდარობა 3(30) , 2009;

15. ანი ბერუკაშვილიანი ბერუკაშვილი - “ლგბტ პირთა დისკრიმინაცია საქართველოში” 2012.05.19

<http://netgazeti.ge/GE/105/law/9575/>

<http://minority.ge/library/publications/ideological-homophobi/>;

16. ანა კორძაია-სამადაშვილი -- “საფრთხე-ჰომოფობია”, ბლოგი ‘ცხელი შოკოლადი’ 1 ივნისი, 2008წ

17. ანი ბერუკაშვილი - “ლგბტ პირთა დისკრიმინაცია საქართველოში” 2012.05.19

<http://netgazeti.ge/GE/105/law/9575/>;

18. ჰომოფობია როგორც სოციალური პრობლემა

http://niniakakabadze.blogspot.com/2009/10/blog-post_12.html

19. “Correlates of Internalized Homophobia in a Community Sample of Lesbians and Gay Men” - Journal of the Gay And Lesbian Medical Association, 1997, 2. <http://psychology.ucdavis.edu/rainbow/html/JGLMApre.pdf>

Dealing with Homophobia and Homophobic Bullying in Scottish Schools , page 20 http://www.educationscotland.gov.uk/Images/LGBTNov11_tcm4-512286.pdf ;

20. CBC Montreal’s series The New Normal Part two, <http://www.cbc.ca/news/canada/montreal/story/2012/11/09/montreal-same-sex-families-homophobia-education-new-normal.html>.

მარინე შაქარაშვილი

ჰომოფობია საქართველოში

რეზიუმე

ნაშრომში განხილულია ჰომოფობიასთან დაკავშირებული პრობლემების კრიმინოლოგიური ხასიათი. კერძოდ დახასიათებულია ბიოლოგიური სქესი და სექსუალური ორიენტაცია; განხილულია ჰომოსექსუალობის მიზეზები, მათ შორის ბიოლოგიური, ფსიქოლოგიური და სოციალურ-ფსიქოლოგიური თეორიებიდან გამომდინარე, ასევე დახასიათებულია ზოგადად ჰომოფობია, ქართული მენტალიტეტი და ჰომოფობია, ამ კუთხით საერთაშორისო გამოცდილება, საქართველოს კანონმდებლობა და სამედიცინო დახმარება.

Гомофобия в Грузии

Резюме

В статье рассматриваются криминологические аспекты, связанные с проблемой гомофобии: причины гомосексуализма - биологические, психологические и социально-психологические теории; проблема гомофобии в Грузии и пути их решения-анализ международного опыта, усовершенствование существующего законодательства, обеспечение населения полной и адекватной информацией и в случае необходимости медицинской помощи.

Marine Shakarashvili

Homophobia in Georgia

Summary

The article deals with the criminological aspects related to the problems of homophobia and causes of homosexuality - biological, psychological and socio-psychological theories. The problems of homophobia in Georgia and ways to solve them; Analysis of international experience, improvement of existing legislation, education of society - submission of a full and adequate information to the public and, if necessary, provision of the necessary medical assistance are reviewed.

მალხაზ ბაბაძე

საქართველოდან საზღვარგარეთის საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის გაგრძელებისა და განათლების შემდგომ სრულყოფასთან დაკავშირებული საკითხები

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტიდან და გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტიდან და სხვა უმაღლესი სასწავლებლებიდან ყოველწლიურად ასობით ჩვენი ქვეყნის მოქალაქე სწავლის გაგრძელების, კვალიფიკაციის ამაღლების და განათლების შემდგომი სრულყოფის მიზნით, სხვადასხვა დონის შეთანხმების საფუძველზე, სხვადასხვა ვადით მიემგზავრება საზღვარგარეთის საგანმანათლებლო დაწესებულებებში (საკითხი შესწავლილ იქნა ზემოაღნიშნული უმაღლესი სასწავლებლების მაგალითზე).

გრძელვადიანი – სამი თვიდან ხუთ წლამდე პერიოდი:

- სახელმწიფოს მიერ მსოფლიოს წამყვან სასწავლებლებში სწავლების დაფინანსება;
- სახელმწიფოთა შორის ხელშეკრულება – გაცვლითი პროგრამა;
- უნივერსიტეტებს შორის, ფაკულტეტებს შორის ხელშეკრულება – ორმაგი დიპლომის მოპოვება;
- სახელმწიფოთა შორის, უნივერსიტეტებს შორის, ფაკულტეტებს შორის ხელშეკრულება – სემესტრული კრედიტების მიღება;
- სახელმწიფოთა შორის ხელშეკრულება – ენის შემსწავლელი კურსები;

მოკლევადიანი – ორი კვირიდან ექვს კვირამდე ვადით:

- უნივერსიტეტებს შორის ხელშეკრულებით სტაჟირება;
- საზაფხულო სკოლები;
- ენის შემსწავლელი კურსები;
- საერთაშორისო პროგრამებში მონაწილეობა;
- კონფერენცია, სემინარებში მონაწილეობა;

ფუნქციონალურად აღნიშნულ საკითხებზე მუშაობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სამი სამსახური:

სახელმწიფოთაშორის ხელშეკრულებით დაგეგმილ სტუდენტთა გაგზავნა წარმოებს სამინისტროს უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების განვითარების დეპარტამენტის უმაღლესი განათლების განვითარების სამმართველოს მეშვეობით. აღნიშნული დეპარტამენტი საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროდან იღებს შესაბამისი ქვეყნიებიდან ან საელჩოებიდან, უმაღლესი სასწავლებლებიდან შემოთავაზებებს და აწარმოებს ინტერნეტის საშუალებით მოპოვებული ინფორმაციის გავრცელებას შესაბამისი კანდიდატურების მოსაძიებლად.

სახელმწიფოთაშორის ხელშეკრულებით დაფინანსებით უზრუნველყოფის შემთხვევაში კანდიდატებს არჩევს დეპარტამენტში არსებული სპეციალური კომისია დაინტერესებული მხარეების მონაწილეობით. ამ მიმართულებით ინტენსიური მუშაობა მიმდინარეობს თურქეთის რესპუბლიკასთან, სადაც ჩვენი ქვეყნიდან ყოველწლიურად იგზავნება 80 – 100 სტუდენტი. ასევე ამ სახით მიმდინარე წელს იგზავნება სტუდენტები ეგვიპტეში (5); ქუვეითში (2); ჩეხეთში (2); სომხეთში (7); პოლონეთსა და უკრაინაში (1).

სახელმწიფოს მიერ მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებში სტუდენტთა საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებზე სწავლების დაფინანსება წარმოებს სამინისტროს საერთაშორისო ურთიერთობებისა და პროგრამების დეპარტამენტის საზღვარგარეთ საგანმანათლებლო პროგრამების სამმართველოს მეშვეობით. აღნიშნული დეპარტამენტი შეიქმნა საქართველოს პრეზიდენტის ფონდის პროგრამის “ცოდნის კარი“-ს 2005 წელს ლიკვიდაციის შემდეგ. ამჟამად აღნიშნული ფუნქცია გადავიდა 2014 წელს საქართველოს პრემიერ მინისტრის ინიციატივით პროექტების ფარგლებში დაარსებულ “განათლების საერთაშორისო ცენტრში”, რომელიც ანხორციელებს სამ პროგრამას: 1) სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების დაფინანსება; 2) საძღვარგარეთ მცხოვრები მეცნიერებისა და პრაქტიკოსების მოწვევა საქა-

როველოში; 3) საჯარო მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და პროფესიული მომზადების პროგრამა.

ამჟამად, განათლების საერთაშორისო ცენტრის სრულ ამოქმედებამდე, დროებით – 2013 – 2014 სასწავლო წლის ბოლომდე, სამინისტროს საერთაშორისო ურთიერთობათა და პროგრამების დეპარტამენტი აწარმოებს ადმინისტრირებას შემდეგი პროგრამების;

- 1) სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამა;
- 2) სახელოვნებო და შემოქმედებითი მიმართულების საგანმანათლებლო პროგრამა;
- 3) ნიჭიერი, გამორჩეული უნარ – ჩვევების და მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე პირთა საგანმანათლებლო პროგრამა.

სამივე პროგრამით გათვალისწინებულია საზღვარგარეთის საგანმანათლებლო დაწესებულებებში სტუდენტთა სწავლის დაფინანსება.

უნივერსიტეტებს შორის და ფაკულტეტებს შორის ხელშეკრულებით გაცვლითი პროგრამები, სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის გამგზავრების ადმინისტრირებას ახდენს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ადმინისტრაციები. თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში ამ საქმიანობას ხელმძღვანელობს საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში – საერთაშორისო ურთიერთობათა და სტანდარტების სამსახური, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტში რექტორის ერთ – ერთი მოადგილე.

გამგზავრებისათვის კანდიდატებს მოეთხოვებათ:

- შესაბამისი ქვეყნის საგანმანათლებლო დაწესებულების მოწვევის წერილი;
- საკონსულო დაწესებულების თანხმობა;
- ფინანსური გარანტია.

ამ პროცესს, სახელმწიფო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, კოორდინაცია უწევს საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტრო უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების განვითარების დეპარტამენტის მეშვეობით.

რაც შეეხება ზოგადად საქართველოში, როგორც სახელმწიფო ისე კერძო საგანმანათლებლო დაწესებულებების საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაციის ხელშეწყობას, საზღვარგარეთ მიღებული განათლების ცნობა/აღიარებას, ანხორციელებს სამინისტროს ს.ს.ი.პ. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, რომლის ინფორმაციით 2013 წელს საზღვარგარეთ მიღებული განათლება უღიარეს 7345 საქართველოს მოქალაქეს, ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიღებული განათლება უღიარეს 12 პირს, საზღვარგარეთის საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის შესახებ ცნობა მიეცა 879 მოქალაქეს, ცენტრი გასცემს საქართველოსა და საზღვარგარეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის გაცვლითი პროგრამების, მემორანდუმების არსებობის აღიარებაზე წინასწარ თანხმობებს 2 წლის ვადით (2).

აღსანიშნავია, რომ საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურში წარმოებს როგორც სახელმწიფო ასევე კერძო სასწავლებლებიდან ინფორმაციის შეკრება, მათ შორის, საზღვარგარეთ სტუდენტთა გაგზავნის შესახებ. 2013 – 2014 წლის სასწავლო მონაცემებით საქართველოდან გაგზავნილ სტუდენტთა რაოდენობა შეადგენს 562

კაცს, მათ შორის: თურქეთში – 88; გერმანიაში – 73; უკრაინაში -57; პოლონეთში – 29; ესტონეთში – 17; ესპანეთში – 15 (3).

აღნიშნული პროცესი სახელმწიფოს უმაღლეს სასწავლებლებში შედარებით ორგანიზებულად მიმდინარეობს, ამ საქმიანობთ დაკავშირებული ექსპერტ – სპეციალისტების აზრით, სტატისტიკა რეალური პროცესის 20%-საც ვერ ასახავს. გაგზავნილ სტუდენტთა რაოდენობა განსაკუთრებით დიდია “თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი”-დან, “საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი”-დან, “ილიას უნივერსიტეტი”-დან, “თავისუფალი უნივერსიტეტი”-დან, “კავკასიის უნივერსიტეტი”-დან, “საქართველოს უნივერსიტეტი”-დან. თითქმის სრულიად უკონტროლოა სტუდენტთა საკუთარი ინიციატივით საზღვარგარეთის საგანმანათლებლო დაწესებულებებში განათლების მიღების პრაქტიკა, აღნიშნულზე არ მოიპოვება ინფორმაცია.

თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI)-ის კვლევების მიხედვით 2010 – 2015 წლებში მხოლოდ 23 ქვეყანაში ჩადენილი დანაშაულისათვის საქართველოს 3 715 მოქალაქეა დაკავებული. არ არის გამორიცხული, რომ მათ შორის ზემოაღნიშნული კატეგორიის პირებიც იყვნენ (4).

ზოგადად ამ პროცესის ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე სისტემური, ორგანიზებული, სრულყოფილი წარმართვისათვის საზღვარგარეთის ქვეყნებში მყოფ პირთა უსაფრთხოებისათვის, მათ მიერ მიღებული ცოდნის ჩვენს ქვეყანაში შემდგომი რეალიზაციისათვის, მიზანშეწონილია განხორციელდეს გარკვეული ორგანიზაციული ღონისძიებები, აპლიკანტების დამოუკიდებელ კომისიებთან გასაუბრებების, მათი შემდგომ ქვეყანაში დაბრუნებისა და დასაქმების მიზნით. პირველ ეტაპზე სახელმწიფოთშორისი ხელშეკრულებით და სახელმწიფოს მიერ დაფინანსებით წარგზავნილთა მიმართ, ხოლო მეორე ეტაპზე შესაძლებელია იგივე ღონისძიებები უნივერსიტეტებშორისი და პროგრამებით წარგზავნილებისთვის იქნება შესაძლებელი – რაც მოიცავს საერთო წარგზავნილების თითქმის 40%-ს.

პროცესის უზრუნველყოფა და კოორდინაცია უნდა დაეკისროს, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, აღნიშნული პროექტების განმახორციელებელ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და განათლების საერთაშორისო ცენტრს, საქართველოს შორმის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს, დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატისა და შესაბამისი სპეციალური სამსახურების ჩართულობით.

მალხაზ ბაბაღუა

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის
კრიმინოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი,
იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

გამოყენებული ლიტერატურა:

1. www.mes.gov.ge;
2. www.eqe.ge;
3. www.geostat.ge
4. www.kvirispalitra.ge

**საქართველოდან საზღვარგარეთის საგანმანათლებლო დაწესებულებებში
სწავლის გაგრძელებისა და განათლების შემდგომ სრულყოფასთან
დაკავშირებული საკითხები**

რეზიუმე

ნაშრომში განხილულია საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტების, აკადემიური პერსონალის და მკვლევარების საზღვარგარეთის საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის გაგრძელების, კვალიფიკაციის ამაღლებისა და განათლების შემდგომ სრულყოფასთან დაკავშირებული საკითხები.

სტატისტიკის საფუძველზე გაანალიზებულია ამ კუთხით ქვეყანაში არსებული პრაქტიკა, მოცემულია რეკომენდაციები.

Malxaz Badzagua

Вопросы связанные с продолжением обучения и совершенствование дальнейшего образования с Грузии в зарубежных образовательных учреждениях.

Резюме

В статье рассматриваются вопросы связанные с продолжением обучения и повышения квалификации студентов, академического персонала и исследователей для совершенствования дальнейшего образования в высших школах Грузии в зарубежных учреждениях.

На основе статистики проанализирована нынешняя практика в стране. Даны рекомендации.

Malkhaz Badzagua

Issue related to continuing and furthering education from Georgia onward to foreign educational institutions

Summary

The article deals with the issues related to the continuing learning, raising qualification of the students, academic staff and researchers for further improvements of education from high schools of Georgia to the foreign educational institutions.

Based on statistic in this respect existing practice of the country is analyzed. Some recommendations are also given.

დაზარალებულისა და დანაშაულის მსხვერპლის

სამართლებრივი და კრიმინოლოგიური ასპექტები

მეცნიერება დაზარალებულის შესახებ (ვიქტიმოლოგია) იყენებს ცნებებს „დანაშაულის მსხვერპლი“ და „დაზარალებული,“ რომლებიც არ არის ერთი და იგივე. აღნიშნული ცნებების თანაფარდობის გარკვევისათვის საჭიროა დავაზუსტოთ ვიქტიმოლოგიის საგნობრივი მხარე.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის 22-ე ნაწილის მიხედვით დაზარალებული არის სახელმწიფო, ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელსაც მორალური, ფიზიკური თუ ქონებრივი ზიანი მიადგა უშუალოდ დანაშაულის შედეგად. აქედან გამომდინარე დაზარალებული შეიძლება იყოს ნები-სმიერი ასაკის ფიზიკური პირი ან იურიდიული პირი.

იურიდიული პირის განმარტება მოცემულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 24-ე მუხლის პირველ ნაწილში, რომლის თანახმად იურიდიული პირი არის განსაზღვრული მიზნის მისაღწევად შექმნილი საკუთარი ქონების მქონე ორგანიზაციული წარმონაქმნი, რომელიც თავისი ქონებით დამოუკიდებლად აგებს პასუხს და საკუთარი სახელით იძენს უფლებებს და მოვალეობებს, დებს გარიგებებს და შეუძლია სასამართლოში გამოვიდეს მოსარჩელედ და მოპასუხედ.

ზიანი დაზარალებულს უნდა მიადგეს უშუალოდ დანაშაულის, ანუ მართლ-საწინააღმდეგო და ბრალეული ქმედების შედეგად, იმ პირის მიერ, ვინც უშუალოდ არის დამნაშავე კონკრეტული დანაშაულის ჩადენაში და რისთვისაც განისაზღვრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით.

გამოძიების სტადიაზე შეიძლება გაკეთდეს მხოლოდ სავარაუდო დასკვნა ზიანის, კონკრეტულად დანაშაულის შედეგად მიყენების შესახებ, რადგან საბოლოოდ მხოლოდ სასამართლოს შეუძლია გადაწყვიტოს საკითხი, არის თუ არა კონკრეტული ინკრიმინირებული ქმედება დანაშაული. თუ ბრალდებულს არ ჩაუდენია სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედება ან ბრალდებულის ქმედება არ არის მართლ საწინააღმდეგო, მაშინ საქართველოს სსს კოდექსის 270-ე მუხლის თანახმად სასამართლო ადგენს გამამართლებელ განაჩენს.

დაზარალებულის ზემოთ აღნიშნული საკანონმდებლო განსაზღვრებიდან გამომდინარე არ შეიძლება დაზარალებულად ცნობილი იქნას სპეციალური ჯგუფი (ოჯახი, შრომითი კოლექტივი, სპორტული გუნდი და ა.შ).

სამეცნიერო ლიტერატურაში არაერთხელ იქნა განხილული ისეთი საკითხები, როგორც არის დანაშაულის მომზადების და მცდელობის დროს დაზარალებულის ფიგურის წარმოქმნის და პირის დაზარალებულად ცნობის შესახებ, იმ პირთა სამართლებრივი სტატუსის შესახებ, რომელთაც ზიანი მიადგათ მათივე მართლსაწინააღმდეგო და ამორალური ქმედების შედეგად.

თუ დანაშაულის მცდელობისას ადგილი აქვს ზიანის არსებული სახეებიდან რომელიმე სახის ზიანს, თუნდაც მორალურ ზიანს, ფიზიკურ და სულიერ ტანჯვას, რადგან მათი გადატანა ადამიანს შეიძლება მოუხდეს დანაშაულის მცდელობის დროსაც, აუცილებელია პირი ცნობილი იქნას დაზარალებულად.

მორალური, ფიზიკური და ქონებრივი ზიანის ფაქტიურად მიყენებისას პირის დაზარალებულად ცნობა უნდა მოხდეს როგორც დანაშაულის მცდელობის ჩადენის, ასევე დანაშაულის მომზადების დროს. მაგ. თუ პიროვნებამ გაიგო, რომ მისი სიცოცხლის ხელყოფის მომზადებას ან მცდელობას ჰქონდა ადგილი, საეჭვოა, რომ მას სულიერი წონასწორობის შენარჩუნება გამოუვიდეს, პირიქით სტრესული სიტუაციის დაძლევის, გადალახვისათვის შეიძლება მას დაჭირდეს კვალიფიციური ფსიქოლოგიური დახმარება.

სწორედ ამგვარად არის გადაწყვეტილი საკითხი საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 56-ე მუხლის მე-4 ნაწილით, რომლის მიხედვით დანაშაულის მომზადების ან მცდელობის შემთხვევაში დაზარალებულია სახელმწიფო, ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელსაც შეიძლება მისდგომოდა ზიანი.

პრაქტიკაში შესაძლებელია გარკვეული სიძნელეები წარმოიქმნას დაზარალებულთა წრის განსაზღვრის დროს. მაგ. საყოველთაოდ საშიში საშუალებით ტერორისტული აქტის ან მკვლელობის მცდელობის ჩადენის დროს ძნელია და არარეალურია ყველა იმ პირის დადგენა, რომლებიც შეიძლება ყოფილიყვნენ დანაშაულის შემთხვევის ადგილზე და რომელთაც მიაღვათ გარკვეული სახის ზიანი.

საზღვარგარეთის ქვეყნების სამეცნიერო წრეებში გამოითქმება იდეა იმის შესახებ, რომ თითქოს ყველა პირს არ შეიძლება ჰქონდეს დაზარალებულად ცნობის უფლება, მაშინაც კი, როცა სახეზეა ყველა ის ნიშანი, რაც დასახელებულია კანონში და აუცილებელია პირის ქცევის გათვალისწინება ხელყოფამდე და მის პროცესში. მაგრამ ჩვენი აზრით ეს მოსაზრება არასწორია და დაზარალებულთა დაყოფა ე.წ. „დამნაშავედ“ და „არადამნაშავედ“ და ამ კრიტერიუმებით პროცესში მონაწილე პირის გამოირიცხვა დაზარალებულთა კატეგორიიდან, ზიანს მიაყენებს სამართალწარმოებას.

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ დაზარალებული არის აქტიური საპროცესო ფიგურა. შეჯიბრობითობის საწყისებზე აგებულ სისხლის სამართლის პროცესში ყველა მონაწილეს უნდა ჰქონდეს თანაბარი შესაძლებლობა მისი უფლებების განხორციელებისათვის. სწორედ ამიტომაც, მეცნიერთა დიდი ნაწილის აზრით აუცილებელია ყველა პირის ცნობა დაზარალებულად, ვისაც დანაშაულით მიაღვა ზიანი, მიუხედავად იმისა, ამ გარემოებასთან როგორაც არ უნდა იყოს ის დაკავშირებული. [5.56].

იურიდიულ და სოციოლოგიურ ლიტერატურაში დიდი ხანია მიმდინარეობს დებატები დანაშაულის მსხვერპლის ცნების განსაზღვრების შესახებ. როგორც ჩვენი, ასევე საერთაშორისო სამართლებრივი აქტები არ შეიცავენ ცნებას „დანაშაულისაგან დაზარალებული“. მის ნაცვლად გამოიყენება ცნება „დანაშაულის მსხვერპლი“, მიუხედავად იმისა, რომ როგორც ზემოთ აღინიშნა თავისი შინაარსით ეს ცნებები არ არის ერთი და იგივე.

დანაშაულის მსხვერპლის ვიქტიმოლოგიური ცნება შეიძლება არ დაემთხვეს სისხლის სამართლის საპროცესო ცნებას, როგორც არ ემთხვევა მაგალითად დამნაშავის კრიმინოლოგიური ცნება ბრალდებულის სისხლის სამართლის საპროცესო ცნებას. საქმე იმაშია, რომ საპროცესო წესით პირის დაზარალებულად ცნობა ხდება პროკურორის და მოსამართლის დადგენილებით. მაგრამ, ზოგიერთ შემთხვევაში პირი, რომელიც დაზარადა დანაშაულის შედეგად, გარკვეული მიზეზების გამო შეიძლება არ იყოს გამოვლინებული, თუმცა ის ყველა შემთხვევაში შეიძლება იყოს მსხვერპლი. ამავე დროს გვხვდება შემთხვევები, როცა დაზარალებულად ცნობილია პიროვნება, რომელმაც მოახდინა საკუთარი თავის ხელყოფის ინსცენირება, თუ ინსცენირება თავიდანვე ცნობილი არ იყო.

თეორიაში, მეცნიერების მხრიდან დანაშაულის მსხვერპლთან მიმართებაში არსებობს ორი პოზიცია. პირველ პოზიციას წარმოადგენენ ისეთი მეცნიერები, როგორც არიან ლ. ფრანკი ვ. რიბალსკაია ვ. კონოვალოვი და სხვები. ამ ავტორების აზრით ვიქტიმოლოგიური გაგებით დანაშაულის მსხვერპლი – ეს არის ადამიანი ან ადამიანთა გარკვეული ერთობა მათი ინტეგრაციის ნებისმიერი ფორმით, რომელთაც პირდაპირ თუ ირიბად დანაშაულის გზით მიაღვათ ზიანი.

რიგი მეცნიერები კი, რომლებიც ეყრდნობიან რა სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობისა და მატერიალური სამართლის ძირითად დებულებებს, ამტკიცებენ, რომ დანაშაულის მსხვერპლი შეიძლება იყოს მხოლოდ ფიზიკური პირი, რომელთაც დანაშაულებრივი გზით მიაღვათ მორალური, ფიზიკური თუ მატერიალური ზიანი. მათ შორის არის ცნობილი მეცნიერი, პროფესორი დ. რივმანი. [6.35].

მაგ. კანადელი მეცნიერი მ. ბარილი დანაშაულის მსხვერპლად მიიჩნევს პირს (ან პირთა ჯგუფს), რომელმაც მის ძირითად უფლებებზე სხვა პირის (ან პირთა ჯგუფის) მიერ შეგნებულად განიცადა უშუალო ხელყოფა. [7.60].

სრულად ვეთანხმებით დ. რივმანის აზრს, რომ ვიქტიმოლოგიაში დანაშაულის მსხვერპლად ცნობილი იქნას ფიზიკური პირი, რომელიც ფლობს ისეთ ინდივიდუალურ თვისებებს, რომლებიც განსაზღვრავს დანაშაულის მსხვერპლად გახდომის შესაძლებლობას (ვიქტიმურობა).

„დანაშაულთა და ხელისუფლების ბოროტად გამოყენების მსხვერპლთათვის მართმსაჯულების განხორციელების ძირითადი პრინციპების შესახებ“ გაეროს 1985 წლის დეკლარაციის მიხედვით „დანაშაულის მსხვერპლის“ ტერმინის ქვეშ იგულისხმება პირი, რომელსაც ინდივიდუალურად და კოლექტიურად მიაყენეს ზიანი, მათ შორის სხეულის დაზიანება ან მორალური ზარალი, ემოციური ტანჯვა, მატერიალური ზარალი, ან მოხდა მის ძირითად უფლებათა საფუძვლიანი შელახვა მოქმედების ან უმოქმედობის გამო. [8.4].

ამასთან „მსხვერპლის“ ტერმინში საჭირო შემთხვევაში ჩართულია უშუალოდ მსხვერპლის ახლი ნათესავები ან მსხვერპლის უშუალო კმაყოფაზე მყოფი პირები, ასევე პირები, რომელთაც ზიანი მიაღვათ განსაცდელში მყოფი მსხვერპლისათვის დახმარების აღმოჩენის დროს. ამდენად, ვიქტიმოლოგიის აზრით დანაშაულის მსხვერპლად მიჩნეულია მხოლოდ პირი, რომელიც დაზარალდა სისხლის სამართლის კანონით აკრძალული ქმედების (მოქმედების ან უმოქმედობის) შედეგად.

როგორც ცნობილია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებულია სისხლის სამართლის პროცესის მონაწილეთა დაცვის სპეციალური ღონისძიებანი. მათ შორის არის დაზარალებულიც. ამასთან სახელმწიფო დაცვის ზომები შეიძლება აგრეთვე გამოყენებული იქნას გამოძიების დაწყებამდე განმცხადებლის, თვითმხილველის ან დანაშაულის მსხვერპლის მიმართ. ამდენად, ზოგიერთ შემთხვევაში დანაშაულის მსხვერპლი გარკვეულად აღჭურვილია დაზარალებულის უფლებებით, თუმცა ფორმალურად ასეთად არ არის აღიარებული.

თუ სხვადასხვა კუთხით გავაანალიზებთ დანაშაულის მსხვერპლის ცნებას და მის თანაფარდობას დაზარალებულის ცნებასთან, მივაღწეოთ იმ დასკვნამდე, რომ დანაშაულის მსხვერპლის ცნება არის გაცილებით ფართო დაზარალებულის ცნებასთან შედარებით. ეს ცნებები გარკვეულად ემთხვევა ერთმანეთს, მაგრამ მათ ასევე გააჩნიათ მთელი რიგი განსხვავებული ნიშნები, კერძოდ:

- ა) საპროცესო ურთიერთობებში დანაშაულის ყველა მსხვერპლი არ ხდება დაზარალებული, ხოლო დაზარალებული დანაშაულის მსხვერპლისაგან განსხვავებით

არსებობს როგორც კანონის ფარგლებში მოქცეული საპროცესო ფიგურა.

- ბ) დანაშაულის მსხვერპლი დაზარალებულის სტატუს ღებულობს და როგორც დაზარალებული, სისხლის სამართალწარმოებაში გვევლინება მას შემდეგ, რაც კომპენტენტური ორგანოები და თანამდებობის პირები სპეციალური დადგენილებით ან განჩინებით ცნობენ პირს დაზარალებულად, ხოლო დანაშაულის მსხვერპლი არსებობს საპროცესო აქტის გამოტანის გარეშე.
- გ) დანაშაულის მსხვერპლი შეიძლება იყოს რეალური ან პოტენციური, გამოუვლინებელი ან ფარული, ხოლო დაზარალებული ყოველთვის ცნობილია, რადგან იგი ოფიციალურად საპროცესო წესით არის აღიარებული ასეთად.
- დ) სისხლის სამართლებრივი არსით დაზარალებული, დანაშაულის მსხვერპლისაგან განსხვავებით შეიძლება იყოს არა მარტო ფიზიკური, არამედ იურიდიული პირი. ასევე ცალკეულ შემთხვევებში დაზარალებულად იცნობა არა უშუალოდ დანაშაულის მსხვერპლი, არამედ მისი ახლო ნათესავები.

თუმცა ასეთი განსხვავების მიუხედავად, მატერიალური ასპექტით და თავისი კომპონენტებით ეს ცნებები გარკვეულად ემთხვევა ერთმანეთს, რადგან როგორც დანაშაულის მსხვერპლად, ასევე დაზარალებულად გვევლინება პირი, რომელსაც დანაშაულის გზით მიაღდა მორალური, ფიზიკური თუ ქონებრივი ზიანი.

გივი აბაშიძე

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი, სამართლის დოქტორი,

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს კონსტიტუცია. თბილისი. 1995 წ.
2. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. თბილისი. 2014 წ
3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, თბ. 2014 წლის მდგომარეობით
4. საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი. ზოგადი ნაწილი (მეორე გამოცემა), ავტორთა კოლექტივი, თბ. 2013 წელი
5. Кокорев Л.Д. Некоторые вопросы виктимологии, ее влияние на признание лица потерпевшим и его участие в расследовании и профилактике преступлений // Виктимология и профилактика правонарушений: Сборник научных трудов. - Иркутск., 1979
6. Ривман Д.В. Криминальная виктимология. – СПб.: Питер, 2002
7. Тюрин Д.П. Рассмотрение проблемы виктимологии по материалам исследований, проводимых в Канаде // Научная информация по вопросам борьбы с преступностью. - М., 1985. - №86.
8. გაეროს დეკლარაცია „დანაშაულთა და ხელისუფლების ბოროტად გამოყენების მსხვერპლთათვის მართლმსაჯულების განხორციელების ძირითადი პრინციპების შესახებ“, 1985 წ

**დაზარალებულისა და დანაშაულის მსხვერპლის
სამართლებრივი და კრიმინოლოგიური ასპექტები
რეზიუმე**

წარმოდგენილ ნაშრომში განხილულია დაზარალებულისა და დანაშაულის მსხვერპლის ვიქტიმოლოგიური და სისხლის სამართლის საპროცესო ცნებები, მათი სამართლებრივი რეგულირების თავისებურებები და აღნიშნული ცნებების თანაფარდობის საკითხები.

გივი აბაშიძე

Правовые и криминологические аспекты пострадавших и жертв преступления

Резюме

В статье рассмотрены понятия пострадавших и жертв преступления в уголовном праве и виктимологии. Особенности их правового регулирования и соотношение содержания этих понятий.

Givi Abashidze

Legal and criminological aspects of the survivor and the victim of a crime

Summary

The article deals with the discussion of criminal procedure and victimology concepts of sufferer and victim of a crime, their peculiarities of the legal regulation and the ratio issues of the noted concepts.

**მოსაზრებები სისხლის სამართლის პოლიტიკის რეფორმასთან
დაკავშირებით – ნულოვანი ტოლერანტობიდან რეალურ ლიბერალიზაციამდე**

საპატიმრო დაწესებულებებში გადატვირთულობის მიზეზს, როგორც ცნობილია, წარმოადგენს ხელისუფლების მიერ ბოლო წლებში წარმოებული ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკა, რომელიც წვრილმანი დანაშაულის მიმართ საქართველოს პრეზიდენტმა 2006 წლის 16 თებერვალს პარლამენტში ყოველწლიურ საანგარიშო მოხსენების წარდგენისას გამოაცხადა. ამ პოლიტიკის მყისიერი განხორციელების ფაქტს ადასტურებს საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემები ქვეყანაში რეგისტრირებულ დანაშაულთა შესახებ. საიდანაც ჩანს, რომ 2000-2006 წლებში მძიმე დანაშაულის ხვედრითი წილი საერთო დანაშაულთა შორის მერყეობდა 47-71 პროცენტებს შორის ხოლო 2006 წლის შემდგომ მკვეთრად დაეცა, მაქსიმუმ 31 პროცენტს შეადგენდა, კონკრეტულად 2011 წელს კი 28 პროცენტი იყო, ხოლო ნაკლებად მძიმე დანაშაულთა მოცულობამ 71.5 პროცენტს მიაღწია რეგისტრირებულ 32263 დანაშაულს შორის. ამავე პერიოდში მკვეთრად გაიზარდა მსჯავრდებულ პირთა რაოდენობა – თუ 2006 წლამდე მათი რიცხვი წელიწადში 9200 არ აღემატებოდა 2006 წელს უკვე 16911 იყო და მომდევნო წლებში 21 000 გადააჭარბა, ხოლო 2011 წელს მათი რიცხვი 18153 იყო. ასევე თავისუფლების აღკვეთის შეფარდების ტენდენციაც – 2005 წლის ჩათვლით თავისუფლების აღკვეთა წელიწადში მაქსიმუმ 3500 ადამიანს ეფარებოდა უკვე 2006 წელს ეს რიცხვი 7930 იყო და მომდევნო წლებში 7500-10 000 შორის მერყეობდა. 2004-2005 წლებში ყველაზე ხშირად გამოიყენებოდა 1 წლამდე თავისუფლების აღკვეთის საპატიმრო სასჯელი დაახლოებით 24% – 2006-2007 წლებში უკვე ხშირი იყო 5დან 8 წლამდე პატიმრობა დაახლოებით 22 პროცენტი. საინტერესოა არასაპატიმრო ისეთი სასჯელის ღონისძიების სტატისტიკა როგორცაა ჯარიმა, რომელიც საერთო სურათიდან ამოვარდნილია – განახევრებულია 2006 წლის შემდეგ, რაც ნულოვანი ტოლერანტობის მიდგომით შეიძლება აიხსნას.

ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკის გატარებას დასჭირდა მრავალი მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ცვლილება, საიდანაც ხაზი მინდა გავუსვა მოსამართლის დისკრეციის გაუქმებას – განსაკუთრებული შემამსუბუქებელი გარემოების არსებობისას დამნაშავის პიროვნების გათვალისწინებით დაენიშნა კანონით გათვალისწინებულზე უფრო მსუბუქი სასჯელი და ასევე თავისი შეხედულებისამებრ დაენიშნა პირობითი მსჯავრი, რისთვისაც დღეს უკვე საჭიროა მხარეებს შორის საპროცესო შეთანხმების არსებობა. ასევე აღსანიშნავია პროკურორის დისკრეციული უფლების შემოტანა არ დაიწყოს ან შეწყვიტოს სისხლისსამართლებრივი დევნა და განარიდოს პიროვნება სისხლის სამართლის პროცესს თავის შეხედულებისამებრ გარკვეული პრინციპების გათვალისწინებით. ამ და სხვა ცვლილებით შემცირდა მოსამართლის როლი, ხოლო უზომოდ გაიზარდა პროკურორის უფლებამოსილება, წინა პლანზე წამოიწია პროკურატურის მხრიდან ბრალდებულებზე ფინანსური სახდელების დაკისრება, სისხლისსამართლის დევნის შეწყვეტის სანაცვლოდ.

პროკურატურა და ზოგადად სამართალდამცავი სისტემა ჩამოყალიბდა სადამსჯელო ორგანოდ რომლის ძირითადი ამოცანაა არა ფაქტზე ჭეშმარიტების დადგენა, დანაშაულობის პრევენცია და ნამდვილ დამნაშავეთა დასჯა, არამედ მოსახლეობის დაშინება, ეჭვმიტანილზე - ბრალდებულზე ფსიქოლოგიური ზეწოლა, მხოლოდ ბრალდებისთვის სასარგებლო მტიცებულებების ტენდენციური შეგროვება და აღიარებითი ჩვენების გამოძალვა. რა დროსაც ისინი განუზომლად დიდ დროს უთმობენ

არა დანაშაულის გამოძიებას და სამართლის აღსრულებას, არამედ ეჭვმიტანილის ქონების-შემოსავლის აღნუსხვას, რათა მოხდეს ჯარიმის, საპროცესო გარიგების ან განრიდების მექანიზმით მათგან მაქსიმალურად შესაძლებელი მატერიალური სახსრების გამოძალვა ბიუჯეტის სასარგებლოდ.

შექმნილი ვითარებიდან გამოსავალი შეიძლება იყოს ნულოვანი ტოლერანტობიდან და ამჟამად მიმდინარე ლიბერალიზაციის პოლიტიკიდან – რომელიც, როგორც ავნიშნე მდგომარეობს პატიმრობის შიშით და მის სანაცვლოდ ბრალდებულის ფინანსურ გაგრიებაზე დაყოლიებას და არაფერი საერთო არ აქვს ნამდვილ ლიბერალიზაციასთან, გადავიდეთ რეალურ ლიბერალიზაციის პოლიტიკაზე რომელიც უნდა გულისხმობდეს ნაკლებად მძიმე დანაშაულობის ნაწილის დეკრიმინალიზაციას, არასაპატიმრო სასჯელების წინწამოწევას, რაც მთავარია პროკურატურაში ბიუჯეტის ბრალდებულთა ხარჯზე შევსების მანკიერი პრაქტიკის აღმოფხვრას, პროკურორის როგორც ჭეშმარიტების დადგენაში ხელის შემწყობის და არა როგორც ბრალმდებულის ფუნქციის გააქტიურებას, რადროსაც იგი ცდილობს ბრალდებულის სასარგებლო მტკიცებულებების-ფაქტების დამალვა-მიჩქმალვას, განრიდების მექანიზმის პრინციპების დახვეწა-რეგულირებას რათა ბრალდებულმა იცოდეს კონკრეტულად რისი სამართლიანი მოლოდინი უნდა ქონდეს და არ იყოს დამოკიდებული კონკრეტული პროკურორის ხასიათსა და სხვა პიროვნულ თვისებებზე – მის მოწყალებაზე. და ბოლოს რაც ყველაზე მთავარია, ქვეყანაში საჭიროა სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის, მისი უფლებების და ღირსების გაზრდა, რის გარეშეც წარმოუდგენელია პროკურატურის საქმიანობის არსებული წესის შეცვლა-გაუმჯობესება და მოსახლეობაში სამართლებრივი ნიჰილიზმის დამარცხება. აღნიშნული ცვლილებები, ქვეყნის ხელისუფლების კეთილი ნების შემთხვევაში, როგორც ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკის გატარების შედეგებით დამტკიცდა შესაძლებელია წარმატებით და შემჭიდროვებულ ვადებში.

მიხეილ ბაბაღუა

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი, სამართლის დოქტორი

გამოყენებული ლიტერატურა:

1. www.parliament.ge
2. www.police.ge
3. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი
4. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი

მოსაზრებები სისხლის სამართლის პოლიტიკის რეფორმასთან
დაკავშირებით – ნულოვანი ტოლერანტობიდან რეალურ ლიბერალიზაციამდე

რეზიუმე

ნაშრომში განხილულია წინა ხელისუფლების მიერ წარმოებული ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკა სისხლის სამართალში. მოცემულია ამ პერიოდში დანაშაულის სტატისტიკა და ანალიზი. ასევე საკანონმდებლო ცვლილებები რომელმაც გამოიწვია მართლმსაჯულებისა და სამართალდამცავი სისტემების სადამსჯელო ორგანოებად ჩამოყალიბება.

ავტორის მიერ მოცემულია რეკომენდაციები სამართალდამცავი და მართლმსაჯულების სისტემების დემოკრატიულ რეფორმებთან დაკავშირებით.

მიხეილ ბაძაგუა

«Размышления о реформе политики в области уголовного

правосудия - от нулевой толерантности до реальной либерализации»

Резюме

В статье рассмотрена политика нулевой толерантности проводимая предыдущим правительством. Дана статистика и анализ преступности этого периода, а также законодательные изменения, которые привели органы правосудия и правоохранительную систему к формированию в карательных органов.

Автор дает рекомендации по проведению демократические реформ правоохранительных органов и системы правосудия.

Mikheil Badzagua

“Reflections on the reform of the Criminal Justice

Policy – from zero tolerance to a real liberalization”

Summary

The article deals with the zero-tolerance policy carried out by the previous government. There are given crime statistics and analysis during this period. Also legislative changes, which challenge the administration of justice and law enforcement systems formed into the punitive body.

The author gives recommendations about democratic reforms of Law enforcement and justice systems.

ტოტალიტარული სახელმწიფოს განათლების სისტემის მოკლე

ისტორიული მიმოხილვა, საქართველოს მაგალითზე

XIX საუკუნის დამდეგიდან საქართველო მეფის რუსეთის მფლობელობაში გაერთიანდა, რათა თავი დაეცვა გარეშე მტრების, მეზობელ მთიელთა შემოსევებისა და შინაური შუღლისაგან, რომლის შედეგადაც საქართველო საგრძნობლად დაუძლურდა და სრულიად მარტო აღმოჩნდა კატასტროფის წინაშე.

სოციალურ-პოლიტიკური და სამეურნეო-ეკონომიკური ვითარება ხელსაყრელ პირობებს ვერ ქმნიდა იმისათვის, რომ საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრება წინ წასულიყო. თუმცა მიუხედავად ამ მდგომარეობისა საქართველოს კულტურული ცხოვრება ამ პერიოდში მეტად შინაარსიანი იყო.

სახალხო განათლების სისტემა, რომელიც XVIII საუკუნეში წარმატებით ხორციელდებოდა სრულიად მოიშალა და რუსეთთან შეერთების შემდეგ ახალი განათლების სისტემის ჩამოყალიბება გახდა საჭირო.

პირველი სააღმზრდელო დაწესებულება რუსეთთან შეერთების შემდეგ თბილისში 1802 წელს გაიხსნა. ეს იყო ორკლასიანი სასწავლებელი. თუმცა მალევე 1804 წლის 31 მაისს ეს სასწავლებელი „თბილისის კეთილშობილთა სასწავლებლად“ გადაკეთდა. ამ სასწავლებელში მხოლოდ ქართველ წარჩინებულთა შვილები სწავლობდნენ. პირველ ეტაპზე სასწავლებელი ორი კლასისგან შედგებოდა, თუმცა შემდეგ ექვს კლასს მოიცავდა. აქ სამხედრო მოხელეებსა და თარჯიმნებს ამზადებდნენ, მალევე სასწავლებელს სტიპენდია დაენიშნა. 1825 წელს სასწავლებელში ასწავლიდნენ: ქართულ, რუსულ და თათრულ ენებს, კატეხიზმოს, საღვრთო სჯულს, არითმეტიკას, ალგებრას, გეომეტრიას, გეოგრაფიას, ისტორიას, რუსულ და ქართულ სიტყვიერებას, ხატვას, ფორტიფიკაციას, გეოდეზიას, ცეკვას და თარგმნას.

1830 წლიდან თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელი თბილისის გიმნაზიად გადაკეთდა და როგორც რუსეთის სხვა ქალაქებში აქაც სწავლება შვიდ კლასს მოიცავდა. გაკვეთილის ხანგრძლიობა 90 წუთს შეადგენდა. ადგილობრივი ენების სწავლებას გიმნაზიაში დიდი ყურადღება ექცეოდა. ამიერკავკასიაში მომუშავე ყველა მოხელისათვის აუცილებელი იყო ქართული და თათრული ენების ცოდნა. თბილისის გიმნაზია ვალდებული იყო ყოველ წლიურად 10 რუსეთის კადეტთა კორპუსში კურსდამთავრებული გაეგზავნა, 5 კურსდამთავრებული კი პეტერბურგისა და მოსკოვის უნივერსიტეტებში, სადაც მათ უმაღლესი განათლება უნდა მიეღოთ სახელმწიფოს ხარჯზე, ეს რა თქმა უნდა ქართველი თავადაზნაურებისათვის დიდი დახმარება იყო.

1851 წლისთვის საქართველოში სამი გიმნაზია არსებობდა: თბილისის სათავადაზნაურო, ქუთაისის საგუბერნიო და თბილისის კომერციული. სამაზრო სასწავლებლების ისტორია 1830 წლიდან იწყება. ეს იყო მოსამზადებელი კურსი გიმნაზიაში შესვლამდე. სამაზრო სასწავლებელში სწავლა გარდა ყმა გლეხისა ყველას შეეძლო. აქ ისწავლებოდა 15 საგანი (საღვრთო სჯული, რუსული ენის გრამატიკა, ადგილობრივი ენები, არითმეტიკა, მსოფლიო და რუსული გეოგრაფია, მსოფლიო და რუსეთის ისტორია, გეომეტრია, ფიზიკა და ბუნებისმეტყველება). სწავლება სამი საფეხურისაგან შედგებოდა.

1817 წელს თბილისში სასულიერო სემინარია გაიხსნა, რომლის მთავარი დანიშნულება სასულიერო შვილთა სწავლება და საეკლესიო სამსახურისათვის მომზადება იყო. ასევე აქ უნდა მოემზადებინათ მასწავლებლები სამაზრო და სამრევლო სასწავლებლებისათვის. სასულიერო სემინარია სამი ორ-ორ კლასიანი ჯგუფისაგან შედგებოდა :

1. რიტორიკის განყოფილება სადაც ისწავლებოდა: რიტორიკა, მსოფლიო ისტორია, საეკლესიო ისტორია, რუსეთის ისტორია, მსოფლიო გეოგრაფია, რუსეთის გეოგრაფია, გალობა, ქართული და რუსული ენები.
2. ფილოსოფიის განყოფილება: ფილოსოფია, ფილოსოფიის ისტორია, მსოფლიო ისტორია, ეკლესიების ისტორია, გალობა, ქართული და რუსული ენები, თარგმნა.
3. ღვთისმეტყველების განყოფილება: ღვთისმეტყველება, ეკლესიების ისტორია, ჰერმანეუტიკა, ახალი აღთქმა.

1827 წელს სასულიერო სემინარიასთან (ბურსა) საერთო საცხოვრებელი დაარსდა, რომელიც ინახავდა 25 მოსწავლეს სრულ და 25 მოსწავლეს ნახევარ კმაყოფაზე

XIX საუკუნის პირველ ნახევარში საქართველოში კერძო სკოლები და პანსიონები შეიქმნა, რომელთა რიცხვიც 72 აღწევდა.

ამავე პერიოდში ქალთა სკოლა-პანსიონატები დაარსდა, სადაც განსაკუთრებულ ყურადღებას ენიჭებოდათ შესწავლას, ცეკვასა და მუსიკას უთმობდნენ.

მას შემდეგ რაც XIX საუკუნის მეორე ნახევარში ბატონყრმობა გაუქმდა და კაპიტალიზმი წარმოიშვა, ახალი რეფორმების გატარებადა სახალხო განათლების სრულიად გარდაქმნა გახდა საჭირო. 1864 წელს რუსეთის მთავრობამ სახალხო სკოლების ახალი დებულება და გიმნაზიის წესდება დაამტკიცა, რომელიც განათლების წოდებრივ-ბატონყრმური სისტემის კლასობრივ-ბურჟუაზიულ სისტემად გარდაქმნის მიმართულებით დიდი ნაბიჯი იყო.

ამ დებულების თანახმად, სწავლება სახალხო სკოლებში პირველი 2-3 წლის განმავლობაში მშობლიურ ენაზე მიმდინარეობდა, ხოლო რუსული ენის სწავლება, როგორც დამხმარე ენის მეორე კლასიდან იწყებოდა.

თუმცა ამ რეფორმას მოწინააღმდეგეები მალევე გამოუჩნდნენ . შედეგად 1872 წელს სამაზრო სკოლები გაუქმდა, რომლის ნაცვლადაც საქალაქო სასწავლებლები შეიქმნა.

სკოლების მართვა-გამგეობისთვის, სწავლების შინაარსისა და მეთოდების განსაზღვრისათვის ხელმძღვანელობის დარგში სახალხო სკოლების დირექციები და ინსპექციები შეიქმნა და ჩამოყალიბდა.

1871 წლიდან კავკასიის გიმნაზიებსა და რეალურ სასწავლებლებში სასწავლო გეგმიდან ამოღებული იქნა: ქართული, სომხური და აზერბაიჯანული ენები. ეს საგნები არასავალდებულოდ გამოცხადდა და მხოლოდ პროგიმნაზიურ კლასებში იქნა დაშვებული. ამავე წესდების საფუძველზე რვაკლასიანი კლასიკური გიმნაზია ჩამოყალიბდა, რეალური სასწავლებლები დაბალი ტიპის საშუალო სასწავლებლებად იქნა აღიარებული, რომლის კურსდამთავრებულსაც უფლება არ ჰქონდა უმაღლესი განათლება მიეღო. სიმწიფის ატესტატის მისაღებად გამოცდები დაწესდა , სწავლების კურსის წარჩინებითა და სანიმუშო ყოფაქცევით დამთავრებისათვის კი მედლებით დაჯილდოება; შემოღებულ იქნა ფორმის ტანსაცმელი. სკოლაში და სკოლის გარეთ მოსწავლეებზე მეთვალყურეობის სისტემა დადგინდა, დაკანონდა დასჯის მკაცრი ზომები. (ბავშვი რომელსაც არ ექნებოდა საშინაო დავალება ან

საზეპიროს შეცდომით იტყოდა მკაცრად ისჯებოდა: სახაზავის ან ჯოხის გამოყენებით, ან დასჯილ ბავშვს შიშველი მუხლებით აყენებდნენ კუთხეში ლობიოს ან სიმინდის მარცვლებზე)

80-იან წლებში კავკასიურ ქვეყნებში რუსეთის ზრახვები ნათლად გამოჩნდა. 1881 წლის სასწავლო გეგმით მშობლიური ენის სწავლება სრულიად აიკრძალა და მისი საათები რუსულმა ენამ ჩაანაცვლა, მასწავლებლები ვალდებულები იყვნენ ყველა გაკვეთილზე რუსულად ელაპარაკათ.

XX საუკუნის დასაწყისში რევოლუციურმა მოძრაობებმა გარკვეული დადი დაასვა განათლების სისტემასაც. მშობლებს უამრავი მოთხოვნა ჰქონდათ და ამ მოთხოვნების შესასრულებლად აქტიურად იბრძოდნენ, რაც ჩაშლილი გაკვეთილებითა და სკოლების დახურვით გამოიხატებოდა, მათი მთავარი მოთხოვნა იყო:

1. საყოველთაო, სავალდებულო უფასო სწავლების შემოღება ორივე სქესის ბავშვებისათვის 16 წლის ასაკამდე;
2. მშობლიურ ენაზე სწავლება;
3. ღარიბ მოსწავლეთა უფასო კვება, მათი უზრუნველყოფა სასწავლო ნივთებითა და ტანსაცმლით;
4. სახალხო განათლების მთლიანი სისტემის დაწესება, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლის თავისუფალ გადასვლას ერთი საფეხურის სკოლიდან უფრო მაღალი საფეხურის მეორე სკოლაში
5. საჭირო ღონისძიებათა გატარება რათა საშუალო და უმაღლესი სასწავლებლები მისაწვდომი გახდეს მშრომელი მასებისათვის;
6. სახალხო განათლების დარგში ყოველგვარი ეროვნული, წოდებრივი და რელიგიური შეზღუდვების მოსპობა
7. სასწავლო პროგრამების გარდაქმნა, ისე რომ სწავლება სკოლაში მოსწავლეებს აიარაღებდეს ცხოვრებაში საჭირო ცოდნითა და მომზადებით
8. სკოლების ისეთი ფართო ქსელის შექმნა, რომელიც მთლიანად დააკმაყოფილებს მოსახლეობის მოთხოვნილებას.

რევოლუციურ მოძრაობაში მალე მშობლებსა და მასწავლებლებთან ერთად სკოლის მოსწავლეებიც ჩაერთვნენ. მათ დაახლოებით ისეთივე მოთხოვნები ჩამოაყალიბეს როგორც მათმამშობლებმა და მიუხედავად იმისა, რომ მრავალ ინციდენტს ჰქონდა ადგილი 1905–1907 წლებში გაფიცვებიდან ყუმბარების აფეთქებამდე, რუსეთის მმართველობა მაინც ფიქრობდა, რომ სიტუაცია კონტროლიდან არ გამოვიდოდა და დათმობაზე წასვლას არ ჩქარობდა.

თუმცა რუსეთის მთავრობას მაინც მოუწია გარკვეულ დათმობაზე წასვლა და პირველი ნაბიჯი ამ დათმობისა იყო ის, რომ სწავლა საყოველთაო გახდა. მან ასევე 1881 წლის სასწავლო გეგმა აღადგინა, რომელიც მშობლიური ენის სწავლებას ითვალისწინებდა.

რევოლუციის შემდგომი პერიოდი მეტად საშინელი აღმოჩნდა. ახალმა მთავრობამ დამშვიდებული ხალხის წინააღმდეგ გაილაშქრა: აღადგინა ძველი სასწავლო გეგმა, ხოლო ის მასწავლებლები და მშობლები, რომლებიც აქტიურად მონაწილეობდნენ ამ საკითხის განხილვაში, დაისაჯნენ. მოსწავლეებს უფრო სასტიკი სასჯელის ზომები დაუწესეს, ხოლო გამოსაშვები და კლასიდან კლასში გადასაყვანი გამოცდები ნამდვილ შურისძიების ფრონტად გადაიქცა.

ცხადია ხალხის მხრიდან ამას კიდევ ერთი აგრესიული ტალღის შემოტევა მოჰყვა, რამაც საბოლოო ჯამში 1914 წელს შედეგი გამოიღო და რუსეთის მთავრობამ 14 ივლისს გამოსცა კანონი კერძო სასწავლო დაწესებულებათა შესახებ, რომლის თანახმადაც მშობლიურ ენაზე სწავლება კვლავ აღადგინეს და სკოლების ქსელის ზრდას და მატერიალური ბაზის განმტკიცებას მეტი ყურადღება მიექცა.

1920–1921 წლებში საქართველოში სკოლების მხრივ სავალალო მდგომარეობა იყო. სახელმწიფოს ხარჯზე მხოლოდ 28 სკოლა ირიცხებოდა, რაც მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებდა და სასკოლო ასაკის ბავშვთა და მოზარდთა დიდი ნაწილი განათლების მიღების საშუალებას მოკლებული იყო.

კომუნისტურმა პარტიამ სწრაფი მოქმედება დაიწყო და 1921-1931 წლებში სკოლების რაოდენობა საგრძნობლად გაიზარდა. აუცილებელი გახდა სკოლების გარდაქმნა კლასობრივი ჩაგვრის იარაღიდან კლასობრივი ბატონობის მოსპობის იარაღად. შემოდებულ იქნა მთლიანი შრომის სკოლის დებულება, რომლითაც საბჭოთა სახალხო განათლების სისტემის პრინციპული საფუძვლები განისაზღვრებოდა. სკოლას მომავალი რესპუბლიკის მოქალაქე უნდა ჩამოეყალიბებინა. გადასახალი გაუქმდა, სკოლაში სიარული ყველა ბავშვისათვის სავალდებულო გახდა, შემოდებული იქნა ქალ-ვაჟთა ერთად სწავლება, ყველანაირი სარწმუნოებრივი ხასიათის სწავლება და საეკლესიო წესების ასრულება სკოლებში აიკრძალა.

ცვლილებაგანცდილი საბჭოთა განათლების სისტემა დაახლოებით ასეთი სახის იყო:

- ა) დაწყებითი სკოლა სწავლების 4-წლიანი კურსით;
- ბ) 7-წლიანი შრომის სკოლა;
- გ) 9-წლიანი შრომის სკოლა განხრით რომელიმე სპეციალობაში და ტექნიკუმი, სწავლების 3-წლიანი კურსით.

ასევე გადამუშავდა სასწავლო გეგმები და სავალდებულო გახდა ახალი სახელმძღვანელოების შედგენა.

საბჭოთა სასწავლო გეგმები ისე იყო შედგენილი, რომ ითვალისწინებდა მოსწავლეთა ყოველმხრივ განვითარებას, მათ შეიარაღებას, როგორც საბუნებისმეტყველო ისე საზოგადოებრივ მეცნიერებათა დისციპლინების საფუძვლიანი ცოდნით. თუმცა მას ბევრი ნაკლიც ჰქონდა, რაც იმაში გამოიხატებოდა რომ საათები ზუსტად და სათანადოდ გადანაწილებული არ იყო.

მიუხედავად იმისა, რომ სწავლა 1921 წლიდან ყველასთვის სავალდებულო გახდა ზოგიერთი ოჯახი მაინც ვერ ახერხებდა შვილის სკოლაში გაგზავნას, თუმცა საბჭოთა ხელისუფლებამ მოახერხა ის, რომ 1931–1933 წლებში არ ირიცხებოდა სკოლის ასაკის არც ბავშვი და არც მოზარდი, რომელიც სათანადო განათლებას არ იღებდა სკოლაში.

1931 წელს საქართველოში 6 უმაღლესი სასწავლებელი არსებობდა.

საბჭოთა ხელისუფლებამ უმაღლეს სასწავლებელში მუშათა ფაკულტეტები შექმნა, რომლებიც ამზადებდნენ მშრომელთა წრიდან გამოსულ ახალგაზრდებს უმაღლეს სასწავლებელში შესასვლელად.

1935–1936 წლებში საბჭოთა სასწავლო გეგმა კვლავ შეიცვალა და გამოსწორდა საათობრივი გადანაწილება სავალდებულო საგნების მიხედვით. ამ პერიოდში გაუქმდა შრომის გაკვეთილები, რაც საბჭოთა ხელისუფლების მიზნსად ითვლება, ამით

სკოლა მნიშვნელოვნად მოწყდა ცხოვრებას.

სწავლების ძირითად ფორმად გააკვეთილი გამოცხადდა და მასწავლებელს დაევალა სისტემურად და თანმიმდევრულად გადაეცა მოსწავლეთათვის შესწავლილი მასალა სწავლების მრავალნაირი მეთოდის გამოყენებით, შემოიღეს კლასში გადასაყვანი და გამოსაშვები გამოცდები, ცოდნის შეფასების ხუთბალიანი სისტემა.

მოსწავლეთა კლასგარეშე მუშაობას სკოლა გააკვეთილების შემდეგ, გამოსასვლელ დღეებში, არდადეგებზე ატარებდა.

1941 წლის 21 მაისს მოსწავლეთათვის სხვადასხვა საგანში ცოდნის გადრმაგების მიზნით ახალი ცენტრი გაიხსნა – ქ. თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლე, რომელმაც მალე მოიპოვა საყოველთაო აღიარება და საბჭოთა რესპუბლიკის საამაყო ცენტრად იქცა.

1941 წელს სამამულო ომის დაწყებამ საგრძნობლად სასწავლო პროცესი შეაფერხა და საყოველთაო სწავლების კანონს დიდი საფრთხე შეუქმნა, რადგან უამრავი ბავშვი მოქცეული იყო მტრის მიერ ოკუპირებულ სოფლებში. მთავრობა იძულებული გახდა მოეძიებინა დამატებითი ძალები, რათა ასეთ სოფლებსა თუ ქალაქებში სწავლის პროცესი არ შეფერხებულიყო.

1944–45 სასწავლო წლიდან ბავშვთა სავალდებულო სწავლება 7 წლის ასაკიდან დაწესდა.

ომის წარმატებით დამთავრების შემდეგ საბჭოთა ხელისუფლებამ კვლავ დაიბრუნა ძველი დიდება, სასწავლო გეგმები კიდევ ერთხელ გადაისინჯა, რასაც ზოგიერთი საგნის საათების შემცირება მოჰყვა, ხოლო უმაღლესმა განათლებამ საბჭოთა ხელისუფლება, კვლავ ერთ–ერთ მოწინავე ადგილზე დააბრუნა. ასევე, ამავე პერიოდში გაფართოვდა და კიდევ უფრო დიდ წარმატებას მიაღწია სკოლაგარეშე დაწესებულებებმა.

1959 წლის 18 აპრილს მიღებული იქნა ახალი კანონი სკოლის შესახებ, რომლის თანახმადაც რვაწლიანი სკოლა ყველასთვის სავალდებულო იყო და საშუალო სკოლა ორ ნაწილად დაიყო:

1. არასრული საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო რვაწლიანი შრომითი პოლიტექნიკური სკოლა;
2. საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო შრომითი პოლიტექნიკური სკოლა;

რვაწლიანი სკოლის ბაზაზე სამი ძირითადი ტიპის სკოლა შეიქმნა, რომლებიც სრულ საშუალო განათლებას აძლევდა ახალგაზრდობას:

- ა) მუშა–ახალგაზრდობისა და სოფლის ახალგაზრდების საღამოს სკოლები;
- ბ) საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო შრომითი პოლიტექნიკური სკოლები საწარმოო სწავლებით;
- გ) ტექნიკუმები და სხვა საშუალო სპეციალური სასწავლებლები.

უმაღლესი სასწავლებლების მატერიალურ ტექნიკური ბაზა საგრძნობლად გაფართოვდა და განმტკიცდა, ლაბორატორიები და სასწავლო კაბინეტები უმაღლესი მოწყობილობებით აღიჭურვა, საერთო საცხოვრებელთა რიცხვი გაიზარდა, სტუდენტთა საზოგადოებრივი კვება გაუმჯობესდა.

საბჭოთა პერიოდის ხელისუფლებამ შეძლო მიეღწია დასახული მიზნისთვის, ყველა მოსწავლე სკოლის ასაკის სკოლაში დადიოდა და მიუხედავად მისი სოციალური მდგომარეობისა უფლება ჰქონდა სწავლა უმაღლეს სასწავლებელში გაეგრძელებინა.

ეკა კენჭაძე

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის
სამართლის სკოლის დოქტორანტი

გამოყენებული ლიტერატურა

1. ქართული პედაგოგიკის ისტორია; ავტორთა კოლექტივის ნაშრომი; გამომცემლობა „განათლება“ თბილისი 1974წ;
2. ქართული ლიტერატურის ისტორია, ტომი მესამე, სოციალურ-პოლიტიკური და კულტურულ-ლიტერატურული ვითარება XIX ს. 20-3-იანი წ.წ. საქართველოში; თბილისი 1969 წ;
3. ჭყონია ნატალია, სადისერტაციო ნაშრომი - მრავალმხრივი განათლების შინაარსის თანამედროვე პრობლემები; ბათუმი 2013წ.

ეკა კენჭაძე

ტოტალიტარული სახელმწიფოს განათლების სისტემის მოკლე

ისტორიული მიმოხილვა, საქართველოს მაგალითზე

რეზიუმე

ნაშრომში გაანალიზებულია ტოტალიტარული სახელმწიფოს განათლების სისტემა სოციალურ-პედაგოგიურ და სამართლებრივ ჭრილში. ამ მიმართულებით განხილულია ისტორიული გამოცდილება მე-19 საუკუნის დამდეგიდან მე-20 საუკუნის შუა პერიოდამდე, მოცემულია განათლების სისტემაში არსებული დადებითი და უარყოფითი პედაგოგიური ტენდენციები ახალგაზრდების სწავლის, აღზრდის და განათლების განვითარების კუთხით.

მიმოხილულია თუ როგორ განიცდიდა ტრანსფორმაციას განათლების სისტემა რუსეთთან შეერთების დღიდან, რა ისწავლებოდა, ვის ჰქონდა განათლების მიღების საშუალება ბატონ-ყმობამდე და მისი გაუქმების და კაპიტალიზმის წარმოშობის შემდგომ. ასევე, განხილულია მშობლიური ენის სწავლება ქართულ სასწავლებლებში, რუსეთის მთავრობის მცდელობები ქართული ენის სწავლების შემცირების და საბოლოოდ 1881 წელს მისი სრულად აკრძალვის შესახებ, ქართული საზოგადოების რევოლუციური მოძრაობები მშობლიური ენის დაცვის მიზნით და შედეგად, ქართული ენის აღდგენა სკოლებში, მოგვიანებით კი, სწავლის ხელმისაწვდომობის გაზრდა, მატერიალური ბაზის განმტკიცება და სკოლების ქსელის ზრდა.

ცვლილებების შემდეგ საბჭოთა განათლების სისტემა დაახლოებით ასეთი სახის იყო:

- დაწყებითი სკოლა სწავლების 4 - წლიანი კურსით;
- 7-წლიანი შრომის სკოლა;
- 9-წლიანი შრომის სკოლა განხრით რომელიმე სპეციალობაში და ტექნიკუმი, სწავლების 3-წლიანი კურსით;

ასევე, მოხდა სასწავლო გეგმების გადამუშავება და სავალდებულო გახდა ახალი სახელმძღვანელოების შედგენა. ნაშრომის ბოლოს განხილულია მეორე მსოფლიო ომის შემდგომი საბჭოთა განათლების სისტემა, რომელიც გაფართოვდა და დაიხვეწა, ხელმისაწვდომი გახდა ყველასთვის მიუხედავად მისი სოციალური მდგომარეობისა.

Ека Кенчадзе

Краткий исторический обзор системы образования в тоталитарном государстве на примере Грузии

Резюме

В работе проанализирована система образования тоталитарного государства в социально-педагогическом и правовом аспекте. В данном направлении рассмотрен исторический опыт в период с начала 19-го века до середины 20-го века, представлены существующие в системе образования положительные и отрицательные педагогические тенденции, с точки зрения обучения молодежи, их воспитания и развития образования.

Проведен обзор трансформации, которой подверглась система образования со дня присоединения Грузии к России, того что изучалось в этот период, кто имел право получения образования до крепостного права, после его отмены, а также с наступлением капитализма. Кроме этого проанализирован вопрос изучения родного языка в грузинских учебных заведениях, изучены попытки российского правительства по сокращению обучения грузинского языка и, в конечном итоге, в 1881 году – о его полном запрете, прослежены революционные движения грузинского общества с целью сохранения и защиты родного языка и как результат, восстановление изучения грузинского языка в школах, а позднее – доступность обучения, утверждение материальной базы и увеличение сети педагогических заведений.

После изменений система советского образования приобрела примерно следующий вид:

- Начальная школа, с курсом 4-х годичного образования;
- 7-летняя трудовая школа;
- 9-летняя трудовая школа, с уклоном какой-либо специальности и техникум с 3-х годичным курсом обучения;

Кроме этого, были переработаны учебные планы и возникла необходимость в составлении новых руководств и инструкции.

В конце работы рассмотрена система советского образования, существовавшая после Второй Мировой войны, которая расширилась и была усовершенствована, став для всех

доступной, независимо от их социальной принадлежности и положения.

Eka Kenchadze

Brief historical overview of the Totalitarian state education system of Georgia's example

Summary

The paper analyzes the totalitarian state of education and socio-pedagogical context of the law.

This paper discusses the historical experience of the 19th century until the middle of the 20th century; it focuses on positive and negative trends in the educational system for teaching the students, training and education development.

It reviews the ways of transformation of the educational system from the day of joining the Russian Empire, highlights the issues regarding the study materials, pays attention to the circle of the individuals admitted to receive education before the serfdom as well as after abolition of it and origination of the capitalism. The paper also discusses the problems faced by Georgian schools in teaching the native language, attempts of Russian government to minimize the scopes of teaching of Georgian language and its final prohibition in 1881, revolutionary movements of Georgian civil society to protect the native language resulted in restoration of Georgian language at schools and later raising the level of availability to the study, strengthening of the material base and growth of schools' network.

After changes the Soviet education system was introduced in the following form:

- Elementary school with 4-year course;
- 7-year labor school;
- 9-year labor school of any specialization and a technical secondary school with 3-year course;

Besides the mentioned, the syllabuses were re-developed and creation of new textbooks became mandatory.

In its final part the paper reviews the Soviet educational system after the II World War, which was expanded and perfected and became commonly available regardless social status.

უცარი, ძლიერი, სულიერი აღელვების მდგომარეობაში

ჩადენილი განზრახ მკვლელობის ზოგიერთი თეორიული საკითხი

წინასიტყვაობა. აღნიშნულ სტატიაში განიხილება თემატიკა, რომელიც ეხება ქმედების მესამე ნიშანს – ბრალს. ცალკე კვლევის საგანს წარმოადგენს აფექტური მკვლელობის “შემადგენლობა” და “მართლწინააღმდეგობა”. კვლევის სტრუქტურაში აღნიშნული ნიშნები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

- აფექტური მკვლელობის შემადგენლობა (§1. აფექტური მკვლელობის ობიექტური შემადგენლობა; §2. აფექტური მკვლელობის სუბიექტური შემადგენლობა);
- სსკ-ს 111-ე მუხლის მეორე ნაწილი (§1. აფექტური მკვლელობა ჩადენილი ორი ან მეტი პირის მიმართ);
- აფექტური მკვლელობის კვალიფიკაციის სპეციალური საკითხები (§1. აფექტში ჩადენილი კვალიფიციური მკვლელობა; §2. აფექტური მკვლელობის კვალიფიკაციის სხვა საკითხები; §3. აფექტური მკვლელობის განსხვავება მომიჯნავე სისხლისსამართლებრივი ინსტიტუტებისაგან);

აფექტური მკვლელობის მართლწინააღმდეგობა და ბრალეულობა (§1. აფექტური მკვლელობის მართლწინააღმდეგობა; §2. აფექტური მკვლელობის ბრალეულობა)

აფექტური მკვლელობის შემადგენლობის განსაზღვრისას თანამედროვე ქართულმა სისხლის სამართალმა დაძლია ბრალის ფსიქოლოგიური, ე.წ. დანაშაულის სუბიექტისა და დამნაშავის პიროვნების კონცეფციები. განვიხილოთ ამ კონცეფციების ძირითადი ნაკლი.

1. ჯერ კიდევ საბჭოურ ლიტერატურაში იყო გაბატონებული აზრი, რომ ბრალი არის ფსიქიკური დამოკიდებულება ქმედებისადმი და შედეგისადმი. ამ კონცეფციის თანახმად, აფექტური მოქმედებაც არის ბრალის მესამე ფორმა. მაგალითად, თ. შავგულიძეს მიაჩნდა, რომ ბრალი პირის ფსიქიკური დამოკიდებულებაა თავის მართლსაწინააღმდეგო მოქმედებისადმი. მისი აზრით, როცა კანონმდებელი მიუთითებს ქმედების საზოგადოებრივი საშიშროების შეგნებაზე, როგორც განზრახვის აუცილებელ ელემენტზე, მას მხედველობაში აქვს სუბიექტის ფსიქიკური დამოკიდებულება თავისი მოქმედების სოციალური თვისებებისადმი დანაშაულის ჩადენის მომენტში, და არა მხოლოდ ცოდნა ქმედობის თვისებისა. აფექტის დროს განზრახვის დასასაბუთებლად ძნელი დასამტკიცებელი ის კი არ არის, იცის თუ არა დამნაშავემ საერთოდ, რომ მკვლელობა საზოგადოებრივად საშიშია, არამედ ის, შეგნებული ჰქონდა თუ არა დანაშაულის ჩადენის მომენტში თავისი მოქმედების საზოგადოებრივი მნიშვნელობა. (1) ბრალის წმინდა ფსიქოლოგიურ გაგებას გააჩნია მნიშვნელოვანი ნაკლი, რის გამოც ქმედების კვალიფიკაცია გამოუვალ მდგომარეობაში რჩება. ამ დოქტრინის მიხედვით, ისე გამოდის, თითქოს აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში მყოფს ბრალი მიუძღვება თავდამსხმელის მკვლელობაში, ვინაიდან მას წარმოდგენილი აქვს და სურს კიდევ მისი მოკვლა. გაუგებარი რჩება გაუფრთხილებლობის ინსტიტუტი, რომელიც, როგორც მოგვიანებით დადგინდა ფინალისტების მიერ, შეფასების საგანია. ამ თეორიის ნაკლი იმაშიც არის, რომ ის არ აღიარებს ბრალის ობიექტურ ელემენტს, რომელიც განსაკუთრებულ ობიექტურ ფაქტობრივ გარემოებებს ეფუძნება (ე.წ. ბრალის ობიექტური ნიშნები). მაგალითად, დედის მიერ ახალშობილის განზრახ მკვლე-

ლობა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 112-ე მუხლით.

წარმოადგენს მკვლელობის პრივილეგიურ შემადგენლობას, თუ მას ადგილი ექნება “მშობიარობისას ან უმალვე მშობიარობის შემდეგ”. ამ შემთხვევაში ბრალის ეტაპზე ყურადღება ექცევა დედის განსაკუთრებულ ფსიქიკურ მდგომარეობას. ბრალის შემამსუბუქებელი ეს გარემოება აღწერილია ობიექტური და აღწერილობითი (დესკრიფციული) ნიშნებით, სუბიექტური განსაკუთრებული სიტუაცია არ საჭიროებს სპეციალურად დადგენას, იგი უდავოდ ივარაუდება, თუ სახეზეა აღნიშნული ობიექტური ფაქტობრივი გარემოებები. სსკ-ს 111-ე მუხლიც წარმოგვიდგენს მკვლელობის პრივილეგიურ შემადგენლობას. ამ შემთხვევაშიც ბრალის ეტაპზე ყურადღება ექცევა პირის აფექტურ მდგომარეობას. აღნიშნულ მუხლში ბრალის შემამსუბუქებელი ეს გარემოება აღწერილია ობიექტური და აღწერილობითი (დესკრიფციული) ნიშნებით და ა.შ.(2) ფსიქოლოგიური კონცეფციის ნაკლს ქართველი მეცნიერები აღნიშნავენ კლასიკური სისტემის კრიტიკის დროს. როგორც აღინიშნება, “კლასიკური სისტემა და კერძოდ, ობიექტური მართლწინააღმდეგობის ცნება უეცრად და უნიადაგოდ არ წარმოშობილა. ამ სისტემის შესაქმნელად ნიადაგი გერმანიაში მთელი XIX ს. მანძილზე მზადდებოდა. მას საფუძვლად ედო, ერთის მხრივ, მოქმედების კაზუალური, ხოლო, მეორე მხრივ, ბრალის ფსიქოლოგიური თეორია. რახან მოქმედება როგორც კაზუალური ხდომილება, მხოლოდ სხეულებრივ მოძრაობას (ქმედობა) და გარე სამყაროში ცვლილებებს (შედეგი) გულისხმობდა, ამიტომ მართლსაწინააღმდეგოდ ისეთი ქცევა ითვლებოდა, რომელსაც გარე სამყაროში კანონით აკრძალული ცვლილებების გამოწვევა შეეძლო, ხოლო თუ ამ ცვლილებების მიმართ დამტკიცდებოდა მოქმედის ფსიქიკური დამოკიდებულება განზრახვის ან გაუფრთხილებლობის ფორმით, ეს იმას ნიშნავდა, რომ მართლსაწინააღმდეგო ქცევა ბრალეულად იყო ჩადენილი”. “ყველა დანარჩენი მომდევნო სისტემა სათავეს იღებს სწორედ კლასიკური სისტემიდან, ამიტომ უმნიშვნელოვანესია მისი როლი დანაშაულის სისტემის განვითარებაში.” (3)

2. ე.წ. სუბიექტის კონცეფციის კრიტიკის დროს ქართველი მეცნიერები ასევე განიხილავენ აფექტური დანაშაულის საკითხსაც. ამ შემთხვევაში ათვლის წერტილია დებულება, რომ შერაცხვა-შეურაცხაობა, ასაკი, ფსიქიკური დავალება და სხვა რამ მოვლენა დაკავშირებულია არა დანაშაულის სუბიექტთან, არამედ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხთან. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა კი დანაშაულის სუბიექტს წინასწარვე გულისხმობს, სუბიექტი, ესე იგი ადამიანი წინამძღვარია სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა. გასათვალისწინებელია, რომ მცირეწლოვანს და ფსიქიკურად დაავადებულს შეუძლია ჩაიდინოს სისხლისსამართლებრივი უმართლობა. მაგრამ როგორ შეიძლება უმართლობის ჩადენა შეეძლოს იმ არსებას, რომელიც არ არის დანაშაულის სუბიექტი! სინამდვილეში საკითხი სულ სხვაგვარად წყდება. საქმე ის არის, რომ მითითებულ შემთხვევებში დანაშაულის სუბიექტი კი გვეყავს, მაგრამ არა გვაქვს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკმარისი საფუძველი და ამიტომ ვათავისუფლებთ მოქმედს და ვწყვეტით მის მიმართ საქმის წარმოებას.(4) ამ დებულების საილუსტრაციოდ, ო. გამყრელიძე განიხილავს სსკ-ს 111-ე მუხლს, სადაც აღწერილია შეზღუდული შერაცხადობის სპეციალური შემთხვევა. ამ დროს, როგორც მიუთითებენ, ადამიანი იმყოფება შეზღუდული შერაცხადობის მდგომარეობაში, რაც ამცირებს მისი ბრალის ხარისხს. ის ფაქტი, რომ ფიზიოლოგიური აფექტი არ გამორიცხავს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას, არამედ მხოლოდ ამსუბუქებს ჩადენილ დანაშაულს იმაზე მიგვანიშნებს, რომ აფექტი ამსუბუქებს დამნაშავის პასუხისმგებლობას მისი ბრალის შემცირების ხარჯზე, თორემ მკვლელობის უმართლობის ხარისხი ამ დროს იგივე რჩება, არ მცირდება.(4)

3. სსკ-ს 111-ე მუხლის შემუშავებისას ქართველი მეცნიერები თანმიმდევრულად ახორციელებდნენ ქმედების სისხლის სამართლის პრინციპის მოთხოვნას. თავიდანვე იყო უარყოფილი დებულება, რომ აფექტური მდგომარეობა ქმნის პირობებს, დამნაშავე

ჩაითვალოს საზოგადოებრივად ნაკლებად საშიშად.

იმასთან შედარებით, როდესაც დამნაშავე ყოველგვარი აფექტის გარეშე წყნარად, მშვიდად დაგეგმავს დანაშაულის ჩადენის მთელ მკვლელობას.(7)

როგორც აღნიშნავენ, მკვლელობის უმართლობა (მართლსაწინააღმდეგო ქმედება), რომელიც საფუძვლად უდევს 111-ე მუხლით აღწერილი ქმედების შემადგენლობას, არ განსხვავდება 108-ე ან 109-ე მუხლებით აღწერილი შემადგენლობების უმართლობისაგან. მაგალითად, "ორი ან მეტი" ადამიანის განზრახ მკვლელობა 109-ე მუხლის "ა" პუნქტით მკაცრად ისჯება, ხოლო ამდენივე ადამიანის განზრახ მკვლელობა აფექტური მდგომარეობის დროს 111-ე მუხლით შემსუბუქებულ პასუხისმგებლობას იწვევს. მაშასადამე, ერთი და იმავე სიმძიმის უმართლობა 109-ე მუხლით მკაცრად ისჯება, ხოლო 111-ე მუხლით შემსუბუქებულად. (5)(6) ამ დებულებას საფუძვლად უდევს ბრალის ნორმატიული ცნება, რომელიც ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების სისხლის სამართლის ფსიქოლოგიური კონცეფციისაგან განსხვავებით გაბატონებულია მარტო საქართველოს სისხლის სამართალში. აღნიშნული ნორმატიული ცნების თანახმად, როცა უმართლობას ადგენს, სასამართლო იწყებს ამ უმართლობის ბრალად შერაცხვას მისი ჩამდენისათვის, თუკი, რასაკვირველია, არ არის ბრალის გამომრიცხველი რომელიმე გარემოება, შერაცხვის დროს მხედველობაშია მისაღები: 1) ჩადენილი უმართლობის ხარისხი, 2) ბრალის ხარისხი. ამის მიხედვით შერაცხვა შეიძლება იყოს: 1) სრული, 2) გაძლიერებული ან 3) შემცირებული. შესაბამისად პასუხისმგებლობის დაკისრება და სასჯელის სახისა და ზომის განსაზღვრა ამ გრადაციაზეა დამოკიდებული. უმართლობის ბრალად შერაცხვას წინ უნდა უძღვოდეს მართლწინააღმდეგობის შეგნების დადგენა, ესე იგი იმის დადგენა, იცოდა თუ არა განსასჯელმა, რომ ჩაიდინა აკრძალული ქმედება, დაარღვია აკრძალვა.

სრული შერაცხვის დროს მხედველობაში უნდა მივიღოთ ჩადენილი უმართლობის ხარისხი. ამისათვის აუცილებელია დადგინდეს განზრახვა, რაც უმართლობის სრული შერაცხვის შესაძლებლობას ქმნის. მაგალითად, ორი კაცის განზრახ მკვლელობა უფრო მეტი ხარისხის უმართლობაა, ვიდრე ერთი კაცის განზრახ მკვლელობა (იხ. საქართველოს სს კოდექსის 109-ე მუხლის მესამე ნაწილის "ა" პუნქტი). ამის შესაბამისად, ორი კაცის განზრახ მკვლელობის დროს იზრდება ბრალის ხარისხიც. ის უფრო მეტად გასაკიცხია, ვიდრე ერთი კაცის განზრახ მკვლელობა, თუ რომელიმე სხვა გარემოება არ ამძიმებს ან ამსუბუქებს პასუხისმგებლობას

ზოგჯერ დამნაშავეს ჩადენილი უმართლობა შეიძლება გაძლიერებულად ან შემცირებულად (შეზღუდულად) შეერაცხოს, ესე იგი მისი ბრალის ხარისხი მეტი ან ნაკლები იყოს ისე, რომ ეს მეტ-ნაკლებობა ბრალისა არ იყოს დამოკიდებული უმართლობის ხარისხზე. მაგალითად, 1) როცა განზრახ მკვლელობა ჩადენილია შურისძიების მოტივით, საქმე გვაქვს სრულ შერაცხვასთან და ქმედება დაკვალიფიცირდება კოდექსის 108-ე მუხლით, მაგრამ, თუ განზრახ მკვლელობა ჩადენილია ანგარების მოტივით, დამნაშავეს ის გაძლიერებულად შეერაცხება. ბრალის ხარისხი აქ წინა შემთხვევასთან შედარებით მომეტებულია, მეტია, მიუხედავად იმისა, რომ უმართლობის ხარისხი არ შეცვლილა (იხ. 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის "გ" პუნქტი). სისხლის სამართლის კოდექსი იცნობს ისეთ შემთხვევებს, როცა უმართლობის ხარისხი არ იცვლება, მაგრამ ბრალის ხარისხი შემცირებულია და ამის საფუძველზე ჩადენილი უმართლობა შეზღუდულად შეერაცხება მის ჩამდენს. ამის ნიმუშია, სისხლის სამართლის კოდექსის 111-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული და სხვ. უეცარი ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში ჩადენილი განზრახი მკვლელობა, რისთვისაც პასუხისმგებლობაა დაწესებული 111-ე მუხლით, შემცირებულად შეერაცხება მის ჩამდენს. ძლიერი სულიერი მღელვარება, რაც გამოწვეულია დაზარალებულის არამართლზომიერი საქციელით, ამცირებს არა უმართლობის, არამედ ბრალის ხარისხს. (5) როგორც ჩანს, მოქმედი ქართული სისხლის სამართალი

პასუხისმგებლობას აკისრებს ადამიანს კონკრეტული მართლსაწინააღმდეგო (საზოგადოებრივად საშიში) ქმედების ჩადენის გამო და არა იმის გამო, რომ, ის ესე იგი დამნაშავეს პიროვნება საშიშია საზოგადოებისთვის. აფექტურ მდგომარეობაში მყოფი შემცირებული შერაცხადობის მდგომარეობაშია, მისი ბრალის ხარისხი შემცირებულია, მიუხედავად იმისა, ის განსაკუთრებით საშიში რეციდივისტია თუ უადრესად თვინიერი ადამიანი. აფექტურ მდგომარეობაში იქნება ადამიანი თუ ”მშვიდად დაგეგმავს დანაშაულის ჩადენის მთელ მსვლელობას”, ეს მისი პიროვნების მეტ ან ნაკლებ საშიშროებაზე ვერ იმოქმედებს. აქ საქმე გვაქვს ბრალის ხარისხთან და არა პიროვნების საშიშროებასთან. (5)

მოსაზრებას, რომ 111-ე მუხლით დაწესებული პასუხისმგებლობა აისახება შემცირებული შერაცხვის სახით, ვხვდებით გერმანულ ლიტერატურაშიც. როგორც გერმანელი იურისტები აღნიშნავენ, სისხლის სამართლის სჯულების 213-ე პარაგრაფში (“მკვლელობის ნაკლებად მძიმე დანაშაული”) აღწერილია არა ქმედების შემადგენლობა, არამედ სასჯელის შემსუბუქების წესი. ჟ. ვესელისა და მ. ჰეტინგერის აზრით, ამ პარაგრაფში აღწერილია ნორმის გამოყენების პირობა. (8) გ. ვოლფიც იზიარებს ამ მოსაზრებას და აღნიშნავს, რომ 213-ე პარაგრაფში აღწერილია განაჩენის გამოტანის დებულება იმ შემთხვევაში, რომელიც მიეკუთვნება 212-ე პარაგრაფში (“მკვლელობა”) ზოგადად აღწერილ შემთხვევებს. (9) ანალოგიურად მსჯელობენ ქართველი მეცნიერებიც. როგორც აღნიშნავს ო. გამურელიძე, სსკ-ს 111-ე მუხლით აღწერილი ქმედების შემადგენლობა განსხვავდება საქართველოს 1960 წ. სისხლის სამართლის კოდექსის 106-ე მუხლით აღწერილი შემადგენლობისაგან. აფექტის გამომწვევ გარემოებათა ზუსტი ჩამონათვალი საქართველოს 1960 წ. სისხლის სამართლის კოდექსის 106-ე მუხლით რომ იყო მოცემული, უსამართლოდ ზღუდავდა იმ შემთხვევათა წრეს, რომლებიც ნამდვილად იძლევა პასუხისმგებლობის შემსუბუქების შესაძლებლობას. მოქმედი კოდექსის 111-ე მუხლის ფორმულირება ხელს შეუწყობს ხსენებულ შემთხვევათა სწორ იურიდიულ კვალიფიკაციას და დამნაშავეს სამართლიან დასჯას. (5) როგორც ჩანს, ავტორი იზიარებს იმ დებულებას, რომ სსკ-ს 111-ე მუხლში მოცემულია პასუხისმგებლობის შემსუბუქების შესაძლებლობის პირობა.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ გფრ-ს სისხლის სამართლის სჯულებაში (კოდექსში) 213-ე პარაგრაფი ბუნდოვნად არის ფორმულირებული და წარმოშობს არა ერთ კითხვას. აღნიშნული პარაგრაფის თანახმად, ამსრულებლად ითვლება პირი, რომელმაც მისი ბრალის გარეშე ჩაიდინა მკვლელობა ძლიერი აღელვების დროს, რაც გამოწვეულია დამნაშავეს ან მისი ნათესავის მიმართ მაპროვიცირებელი ქმედებით. (10) აღნიშნული ნოველის თანახმად გამოდის, რომ არსებობს მართლწინააღმდეგობა, მაგრამ არ არსებობს ბრალი. მაშინ დგება საკითხი, რისთვის ისჯება პირი, თუ ადგილი აქვს ბრალის არარსებობას? სინამდვილეში ადგილი აქვს ბრალის ხარისხის შემცირებას და არა ბრალის არარსებობას. (3) ბრალი შეიძლება არ არსებობდეს იმ შემთხვევაში, როდესაც პირი დარწმუნებულია, რომ მისთვის გადაცემული ფხვნილი, რომელიც შემდგომში მან ავადმყოფს უნდა მისცეს, არის წამალი, სინამდვილეში კი საწამლაია. როგორც აღვნიშნეთ, აფექტური მკვლელობის დროს სულ სხვა სურათია – აქ ადგილი აქვს შემცირებულ ბრალს. ეს მიდგომა თანმიმდევრულად არის რეალიზებული სსკ-ს 111-ე მუხლში (განზრახ მკვლელობა უეცარი, ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში, რაც გამოიწვია დამნაშავეს ან მისი ახლო ნათესავის მიმართ მსხვერპლის მიერ მართლსაწინააღმდეგო ძალადობამ, მძიმე შეურაცხყოფამ ან სხვა მძიმე ამორალურმა ქმედებამ, აგრეთვე მსხვერპლის არაერთგზისი მართლსაწინააღმდეგო ან ამორალური ქცევით განპირობებულმა ფსიქიკურმა ტრავმამ). ამიტომ გერმანული კოდექსის 213-ე პარაგრაფთან შედარებით სსკ-ს 111-ე მუხლი უფრო დახვეწილია და ზუსტია.

გამოყენებული ლიტერატურა

1. თ. შავგულიძე, ბრალის მესამე ფორმა სისხლის სამართალში – Правовые исследования. Тб. «Мецნიერება». 1977.
2. მ. ტურავა ნაშრომში “სისხლის სამართალი” (ზოგადი ნაწილი). თბ. 2000.
3. ო. გამყრელიძე. სისხლის სამართლებრივი უმართლობის პრობლემა და თანამონაწილეობის დასჯადობის საფუძველი. თბილისი. 1989 წ.
4. ო. გამყრელიძე. შერაცხვის პრობლემა სისხლის სამართალში და ბრალის ნორმატიული ცნების დასაბუთების ცდა. – ადამიანი და კონსტიტუცია. 2002, № 3, გვ. 70-71
5. ო. გამყრელიძე. განზრახ მკვლელობა უეცარი, ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში. - სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი. თბ. 2002, გვ. 57-69.
6. ო. გამყრელიძე. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება. თბ. 2008.
7. К. Роксин, Основания уголовно-правовой ответственности и личность преступника –Актуальные вопросы современного уголовного права, криминологии и уголовного процесса. 1986, с. 19-33.
7. J. Wessels, Hettinger M. Strafrecht. Besonder Teil: In 2 Bnden. – Heidelberg: C.H. Müller Verlag, 2000, s. 23.
8. G. Wolf. Erläuterungen zu § 213 StGB - საიტზე: <http://www.strafrecht.eu/ffo.de/index.php>
9. Уголовное уложение (уголовный кодекс) Федеративной республики Германии. М. 2010.

**უცარი, ძლიერი, სულიერი აღელვების მდგომარეობაში
ჩადენილი განზრახ მკვლელობის ზოგიერთი თეორიული საკითხი**

რეზიუმე

სტატიაში “აფექტური მკვლელობის ბრალეულობის საკითხისათვის” პირველად

ქართულ ლიტერატურაში ხდება დამკვიდრება აფექტური მკვლელობის შემადგენლობის განსაზღვრისა ნორმატიულ თეორიაზე დაყრდნობით, რომელიც ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკების კანონმდებლობებისგან განსხვავებით, განვითარებულია მხოლოდ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში. კერძოდ, განიხილება აფექტური მკვლელობის ნიშანი – ბრალეულობა, რომელიც დანაშაულის შემადგენლობასა და მართლწინააღმდეგობასთან ერთად მთლიანობაში განსაზღვრავს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას. ამ მიზნით, სტატიაში გაკრიტიკებულია ბრალის ფსიქოლოგიური კონცეფცია, კონცეფცია ე.წ. დანაშაულის სუბიექტისა და დამნაშავის პიროვნების კონცეფცია. ავტორი იზიარებს ქართველი მეცნიერების შეხედულებას იმის თაობაზე, რომ აფექტური მკვლელობისას ადგილი აქვს შემცირებულ ბრალს და არა არაბრალეულობას, როგორც ეს გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსშია ფორმულირებული.

Георгий Мухадзе

**Некоторые теоретические вопросы преднамеренно совершённого убийства в состоянии
внезапного, сильного душевного волнения**

РЕЗЮМЕ

В статье «к вопросу о виновности аффективного убийства» впервые в грузинской литературе предпринимается попытка обоснования состава аффективного убийства на основе нормативной теории, которая в отличие от законодательств бывших советских республик развита только в уголовном кодексе Грузии. В частности, рассматривается признак аффективного убийства – виновность, который наряду с составом преступления и противоправностью характеризует в целом обоснование уголовной ответственности. С этой целью в работе критикуется психологическая концепция вины, концепция т.н. субъекта преступления и концепция личности преступника. Автор разделяет мнение грузинских ученых, что при аффективном преступлении имеет место ограниченная вина, а не отсутствие вины, как это указано в уголовном кодексе Германии.

**Some theoretical issues of intentionally committed murder in a state of sudden,
strong emotional excitation**

Summary

In the article on "the question regarding the criminality of affective murder" for the first time in Georgian literature there is an attempt undertaken of basing of the affective murder on the basis of normative theory, which was developed only in the criminal code of Georgia, unlike the legislation of former Soviet Republics. Particularly, there is considered a sign of affective murder – criminality, which along with the composition of criminality and wrongfulness characterize the basing of the criminal responsibility on the whole. For this purpose, psychological concept of guilt is criticized in the work, concept of so-called subject of criminality and concept of the personality of offender. Author agrees with the Georgian scientists on the fact that there is the reduced guilt while the affective criminality, but not absence of guilt, as it is indicated in the criminal code of Germany.

ნინო ხარაული

განზრახ მკვლელობის კრიმინოლოგიური დახასიათება

მოვიყვან რამოდენიმე მაგალითს:

- შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის, რაჭა – ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს და ქუთაისის საქალაქო სამმართველოს თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ღონისძიების შედეგად, 1968 წელს დაბადებული კობა თ. განზრახ მკვლელობის ბრალდებით, დანაშაულის ჩადენიდან რამდენიმე საათში დააკავეს. გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულმა მიმდინარე წლის 13 ოქტომბერს, ქუთაისში ეჭვიანობის ნიადაგზე მომხდარი ურთიერთშელაპარაკებისას, მეუღლე – 1975 წელს დაბადებული მედეა ა. დანით სასიკვდილოდ დაჭრა, რომელიც სასგადმყოფოში მიყვანისთანავე გარდაიცვალა. გარდაცვლილს ზურგს არეში ორი შემავალი ჭრილობა ჰქონდა მიყენებული. სამართალდამცველებმა ბრალდებული ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ – სამძებრო ღონისძიების შედეგად ქუთაისში დააკავეს. დანაშაულის იარაღი – დანა ნივთმტკიცებად ამოიღეს, დაკავებული აღიარებს ჩადენილ დანაშაულს. გამოძიება განზრახ მკვლელობის ფაქტზე მიმდინარეობს (სსსკ-ის 108-ე მუხლით).
- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო ინფორმაციით, შსს-ს მცხეთა – მთიანეთის სამხარეოს მთავარი სამართველოს და მცხეთის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ერთობლივად ჩატარებული სამძებრო – საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1960 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლელი გიორგი თ. განზრახ მკვლელობის ბრალდებით მცხეთის რაიონის სოფელ მუხრანში დააკავეს. გამოძიებამ დაადგინა, რომ ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ მყოფმა

ბრალდებულმა ოჯახური კონფლიქტის ნიადაგზე, ურთიერთშელაპარაკებისას, სანადირო თოფიდან გასროლით დაჭრა მეუღლე, შვილი და რძალი. მეუღლე – 1966 წელს დაბადებული ხარაულა კ. მიყენებული ჭრილობების შედეგად ადგილზე გარდაიცვალა, რძალი – 1992 წელს დაბადებული ეკა ტ. საავადმყოფოში მიყვანის შემდეგ გარდაიცვალა, ხოლო დაჭრილი შვილი – 1987 წელს დაბადებული შალვა ო. საავადმყოფოში მოათავსეს, მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მუხლი 108. განზრახ მკვლელობა ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით შვიდიდან თხუთმეტი წლამდე. იგი წარმოადგენს ამ სახის დანაშაულის ძირითად შემადგენლობას. მას ხშირად მარტივ მკვლელობასაც უწოდებენ, ვინაიდან ეს მკვლელობა არ გულისხმობს არც მის მაკვალიფიცირებელ გარემოებებსა და არც პრივილეგიური მკვლელობის შემადგენლობის არსებობას. როგორც მუხლის შინაარსიდან ირკვევა, მასში არ არის მოცემული მკვლელობის ობიექტური შემადგენლობის ნიშნები. სისხლის სამართლის კოდექსში პირდაპირ არ არის მითითებული, თუ მკვლელობის რომელ კონკრეტულ სახეს შეიძლება მიეკუთვნოს 108-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული. ამიტომ, იმის განსასაზღვრავად, თუ რა შემთხვევაში გამოიყენება ეს მუხლი, უნდა გამოირიცხოს როგორც მკვლელობის დამამძიმებელი, ისე შემამსუბუქებელი გარემოებანი. ცხადია, რომ ასეთი სახის მკვლელობა შეიძლება ჩადენილ იქნეს მხოლოდ განზრახ. დამამძიმებელ და შემამსუბუქებელ გარემოებებში ჩადენილ მკვლელობათა შორის. სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით გათვალისწინებული მკვლელობის სავალდებულო ობიექტურ ნიშანს წარმოადგენს დანაშაულებრივი შედეგის დადგომა სიკვდილის სახით, რომელიც ჩადენილია მოქმედებით ან უმოქმედობით, ამავე დროს, ცხადია, რომ უნდა არსებობდეს მიზეზობრივი კავშირი დამნაშავის მიერ ჩადენილ ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის. იგი ყოველთვის უნდა იქნეს გამიჯნული ობიექტურ – შემთხვევითი კავშირისგან.

კვლევის შედეგად არმოჩნდა:

1. მსოფლიო მასშტაბით მოკლული მამაკაცების რაოდენობა გაცილებით მეტია მოკლული ქალების რაოდენობაზე. ეს შედეგი რომელიმე გარკვეული საუკუნის მაჩვენებელი კი არ არის, არამედ – ზოგადია. 2011 წლის მონაცემებით კი მკვლელის მსხვერპლი 80%-ით უფრო მეტი მამაკაცი ხდება.
2. ძირითადად, ქალი მსხვერპლად მაშინ იქცევა, როდესაც მას უთანხმოება ქმართან ან მეგობარ მამაკაცთან მოუვა, როგორც კვლევიდან ჩანს, 38% მოკლული ქალის სიკვდილისთვის სასხელს მისი პარტნიორი მამაკაცი იხდის.
3. პოტენციური მკვლელისთვის სუბიექტის რასობრივ წარმომადგენლობას დიდი მნიშვნელობა არ აქვს. მართალია, ზოგჯერ თეთრკანიანებსა და შავკანიანებს შორის შუღლი ჩნდება, რაც მკვლელობის მიზეზად გარდაიქმნება, თუმცა ეს მაჩვენებელი ისეთი დიდი როდია, როგორც ჩვენ გვგონია, მონაცემების მიხედვით, ამ მიზეზით ერთმანეთს მსოფლიოს მასშტაბით მხოლოდ 2% კლავს.
4. დანაშაულის ჩასადენად მკვლელები, ძირითადად, ცეცხლსასროლ იარაღს იყენებენ. დანით, მაკრატლით, ბლაგვი საგნებით, საწამლავითა და სხვა საშუალებებით ჩადენილი მკვლელობების რაოდენობა იარაღით ჩადენილთან შედარებით 70%-ით ნაკლებია.
5. მდებრობითი სქესის მკვლელებს სისხლი არ უყვართ, ალბათ სწორედ ამიტომ აქვთ მამაკაცებს უფრო მეტად აგრესიული სქესის სტატუსი. ქალი მკვლელები ადამიანის სისხლისგან დაცლისა და ტანჯვის ყურებისგან ბევრად ნაკლებ სიამოვნებას იღებენ, ვიდრე – კაცები.

6. როგორც იცით, მკვლევლობა სხვადასხვა მოტივით ხდება. ხშირად ეს საკმაო მიზეზი, უბრალო ფაქტი ან, საერთოდ, უმიზეზობაა. გამოკვლევები ადასტურებს, რომ მკვლევლობის ჩადენის მოტივად უმეტესად დამადასტურებელი არგუმენტის გაქრობის სურვილი გვევლინება, როგორც წესი, მკვლევლს კვალის წაშლა სურს, განსაკუთრებით, ქურდობისა და გაუპატიურების დროს.

საზოგადოებრივი აზრის შესწავლის მიზნით ჩატარებული იქნა ინტერვიუ ოთხ პერსონასთან:

რესპოდენტი N1

- 1) თქვენი აზრით რა შეიძლება იყოს მკვლევლობის მიზეზი?
 - მემკვიდრეობის მიღების სურვილი ან ეჭვიანობა.
- 2) იცით თუ არა სასხელის რა ზომაა მიღებული მკვლევლობაზე?
 - 8 – 10

რესპოდენტი N2

- 1) თქვენი აზრით რა შეიძლება იყოს მკვლევლობის მიზეზი?
 - დანაშაულის დაფარვის მოტივი, ფსიქოლოგიური პრობლემა
- 2) იცით თუ არა სასხელის რა ზომაა მიღებული მკვლევლობაზე?
 - 10 – 15

რესპოდენტი N3

- 1) თქვენი აზრით რა შეიძლება იყოს მკვლევლობის მიზეზი?
 - დამოკიდებულია ადამიანის ფსიქოლოგიაზე, სად იზრდებოდა რა სიტუაციაში
- 2) იცით თუ არა სასხელის რა ზომაა მიღებული მკვლევლობაზე?
 - 7 – 10

რესპოდენტი N4

- 1) თქვენი აზრით რა შეიძლება იყოს მკვლევლობის მიზეზი?
 - მკვლევლობის მოტივი ბევრი რამ შეიძლება იყოს, ადამიანის ფსიქიკის სისუსტეზეა დამოკიდებული, ყველაზე დიდი მიზეზი რაც შეიძლება ამ შემთხვევაში მაგალითად გამოვიყვანოთ არის შურისძიება... ყველაზე დიდი მოტივი, ემოციისა და გაბრაზების მართვის უნარის არქონა.
- 2) იცით თუ არა სასხელის რა ზომაა მიღებული მკვლევლობაზე?
 - თუ განზრახ მკვლევლობაა მაშინ სამუდამო პატიმრობა უნდა იყოს. და თუ შემთხვევითი მკვლევლობაა მაშინ 15 წელზე მეტი არა.

გარდა მკვლელისა, დანაშაულობის შესწავლისას საინტერესოა აგრეთვე მისი მსხვერპლის სახეები, მიუხედავად იმისა, რომ არ აქვს მნიშვნელობა იყო თუ არა მსხვერპლი მკვლევლობის გამომწვევი.

კრიმინოლოგიაში არსებობს ცალკე დარგი, რომელსაც ვიქტიმოლოგია ეწოდება. ეს არის მოძღვრება დანაშაულის მსხვერპლის შესახებ.


ვიქტიმოლოგიის მიხედვით დანაშაულის მსხვერპლი იყოფა რამდენიმე სახედ:

1. აგრესიული მსხვერპლი - რომლის ქცევა დაკავშირებულია თავდასხმასთან ზიანის მიმყენებელზე ან სხვა პირებზე ან იმავე ხასიათის მოქმედებებთან (შეურაწყოფა, ცილისწამება, აბუჩად აგდება და სხვა). მისთვის დამახასიათებელია კონფლიქტური სიტუაციის განზრახ შექმნა.
2. აქტიური მსხვერპლი - მისი ქცევა არ არის დაკავშირებული თავდასხმასთან ან ბიძგთან კონფლიქტური კონტაქტის ფორმით, თუმცა ამისდა მიუხედავად აქტიურად უწყობს ხელს საბოლოო ანგარიშით ზიანის მიყენებას. (მიმართავენ თხოვნით ზიანის მიყენების ან ისეთ მოქმედებათა ჩადენის შესახებ, რომლებიც ობიექტურად იწვევენ ასეთი ხასიათის მოქმედებებს, ან თვითონვე აყენებენ ზიანს საკუთარ თავს).
3. ინიციატივიანი მსხვერპლი - მსხვერპლი რომლის ქცევა დადებითი ხასიათისაა, მაგრამ მაინც იწვევს ზიანის მიყენებას.
4. პასიური მსხვერპლი - რომელიც არ უწყობს წინააღმდეგობას დამნაშავეს ობიექტური და სუბიექტური მიზეზების გამო.
5. არაკრიტიკული მსხვერპლი - ისეთი მსხვერპლია რომლისთვისაც დამახასიათებელია წინდაუხედაობა, სასიცოცხლო სიტუაციის სწორი შეფასების უუნარობა და სხვა..
6. ნეიტრალური მსხვერპლი - ეს ისეთი მსხვერპლია რომელიც არანაირად არ უწყობს ხელს მის წინააღმდეგ დანაშაულის ჩადენას.

შინაგან საქმეთა სამინისტროს სტატისტიკური ინფორმაციით 2013 წლის 11 თვეში დაფიქსირებული მკვლელობების რაოდენობა (18) განახევრებულია 2012 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით (35).

შინაგან საქმეთა სამინისტროს სტატისტიკური ინფორმაციით 2013 წლის 11 თვეში დაფიქსირებული მკვლელობების რაოდენობა (18) განახევრებულია 2012 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით (35). კლებდაი ტენდენცია შეინიშნება აგრეთვე მკვლელობის მცდელობის თვალსაზრისითაც - 2013 წლის 11 თვეში დაფიქსირებულია 51 შემთხვევა. რაც წინა წლების ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით განახევრებულია.

განსხვავებული მდგომარეობაა ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების ფაქტებთან დაკავშირებით - 2013 წლის საწყისი 11 თვის განმავლობაში წინა წლების ანალოგიურ პერიოდთან შედარებით ამ დანაშაულის ყველაზე მეტი რაოდენობა (52) დაფიქსირდა.



www.opendata.ge

**თბილისში რეგისტრირებული დანაშაული -
2013-2012 წწ. 11 თვე**


დანაშაული	2013			2012		
	სულ	გაიხსნა	%	სულ	გაიხსნა	%
სულ მომხდარი	9684	5034	52.0	7857	1697	21.6
მკვლელობა	18	17	94.4	35	27	77.1
მკვლელობის მცდელობა	51	45	88.2	84	60	71.4

სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებიდან (7,7% სულ რეგისტრირებულ დანაშაულში),

განზრახ მკვლელობაზე მოდის 3,5% (8 დანაშაული), მკვლელობის მცდელობაზე – 8,4% (19 დანაშაული),

თვითმკვლელობამდე მიყვანის დანაშაულზე – 75,7% (171 დანაშაული), ხოლო ამ თავით გათვალისწინებული სხვა მუხლებით კვალიფიცირებულ დანაშაულებზე 12,4% (28 დანაშაული).

**სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული
(2011 წლის მაისი)**



ნინო ხარაული

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის
სამართლის სკოლის ბაკალავრიატის სტუდენტი

გამოყენებული ლიტერატურა:

- 1) google.ge
- 2) Police.ge
- 3) Geostat.ge
- 4) Rustavi2.ge
- 5) 24saati.ge
- 6) opendatablog.wordpress.com

ნინო ხარაული

რეზიუმე

ნაშრომში განზრახ მკვლელობის კრიმინოლოგიური დახასიათებისათვის განხილულია აღნიშნული სისხლის სამართლის დანაშაულის კონკრეტული მაგალითი. მოცემულია მისი სისხლის სამართლებრივი დახასიათება და კრიმინოლოგიური კვლევის შედეგები. წარმოდგენილია საზოგადოებრივი აზრის შესწავლის მიზნით ჩატარებული ინტერვიუს მასალები ოთხ რესპოდენტთან. ასევე ამ კატეგორიის დანაშაულის შინაგან საქმეთა სამინისტროს სტატისტიკური მონაცემები.

Нино Хараули

Криминологическая характеристика умышленного убийство

Резюме

В статье рассмотрен конкретный пример предумышленного убийства т.е. преступления в сфере уголовного права и для криминологического характеристики. В статье представлены интервью четырех респондентов для изучения общественного мнения. Также приведены статистика министерства внутренних дел для данной категории.

Nino Kharauli

Criminological characteristic of the premeditated murder

Summary

The article deals with the specific example of the criminal offence premeditated murder and its criminological characteristic. There are given criminal justice characterization and criminological research results. In materials are presented interview of four respondents in order to study the public opinion. Also this category of crime statistics of the Ministry of Internal Affairs.

გაუპატიურების კრიმინოლოგიური დახასიათება

რამდენიმე დღის წინ ერთ-ერთ ინტერნეტ საიტზე შემდეგი სახის სტატიას წავაწყდი: როგორც “პრესა.ჯი“-ს სიღნაღიდან აცნობეს, რაიონის ერთ – ერთ სოფელში 50 წლის მამაკაცი, 10 წლის გოგონა გააუპატიურა. ადგილობრივთა განცხადებით, მოძალადე პოლიციამ დააკავა. გამოძიება სსკ-ის 140-ე მუხლით მიმდინარეობს.

დაზარალებულის ოჯახის წევრები მედიასთან კომენტარს არ აკეთებენ. დაკავებულს ბრალი უკვე წარედგინა. ბრალდებულის აღმკვეთი ღონისძიების შეფარდებაზე სასამართლო, სავარაუდოდ, დღეს იმსჯელებს. 15 მაისს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში ე.წ. “მესამე გოროდოკის” დასახლებაში 17 წლის მოზარდი ყოფილმა პატიმარმა გააუპატიურა. შემთხვევა ღამის 11-ის ნახევარზე მოხდა. მოზარდი ეჭვიტანილმა საახლიდან მოტყუებით გამოიყვანა და კორპუსიდან მოშორებით ავტოფარეხის უკან გაიყვანა. დაზარალებულს სხეულზე სხვადასხვა სახის დაზიანება და ძალადობის კვალი აღენიშნება. ის დედამ მეზობლების დახმარებით რამდენიმე საათიანი ძებნის შედეგად სწორედ ავტოფარეხის უკან იპოვა.

ცნობილია, რომ ეჭვიტანილი, ყაჩაღობის ბრალდებით იხდიდა სასხელს. საქმეს ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს დეტექტივ-გამომძიებელი არჩილ სურმანიძე იძიებს. გამოძიება 137-ე მუხლის პირველი ნაწილით მიმდინარეობს, რაც ცხრა წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს.

გურჯაანში კი ყოფილმა პატიმარმა, 10 წლის ბიჭი გააუპატიურა. ამინისტრირებული პატიმარმა გააუპატიურა 20 წლის გოგონა გორშიც...

გურჯაანელი დაზარალებული ბიჭის მსგავსად, სამართლის აღსრულებას ითხოვს 20 წლის გოგონა, რომელზეც დედის მეგობარმა 65 წლის გორელმა თ. წ-მვილმა იძალადა.

პროკურატურის ინფორმაციით, ბრალდებული 1996 წლიდან იმ ქალთან ერთად ცხოვრობდა, რომელიც ამ გოგონას დედაა. ბრალდებული 2010 წლის აპრილს მეზობლის დაჭრისთვის იყო დაკავებული, ხოლო 2012 წლის დეკემბერში ამინისტრირებით გაანთავისუფლეს, რის შემდეგაც მან საკუთარი გერი გააუპატიურა.

რამდენიმე დღის წინ შემზარავი ფაქტი მოხდა ჩხოროწყუშიც. ადგილობრივთა თქმით, 21 მაისს მუსიკალური სკოლის ეზოში, 12 წლის გოგონას ახალგაზრდა მამაკაცი დაესხა თავს, მუქარით სარდაფში ჩაიყვანა და გააუპატიურა. მომხდარი “პრესა.ჯი“-ს მაშინ შსს-შიც დაუდასტურეს. მათი ინფორმაციით საქმე ჩხოროწყუს რაიონის შს სამმართველოში სისხლის სამართლის კოდექსით 137-ე მუხლი მე-5 ნაწილით აღიძრა (გაუპატიურება იმისა ვისაც არ შესრულებია – 14 წელი ისჯება თავისუფლების აღკვეთით 15-დან 20 წლამდე).

ამის შემდეგ დავინტერესდი ზოგადად რა არის გაუპატიურების მიზეზი, სტატისტიკა, სასჯელი და ა.შ.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად სქესობრივი ხასიათის დანაშაულებია: 1) გაუპატიურება; 2) სექსუალური ხასიათის ძალმომრეობითი მოქმედება; 3) სქესობრივი კავშირის იძულება; 4) სქესობრივი კავშირი 16 წელს მიუღწეველთან.

მე განვიხილავ კონკრეტულად გაუპატიურებას. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 137-ე მუხლის თანახმად. გაუპატიურებიშტვის სასჯელის სახედ დაწესებულია მინიმუმ 4, მაქსიმუმ 20 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოში გაუპატიურების თემა ტაბუდადებულია, გაუპატიურება თავის მხრივ ლატენტური დანაშაულია და მისი დამალვა ხდება ხელოვნურად სხვადასხვა მიზეზების გამო.

გაუპატიურების ერთ – ერთი დამახასიათებელი ნიშანია ძალადობის გამოყენება დაზარალებულის მიმართ, რაც შეიძლება გამოიხატოს ცემაში, პირის ახვევაში, კიდურების შებოჭვით და ა.შ. ასევე მუქარაც, სიტყვიერი და იარაღის გამოყენებით ჩადენაც, დასჯადია.

უნდა აღინიშნოს რამდენიმე გარემოება, რასაც არ ენიჭება მნიშვნელობა და არ მსუბუქდება დამნაშავეს მდგომარეობა:

მნიშვნელობა არ აქვს როგორ იქცეოდა დაზარალებული გაუპატიურებამდე, ცდილობდა თუ არა მამაკაცის გამოწვევას რაიმე ხერხით, ასევე არ აქვს მნიშვნელობა, არის თუ არა დაზარალებული მსუბუქი ყოფაქცევის; კანონმდებლობა მასაც ზუსტად ანალოგიურად იცავს.

გაუპატიურება შეიძლება ჩაიდინოს შეურაცხადმა პირმა, რომელმაც მიადწია 14 წლის ასაკს. მხოლოდ ამ ასაკიდან ანიჭებს დამნაშავეს პასუხისმგებლობას ქმედებაზე და მხოლოდ 14 წლის და შემდგომ ასაკში ჩადენილი ძალადობა ისჯება კანონით

არსებობს დამამძიმებელი გარემოებები, მაგალითად, როცა დამნაშავე იყენებს სამსახურებრივ მდგომარეობას, გაუპატიურებამ გამოიწვია დაზარალებულის ჯანმრთელობის მდგომარეობა ან სხვა მძიმე შედეგი, გაუპატიურება ჩაიდინა არა ერთხელ, ადრეც ჰქონდა სხვა დაზარალებულთან მსგავსი ქმედება; ასევე, როცა გაუპატიურება მოხდა ჯგუფურად, ან დამნაშავემ წინასწარ იცოდა რომ მსხვერპლი იყო ორსული ან არასრულწლოვანი, გაუპატიურება მოხდა განსაკუთრებული სისასტიკით (ამ საკითხს აფასებს ექსპერტიზა), გაუპატიურებამ გამოიწვია დაზარალებულის გარდაცვალება, და ბოლოს, მსხვერპლი იყო 14 წელზე პატარა.

გაუპატიურების მუხლი სისხლის სამართლის კოდექსში 2006 წლამდე ასეთი იყო:

მუხლი 137, გაუპატიურება

1. გაუპატიურება, ესეიგი სქესობრივი კავშირი ძალადობით, ძალადობის მუქარით ან დაზარალებულის უმწეობის გამოყენებით – ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან შვიდ წლამდე.
2. იგივე ქმედება ჩადენილი:
 - a. არაერთგზის;
 - b. იმის მიერ, ვისაც ადრე ჩადენილი ჰქონდა ამ კოდექსის 138 – 141-ე მუხლებით გათვალისწინებული რომელიმე დანაშაული – ისჯება თავისუფლების აღკვეთით ხუთიდან ათ წლამდე.
3. გაუპატიურება:
 - a. ჯგუფურად;
 - b. დამნაშავესათვის წინასწარი შეცნობით ორსული ქალისა ან არასრულწლოვნისა;
 - გ. დაზარალებულის ან სხვა პირის მიმართ განსაკუთრებული სისასტიკით;
 - დ. სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით;
 - ე. რამაც გაუფრთხილებლობით გამოიწვია დაზარალებულის სიცოცხლის

მოსპობა;

- ვ. რამაც გაუფრთხილებლობით გამოიწვია დაზარალებულისათვის შიდსის შეყრა, მისი ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება ან სხვა მძიმე შედეგი – ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთიდან თხუთმეტი წლამდე.

4. გაუპატიურება იმისა ვისაც არ შესრულებია 14 წელი – ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ათიდან ოც წლამდე.

დღესდღეისობით კი შემდგენაირად გამოიყურება:
მუხლი 137. გაუპატიურება

1. გაუპატიურება, ესეიგი სქესობრივი კავშირი ძალადობით, ძალადობის მუქარით ან დაზარალებულის უმწეობის გამოყენებით – ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ოთხიდან ექვს წლამდე.

2. იგივე ქმედება ჩადენილი:

- a. სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით;
- b. რამაც გამოიწვია დაზარალებულის ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება ან სხვა მძიმე შედეგი – ისჯება თავისუფლების აღკვეთით ცხრა წლამდე.

3. იგივე ქმედება ჩადენილი:

- a. არაერთგზის;
- b. იმის მიერ, ვისაც ადრე ჩადენილი ჰქონდა ამ კოდექსის 138 – 141-ე მუხლებით გათვალისწინებული რომელიმე დანაშაული;
- გ. ჯგუფურად;
- დ. დამნაშავესათვის წინასწარი შეცნობით ორსული ქალისა ან არასრულწლოვნისა – ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ცხირად თორმეტი წლამდე.

4. იგივე ქმედება, ჩადენილი:

- a. დაზარალებულის ან სხვა პირის მიმართ განსაკუთრებული სისასტიკით;
- b. რამაც გამოიწვია დაზარალებულის სიცოცხლის მოსპობა – ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით თორმეტიდან თხუთმეტი წლამდე.

5. გაუპატიურება იმისა, ვისაც არ შესრულებია თოთხმეტი წელი – ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით თორმეტიდან თხუთმეტი წლამდე.

გაუპატიურება ეს ისეთი დანაშაულია რომელიც დასაწყისშივე დასრულებულ დანაშაულად ითვლება მიუხედავად იმისა გაგრძელებათუ არა.

1. გაუპატიურება სასტიკი, ადამიანის დამამცირებელი და დანაშაულებრივი ქმედებაა, მიუხედავად იმისა, გამოყენებულ იქნა თუ არა ფიზიკური ძალა და მიყენებულ იქნა თუ არა ფიზიკური დაზიანებები. გაუპატიურების მცდელობამაც ისევე შეიძლება იმოქმედოს ადამიანზე, როგორც თავად გაუპატიურებამ.

2. ქალზე ძალადობის ერთ – ერთი ყველაზე მძიმე ფორმა გაუპატიურებაა. ქალის ნებისა და თანხმობის გარეშე მასტან სქესობრივი კავშირის დაჭერა ფიზიკური ძალის გამოყენებით ან მუქარიტ სისხლის სამართლის დანაშაულია. კანონი არ ითვალისწინებს, რა დამოკიდებულებაში იმყოფებიან დამნაშავე და დაზარალებული (შესაძლოა, ისინი კანონიერ ქორწინებაში მყოფი ცოლ – ქმარიც იყვნენ); მთავარი ის არის, რომ კონკრეტულ მომენტში ქალთან სქესობრივი კავშირის დასაჭერად

მიმართავენ ძალმომრეობას. ძალმომრეობის ეს ფორმა ღახავს ქალის სქესობრივ თავისუფლებას, შეურაწყოფს მის პიროვნულ ღირსებას. ხშირად სასტიკმა მოპყრობამ ან პიროვნული ღირსების დამცირებამ შესაძლოა ადამიანი თვითმკვლელობამდე ან თვითმკვლელობის მცდელობამდე მიიყვანოს. კანონი ამ შემთხვევაში სასტიკი მოპყრობისა და პიროვნული ღირსების შელახვის ერთეულ შემთხვევას არ სჯერდება.

3. დანაშაული, რომელიც ჩადენილია პირდაპირი განზრახვით. დამნაშავე აცნობიერებს, რომ ამყარებს სქესობრივ კავშირს ძალადობით და ქალის ნების საწინააღმდეგოდ. გაუპატიურების განზრახვად არ მიიჩნევა მამაკაცის თხოვნა, ხვეწნა, ქალის დარწმუნება დაამყაროს მასთან სქესობრივი კავშირი. გაუპატიურება დასრულებულად ჩაითვლება სქესობრივი აქტის დაწყების მომენტიდან, მაშინაც კი, როცა ფიზიოლოგიური თვალსაზრისით, იგი დასრულებული არ იყო. გაუპატიურების ყველაზე მძიმე ფორმებია: გაუპატიურება ჩადენილი განსაკუთრებით საშიში რეციდივისტის მიერ; გაუპატიურება რომელსაც განსაკუთრებით მძიმე შედეგი მოპყვა; მცირეწლოვანის გაუპატიურება.

გაეროს 2009 წლის სტატისტიკა გაუპატიურების რაოდენობლივი მაჩვენებლის შესახებ 63 ქვეყნის ჩამონათვალში საქართველოს მონაცემებს არ შეიცავს. უზენაესი სასამართლოს ინფორმაციით, 2008 წელს საქართველოში ოფიციალურად 48 საქმე შევიდა სასამართლოში თუმცა, ყველაზე მაღალი მაჩვენებელი მაინც 2006 და 2007 წელს იყო – 53 და 53. 2005 წელს 64 შემთხვევა დაფიქსირდა, აქედან 24 შემთხვევა გაიხსნა (40,6%). 2009 წელს გაუპატიურების რაოდენობამ 56%-ით იმატა წინა წელტან შედარებით და 75 შეადგინა. 2010 წელს კი 78 შემთხვევა დაფიქსირდა მათ შორის მხოლოდ 2 იყო არასრულწლოვანის მიერ ჩადენილი. არაოფიციალური მონაცემებით 2013 წელს გაუპატიურების 269 შემთხვევა იყო, თუმცა აქედან მხოლოდ ერთი გახმოვანდა.

საქართველოში ჩატარდა კვლევა “საქართველოს ადმინისტრაციული შესაძლებლობის გაუმჯობესება ოჯახში ძალადობის პრევენციისათვის და მსხვერპლთა დასახმარებლად”. ამ კვლევიდან დადგინდა, რომ ყოველი მეცხრე ადამიანი სექსუალური ძალადობის მსხვერპლია.

შსს-ს სტატისტიკა და დინამიკა 2006 წლიდან გაუპატიურების მაჩვენებლის შესახებ ასეთია: 2006 –

	სულ რეგისტრირებული	გახსნილია	გახსნის %	მატება კლება	პროცენტი
2006	167	106	63,5		
2007	156	101	64,7	-11	6,6
2008	100	66	66,0	-56	35,9
2009	84	51	60,7	-16	16,0
2010	82	40	48,8	-2	2,4
2011					
2012					

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ გაუპატიურების ერთ – ერთ მთავარ პირობად შესაძლოა ჩაითვალოს ქვეყნის შიდა მდგომარეობა. კვლევები ადასტურებს, რომ ყველაზე მაღალი გაუპატიურების სტატისტიკა ფიქსირდება ქვეყანაში შიდა არეულობის დროს. რაც სავარაუდოდ განპირობებულია იმით, რომ ზედამხედველობის ორგანოების ყურადღება გადატანილია ქვეყნის მდგომარეობაზე და დამნაშავეები სარგებლობენ ამ მდგომარეობით. ამ შემთხვევაში სიტუაცია უკონტროლო ხდება. მეორე მსოფლიო ომიდან მოყოლებული, საერთაშორისო ორგანიზაციები სხვადასხვა ომის და შეიარაღებული კონფლიქტის დროს ქალების გაუპატიურებას განიხილავენ, როგორც ეთნიკური წმენდის დროს სტრატეგიულად გამოყენებულ “ომის იარაღს”.

ავიღოთ სირიის მაგალითი: “არასამთავრობო ორგანიზაცია “მაშველთა საერთაშორისო კომიტეტი” სირიაში ჰუმანიტარული კრიზისის დაძლევის მიზნით დაუყოვნებლივი მოქმედებების მოწოდებით გამოდის. “ბიბისის” ინფორმაციით, ქვეყნიდან დევნილთა რაოდენობამ 600 000 ადამიანს გადააჭარბა. არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები სირიაში ძალადობის შემადრწუნებელ დონესა და სექსუალური დანაშაულების სიმრავლეზე საუბრობენ. გაეროს შეფასებით, 2011 წლის მარტიდან კონფლიქტის შედეგად ქვეყანაში 60 000-ზე მეტი ადამიანი დაიღუპა. “მაშველთა საერთაშორისო კომიტეტი”-ს ინფორმაციით, მოქალაქეთა უმეტესობა ქვეყნის ტერიტორიას გაუპატიურების მუდმივი საფრთხის გამო ტოვებს. ძალადობის ამ გამოვლინებას, რომელიც ხშირად გარდაცვლილთა ოჯახის წევრების მიმართ ხორციელდება, ხალხი ომის მთავარ მახასიათებელს უწოდებს. არასამთავრობო ორგანიზაცია ძალადობის მსხვერპლთა მიმართ სამედიცინო და ფსიქოლოგიური დახმარების ნაკლებობაზეც მიუთითებს. შორს რომ არ წავიდეთ ავიროთ საქართველო – რუსეთის ომი 2008 წელს. ამ პერიოდში განსაკუთრებით გახშირდა გაუპატიურების შემთხვევები, როგორც ოკუპანტების ასევე ქართველების მხრიდანაც. დაფიქსირებულია ასობით შემთხვევა 2008 წლის შემდეგ, თუმცა მათგან უმრავლესობა არ განიხილება იმის გამო რომ ხანდაზმულობის ვადა უკვე გასულია.

სტატისტიკის გაგების შემდეგ დავინტერესდი საზოგადოების აზრით, რას ფიქრობენ ისინი ზოგადად ამ დანაშაულზე და როგორი იყო მათში ინფორმაციის დონე. მე მოვიკითხე ისინი ინტერვიუს მეთოდით.

რესპოდენტი 1.

- 1) რა შეიძლება იყოს გაუპატიურების მიზეზი?
 - გაუპატიურების მიზეზი შეიძლება იყოს გოგო გამომწვევი ქცევა და ადამიანის ზოგადად განუვითარებლობა, ძალადობის მოყვარულ ადამიანს ყოველთვის უფრო მეტად აქვს მიდრეკილება დანაშაულისკენ.
- 2) იცით თუ არა სასჯელის რა ზომაა მიღებული გაუპატიურებაზე?
 - ალბათ 10 – 15 წელი.
- 3) თქვენი აზრით გაუპატიურების ჩადენა ფსიქოლოგიური პრობლემაა თუ ჩვეულებრივი დანაშაული?
 - არის შემთხვევები როდესაც ფსიქოლოგიური პრობლემაა.

რესპოდენტი 2.

- პირველ რიგში არაჯანსაღი ფსიქიკა;
 - არა, სამწუხაროდ არ ვიცი;
 - აუცილებლად დანაშაულია;
- 1) რა შეიძლება იყოს გაუპატიურების მიზეზი?
 - გაუპატიურების მიზეზია ადამიანის ფსიქიკური პრობლემა.
 - 2) იცით თუ არა სასჯელის რა ზომაა მიღებული გაუპატიურებაზე?
 - როგორც მე ვიცი 7დან 10 წლამდე

3) თქვენი აზრით გაუპატიურების ჩადენა ფსიქოლოგიური პრობლემაა თუ ჩვეულებრივი დანაშაული?
- ორივეა, როგორც ფსიქიკური პრობლემა ასევე დანაშაულიც.
რესპოდენტი 3.

1) რა შეიძლება იყოს გაუპატიურების მიზეზი?
- ჩემი აზრით ავადმყოფობაა ჩვეულებრივი.
2) იცით თუ არა სასჯელის რა ზომაა მიღებული გაუპატიურებაზე?
- არ ვიცი რამდენი წელია მაგრამ სამუდამო პატიმრობას იმსახურებენ.
3) თქვენი აზრით გაუპატიურების ჩადენა ფსიქოლოგიური პრობლემაა თუ ჩვეულებრივი დანაშაული?
- ზოგადად ავადმყოფობაა, მაგრამ უნდა ჩაითვალოს დანაშაულად, რადგან ასე მარტივად არ მოხდეს ამ ფაქტების გადატანა.

რესპოდენტი 4.

1) რა შეიძლება იყოს გაუპატიურების მიზეზი?
- მე ვფიქრობ მიზეზი შეიძლება იყოს სიმთვრალე, აფექტი და ბევრი სხვა რამ.
2) იცით თუ არა სასჯელის რა ზომაა მიღებული გაუპატიურებაზე?
- როგორც ჩემთვისაა ცნობილი 4დან 20 წლამდე, განისაზღვრება სიმძიმის მიხედვით.
3) თქვენი აზრით გაუპატიურების ჩადენა ფსიქოლოგიური პრობლემაა თუ ჩვეულებრივი დანაშაული?
- ამ შემთხვევაში არის ორივე, ფსიქიკის პრობლემა და დანაშაულიც.

რესპოდენტი 5

1) რა შეიძლება იყოს გაუპატიურების მიზეზი?
- მიზეზი შეიძლება იყოს სექსუალური დაუკმაყოფილებლობა და ალბათ აფექტი.
2) იცით თუ არა სასჯელის რა ზომაა მიღებული გაუპატიურებაზე?
- არა, სასჯელის შესახებ არ ვიცი სამწუხაროდ არაფერი.
3) თქვენი აზრით გაუპატიურების ჩადენა ფსიქოლოგიური პრობლემაა თუ ჩვეულებრივი დანაშაული?
- ყველა შემთხვევაში დანაშაულია და არ უნდა განიხილოს როგორც ფსიქოლოგიური პრობლემა.

როგორც ამ გამოკითხვიდან აღმოჩნდა მთავარი მიზეზი გაუპატიურების შეიძლება ჩაითვალოს მოძალადის ფსიქოლოგიური მდგომარეობა. გარდა ამისა მოქალაქეები არ არიან ინფორმირებულები თუ რა ზომებს უნდა მიმართონ ამ სიტუაციაში, რაც თავისთავად განაპირობებს იმას, რომ საზოგადოება არ მიმართავს პოლიციას ან სასამართლოს (ლატენტურობა). როდესაც მათ არ იციან თავიანთი უფლებები და არ აქვთ გაცნობიერებული ის, რომ შეუძლიათ დაიცვან უფლებები. თუმცა ეს საზოგადოების ზოგადი მორალური პრობლემაა.

გარდა მოძალადისა, დანაშაულში აღსანიშნავია აგრეთვე მსხვერპლის სახეები, მიუხედავად იმისა რომ არ აქვს არსებითი მნიშვნელობა იყო თუ არა მსხვერპლი მოძალადის გამომწვევი.

მოდერნებს დანაშაულის მსხვერპლის შესახებ ეწოდება ვიქტიმოლოგია. ვიქტიმოლოგიის მიხედვით დანაშაულის მსხვერპლი იყოფა რამდენიმე სახედ:

1. აგრესიული მსხვერპლი - რომლის ქცევა დაკავშირებულია თავდასხმასთან ზიანის მიყენებელზე ან სხვა პირებზე ან იმავე ხასიათის მოქმედებებთან (შეურაწყოფა, ცილისწამება, აბუჩად აგდება და სხვა). მისთვის დამახასიათებელია კონფლიქტური სიტუაციის განზრახ შექმნა.
2. აქტიური მსხვერპლი – მისი ქცევა არ არის დაკავშირებული თავდასხმასთან ან ბიძგთან კონფლიქტური კონტაქტის ფორმით, თუმცა ამისდა მიუხედავად აქტიურად უწყობს ხელს საბოლოო ანგარიშით ზიანის მიყენებას. (მიმართავენ თხოვნით ზიანის მიყენების ან ისეთ მოქმედებათა ჩადენის შესახებ, რომლებიც ობიექტურად იწვევენ ასეთი ხასიათის მოქმედებებს, ან თვითონვე აყენებენ ზიანს საკუთარ თავს).
3. ინიციატივიანი მსხვერპლი – მსხვერპლი რომლის ქცევა დადებითი ხასიათისაა, მაგრამ მაინც იწვევს ზიანის მიყენებას.
4. პასიური მსხვერპლი - რომელიც არ უწყობს წინააღმდეგობას დამნაშავეს ობიექტური და სუბიექტური მიზეზების გამო.
5. არაკრიტიკული მსხვერპლი – ისეთი მსხვერპლია რომლისთვისაც დამახასიათებელია წინდაუხედაობა, სასიცოცხლო სიტუაციის სწორი შეფასების უუნარობა და სხვა..
6. ნეიტრალური მსხვერპლი – ეს ისეთი მსხვერპლია რომელიც არანაირად არ უწყობს ხელს მის წინააღმდეგ დანაშაულის ჩადენას.

სწორედ ამიტომ მსხვერპლს და მოძალადეს შორის შესაძლოა არსებობდეს 6 ტიპის ურთიერთობა, თუმცა როგორც ზემოთ ავღნიშნე ის ფაქტორი იქცეოდა თუ არა მსხვერპლი გაუპატიურებამდე გამომწვევად ან აგრესიულად არ უმსუბუქებს მოძალადეს სასჯელს.

ბოლო თემა რასაც მინდა რომ შევეხო არის ის რომ გაუპატიურების როგორც ზოგადი დანაშაულის კონტროლი სრულიად შესაძლებელია, როგორც ფორმალური ისე არაფორმალური საშუალებებით, თუმცა ამ შემთხვევაში გადამწყვეტ როლს თამაშობს მორალი მოძალადეზე და საზოგადოების ქცევა მეტად მნიშვნელოვანია დამნაშავის გამოსწოდებისთვის.

მთავარი პრობლემა რატომაც ავირჩიე ამ თემის დაწერა არის ის საკითხი, თუ როგორ უნდა მოხდეს ამ დანაშაულის პრევენცია.

დანაშაულობის თავიდან აცილება არის სახელმწიფოსა და საზოგადოების საქმიანობა, მიმართული დანაშაულობის წინააღმდეგ მისი სოციალურად მოსათმენ ღონეზე შენარჩუნების მიზნით მისი წარმომშობი მიზეზების აღმოფხვრისა ან ნეიტრალიზაციის მეშვეობით.

დასაწყისშივე ავღნიშნე, რომ გაუპატიურება ლატენტური დანაშაულია მისი ხელშემწყობი საზოგადოებრივი მორალი ამგვარად დანაშაულთან მიმართებით, სწორედ ამიტომ ძალიან ხშირია დანაშაულის დამალვა დაზარალებულის მხრიდან. მე შევეცადე მომეძიებინა ის მიზეზები თუ რატომ არ მიმართავენ სამართალდამცავ ორგანოებს დაზარალებული ქალები. “ადამიანის უფლებათა პრიორიტეტების” ადვოკატის, მედეა გუგუშაშვილის თქმით, საქართველოში საერთოდ არ არის დამკვიდრებული მსგავსი დანაშაულების გამოძიების მეთოდოლოგია. არადა, არსებობს სექსუალური

ძალადობის გამოძიების საერთაშორისო სტანდარტები: “სტამბოლის პროტოკოლი” პირობებით დადგენილია, რომ გამოძიების დროს, დაზარალებულის კონფიდენციალურობის დაცვასთან ერთად, უნდა გაითვალისწინონ მისი უფლებაც – მოითხოვოს თავისივე სქესის გამოძიებელი. ამასთანავე, მსხვერპლს არ უნდა დაუსვან ისეთი შეკითხვები, რომელიც დამატებით დისკომფორტს შეუქმნის და მის ფსიქიკურ მდგომარეობას გააუარესებს. ჩვენთან კი, ხშირად სწორედ ამ სტანდარტების არარსებობის გამო, ქალები გამოძიებას არ მიმართავენ.

“კავკასიის ქალთა ქსელის” ხელმძღვანელის ნინო ციხისელის თქმით კი, ის, რომ ქალები ამ თემაზე სასაუბროდ მზად არ არიან, ერთ ვიწრო ჭრილში არ უნდა განვიხილოთ. მსგავსი შემთხვევები სასამართლო განხილვის საგანი რომ გახდეს, ამისთვის საჭიროა სახელმწიფოს პოლიტიკური ნების არსებობაც.

2000 წლის 31 დეკემბერს გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომაზე მიღებულ იქნა N1325-ე რეზოლუცია, რომელიც გაეროს წევრ სახელმწიფოებს ავალეს ცხოვრებაში გაატარონ გაეროს წესდებით განსაზღვრული ქალთა და მამაკაცთა თანასწორობის პოსტულატები. ჯერ კიდევ 20 წლის წინ ქალთა საერთაშორისო მოძრაობის ლიდერებმა გადაწყვიტეს ლობირება გაეწიათ ისეთი კონვენციისათვის, რომელიც აღნიშნავდა ქალთა სპეციფიკურ როლს, მნიშვნელობას ძალადობის დესკალაციისა და მშვიდობის მშენებლობის პროცესში. N1325-ე რეზოლუციაში ხაზგასმულია ქალის მნიშვნელობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში და ქალთა ცართვის აუცილებლობა მათი დანიშნა ე.წ. სპეციალური წარმომადგენლების პოსტებზე. საჭიროა, სათანადო ყურადღება მიექცეს ქალისა და გოგონას სპეციფიკურ მოთხოვნილებებს ომის შემდგომ პერიოდში. ამგვარი დებულება ხაზგასმულია ქენევის კონვენციაში. შეიარაღებული კონფლიქტის დროს ქალები დაცულნი იყვნენ სექსუალური ძალადობისაგან. დოკუმენტში კატეგორიულადაა მინიშნებული, რომ გაუპატიურების დანაშაული არ ექვემდებარება ამინისტციას. უმთავრესი როლი, გაუპატიურების პრევენციაში ეკისრება სამართალდამცავ ორგანოებს და საზოგადოებას. საზოგადოებას იმ მხრივ, რომ ხელი უნდა შეუწყონ ამგვარი აქტების გამოვლენას. ხალხმა უნდა გაითავისოს ის, რომ დანაშაულის დაფარვით ხელს უწყობენ დამნაშავეებს და დანაშაულის მომრავლებას. სამართალდამცავი ორგანოების ფუნქციაა გაამკაცრონ სასჯელი რათა მოხდეს დანაშაულის შემცირება. ყველაზე დიდი პრობლემა ამ შემთხვევაში არის რეაბილიტაციის ცენტრების არ ქონა, ცენტრები რომლებიც დაეხმარებიან დაზარალებულებს საზოგადოებაში, ინტეგრაციაში.

სახელმწიფოს ვალდებულება აქვს, ისეთი კონკრეტული საკანონმდებლო ნაბიჯები გადადგას, რომ ეს ქალებიც უფრო თავისუფლად, შიშის და რისკის გარეშე მოეკიდონ ამ საკითხს. ამას ხელს უწყობს მსოფლიოში უკვე არსებული და ხელმისაწვდომი ინსტრუმენტები, მაგალითად “სტამბოლის პროტოკოლი” და გაეროს რეზოლუცია.

უპირველეს ყოვლისა უნდა მოხდეს საზოგადოების ინფორმირება მათ უფლებებსა და შესაძლებლობებზე.

სოფო ბოლაშელი

ერიკოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის
ბაკალავრიატის სტუდენტი

გამოყენებული ლიტერატურა

1. Geolaw.wordpress.com
2. humanrights.ge
3. matsne.gov.ge
4. police.ge
5. geostat.ge
6. ვიკიპედია
7. ზაურ წულაია – კრიმინოლოგია ზოგადი და კერძო ნაწილი (ინტელექტი 2005
8. Cspc.org.ge – სამეცნიერო პრაქტიკული ჟურნალი “კრიმინოლოგი” (თბილისი) 1(2), 2(3), 1(4), 1(5) გამოცემები
9. suprimecourt.ge
10. court.ge
11. nplg.gov.ge
12. liberali.ge
13. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი – იურისტთა ბიბლიოთეკა (თბილისი 2012)

სოფო ბოლაშვილი

გაუპატიურების კრიმინოლოგიური დახასიათება

რეზიუმე

ნაშრომში მოყვანილია ქვეყნის მასშტაბით გაუპატიურების ფაქტებზე აღძრული სისხლის სამართლის საქმეები. დანაშაულობის დახასიათებისათვის:

- მოცემულია საზოგადოების წარმომადგენლებისა და იურისტების პროფესიული რეკომენდაციები გაუპატიურებაზე;
- გაანალიზებულია საქართველოს უმაღლეს სასამართლოსა და შინაგან საქმეთა სამინისტროს სტატისტიკა;
- შესწავლილია საზოგადოებრივი აზრი - წარმოდგენილია ხუთი რესპოდენტის ინტერვიუს მასალები;
- მოცემულია გაუპატიურების დანაშაულობის საერთაშორისო გამოცდილება, კრიმინოლოგიური მიზეზები და რეკომენდაციები.

Криминологическая характеристика изнасилования

Резюме

В статье рассмотрены уголовные дела об изнасиловании по всей стране. Для характеристики данной группы преступлений:

- Даны профессиональные рекомендации для юристов и общественных организаций связанных с изнасилованиями.
- Проанализирована статистика верховного суда и министерства внутренних дел Грузии.
- Изучено общественное мнение – Представлены материалы интервью с пяти респодентами.
- Дан международый опыт изнасилования, криминологические причины и рекомендации.

Sopho Bolashvili

Criminological characterization of the rape

Summary

The article deals with the processed criminal cases of rape across the country. For crime characterization:

- There are given professional recommendations by the representatives of the public and lawyers about rape
- The statistics of the Supreme Court and the Ministry of the Internal Affairs is analysed.
- The public opinion is studied and presented five respondents' interview materials.
- There are given Criminology of rape in international experience, criminological reasons and recommendations.

არასრულწლოვანთა მიმართ ჩადენილი დანაშაულობა,
საქართველო და საერთაშორისო სტანდარტები

ბევრად ბავშვი ოჯახსა თუ საზოგადოებაში ყველაზე უფლებო არსებად ითვლებოდა. თანამედროვე დემოკრატიულ ქვეყნებში კი არსებობს კანონი, რომლებიც ბავშვისადმი ჰუმანურ მოპყრობას, მასზე ზრუნვას მოითხოვს. ბავშვის კეთილდღეობაზე პასუხისმგებლობა მშობლებს, სკოლას და მთელს საზოგადოებას ეკისრება. ჯერ კიდევ 1924 წელს შეიმუშავა ერთმა ლიგამ დეკლარაცია, რომელიც ბავშვთა დაცვისა და კეთილდღეობის ხუთ ძირითად პრინციპს ითვალისწინებდა. მას ქენევის დეკლარაციის სახით მოიხსენიებენ.

ბავშვის უფლებები აღიარებულია საყოველთაო დეკლარაციით, მოქალაქეობრივი და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო ფაქტით (კერძოდ, მისი 23-ე და 24-ე მუხლებით), ეკონომიური, სოციალური და კულტურული უფლებების საერთაშორისო ფაქტით (კერძოდ მე-10 მუხლით), აგრეთვე ბავშვთა კეთილდღეობის საკითხებზე მომუშავე სპეციალიზირებული დაწესებულებებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების შესაბამისი დოკუმენტებით, მხედველობაში იღებენ რა ბავშვის უფლებათა დეკლარაციის მითითებას, რომ “ბავშვს, მისი ფიზიკური და გონებრივი მოუძვინველობის გამო, ესაჭიროება სპეციალური დაცვა და ზრუნვა, შესატყვისი სამართლებრივი დაცვის ჩათვლით, როგორც დაბადებამდე ისე დაბადების შემდეგ”, ეყრდნობიან რა დეკლარაციის დებულებებს იმ სოციალური და სამართლებრივი პრინციპების შესახებ, რომლებიც მოიცავენ ბავშვების დაცვასა და კეთილდღეობას, განსაკუთრებით ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე ბავშვთა აღსაზრდელად გადაცემისა და შვილად აყვანისას, არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების არსრულების გაერთიანებული ერების ორგანიზაციისეულ მინიმალურ სტანდარტულწესებს.

1989 წელს გაეროს გაერთიანებულმა ასაბლემ ერთხმად მიიღო ბავშვთა უფლებების კონვენცია.

ბავშვთა უფლებათა ძირითადი დაცვა უზრუნველყოფილია გაეროს დონეზე 1990 წლის ბავშვთა უფლებების კონვენციის სახით, რომელიც არის ყველაზე ფართო მასშტაბით რატიფიცირებული კონვენცია (აშშ-ს და სომალის გამოკლებით).

გაეროს მე-3 მუხლის 1 ნაწილში ვკითხულობთ: “ბავშვის მიმართ ნებისმიერ ქმედებათა განხორციელებისას, მიუხედავად იმისა თუ ვინ არის მათი განმახორციელებელი - სახელმწიფო თუ კერძო დაწესებულებები, რომლებიც მუშაობენ სოციალური უზრუნველყოფის საკითხებზე, სასამართლოები, ადმინისტრაციული თუ საკანონმდებლო ორგანოები – უპირველესი ყურადღება ეთმობა ბავშვის ინტერესების დაცვის უკეთ უზრუნველყოფას”. მე-11 მუხლის თანახმად: “1. მონაწილე სახელმწიფოები დებულობენ ზომებს ბავშვთა უკანონოდ გადაადგილების ან საზღვარგარეთ მათი უკანონოდ დატოვების წინააღმდეგ საბრძოლველად. 2. ამ მიზნით მონაწილე სახელმწიფოები ხელს უწყობენ ორმხრივი ან მრავალმხრივი შეთანხმებების დადებას ან მოქმედ შეთანხმებებთან შეერთებას. მუხლი 34-ის მიხედვით: “ მონაწილე სახელმწიფოები ვალდებულია კისრულობენ, დაიცვან ბავშვი სექსუალური ექსპლუატაციის და სექსუალური ცდუნების ყველა ფორმისგან. ამ მიზნით მონაწილე სახელმწიფოები, კერძოდ, ორმხრივ და მრავალმხრივ ეროვნულ დონეებზე დებულობენ ყველა აუცილებელ ზომას, რათა თავიდან აიცილონ: ა) ბავშვის დაყოლიება ნებისმიერ უკანონო სექსუალურ ქმედებაზე ან ბავშვის იძულება, მონაწილეობდეს ასეთ ქმედებაში; ბ) ექსპლუატაციის მიზნით ბავშვის გამოყენება პროსტიტუციაში

ან სხვა უკანონო სექსუალურ პრაქტიკაში; გ) ექსპლუატაციის მიზნით ბავშვის გამოყენება პორნოგრაფიასა და პორნოგრაფიულ მასალებში. მუხლი 35-ში ვკითხულობთ: “მონაწილე სახელმწიფოები ეროვნულ, ორმხრივ და მრავალმხრივ დონეებზე დებულებებს ყველა აუცილებელ ზომას, რათა თავიდან აიცილონ ბავშვთა მოტაცება, ბავშვებით ვაჭრობა ან მათი კონტრაბანდა ნებისმიერი მიზნებით და ნებისმიერი ფორმით”. მუხლი 36-ში წერია: “მონაწილე სახელმწიფოები ბავშვს იცავენ ექსპლუატაციის ყველა სხვა ფორმისგან, რომელიც ზიანს აყენებს ბავშვის კეთილდღეობის ნებისმიერ ასპექტს”. 37-ე მუხლის ა პუნქტის მიხედვით: “მონაწილე სახელმწიფოები უზრუნველყოფენ, რომ: ა) არც ერთი ბავშვი არ იყოს წამების, საერთოდ სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის ან სასჯელის მსხვერპლი. არც სიკვდილით დასჯა, არც მუდმივი პატიმრობა, რომელიც არ ითვალისწინებს განთავისუფლების შესაძლებლობას, არ შეიძლება შეეფარდოს 18 წლამდე ასაკის პირთა მიერ ჩადენილ დანაშაულებს”. მუხლი 39-ე ნათლად გვიყალიბებს: “მონაწილე სახელმწიფოები ყველა ზომას იღებენ, რათა ხელი შეუწყონ იმ ბავშვის ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ გაჯანსაღებას და სოციალურ რეინტეგრაციას, რომელიც ნებისმიერი სახის უგულვებელყოფის, ექსპლუატაციის ან ბოროტად გამოყენების, წამების, სასტიკი, არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობის, სასჯელის ან შეიარაღებული კონფლიქტის მსხვერპლია. ასეთი გაჯანსაღება და რეინტეგრაცია უნდა ხორციელდებოდეს ბავშვის ჯანმრთელობის, საკუთარი თავის პატივისცემისა და ღირსების გრძნობის შენარჩუნების უზრუნველყოფ პირობებში”.

დღეს საქართველოში ბავშვთა უფლებები სწორედ გაეროს მიერ აღიარებული ბავშვთა უფლებების საყოველთაო კონვენციითაა დაცული, რომელსაც საქართველო 1994 წლის 21 აპრილს შეუერთდა.

2014 წლის 31 მაისს ბათუმის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში გაიმართა დისკუსია ბავშვთა უფლებების საერთაშორისო სტანდარტებსა და მათი განხორციელების პრაქტიკაზე საქართველოში. შეხვედრის მიზანი იყო საზოგადოების ინფორმირება იმის თაობაზე, თუ რამდენად ასრულებს საქართველო ბავშვთა უფლებათა დაცვის კონვენციით დაკისრებულ ვალდებულებებს, როგორ აღიქმება მის მიერ კონვენციასთან შეუსაბამო ნაბიჯების გადადგმა და რა ემუქრებათ საქართველოში მცხოვრებ დაუცველ ბავშვებს.

აჭარის უმაღლესი საბჭოს ვიცე-სპიკერის დავით ბაციკაძის განცხადებით, საქართველოში გაეროს ბავშვთა უფლებების დაცვის კონვენციის მოთხოვნათა შესასრულებლად ერთიანი სტრატეგია არ არსებობს და მრავალი ხარვეზია აღმოსაფხვრელი. მისი აზრით, მთავარ პრობლემას კანონის იგნორირება წარმოადგენს. „ძალადობის მნიშვნელობისა და ფორმების დადგენა ბევრ მუშაობას მოითხოვს სამართალდამცავების მხრიდან, ვინაიდან ძალადობა სხვადასხვა სახის არსებობს, მათ შორის: ფსიქოლოგიური, ეკონომიკური და ემოციური. ერთობლივი მუშაობა ყოველივე აღნიშნულის სამართლებრივად დადგენას უზრუნველყოფს და შესაბამისად, კანონის სრულყოფილი მოქმედების გარანტიას იძლევა,“ - აღნიშნა დავით ბაციკაძემ.

შეხვედრა პრეცედენტული იყო, ვინაიდან ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში რეგიონის მასშტაბით საკითხით დაინტერესებულ პირებს პირველად მიეცათ შესაძლებლობა ემსჯელათ საქართველოში ბავშვთა უფლებების დაცვის კუთხით არსებულ პრობლემებზე. აღსანიშნავია დისკუსიაზე დამსწრე ხელისუფლების წარმომადგენელთა აქტიურობა პრობლემების გაანალიზებისა და შედეგების მიღწევისათვის გასათვალისწინებელი რეკომენდაციების თვალსაზრისით.

დისკუსიის დასასრულს შეხვედრის მონაწილეები შეთანხმდნენ, რომ ბავშვთა უფლებების გარანტირება მხოლოდ ხელისუფლების ვალდებულება არ არის. ბავშვების უფლებების დაცვის უზრუნველსაყოფად აუცილებელია პასუხისმგებლიანი და

აქტიური სამოქალაქო საზოგადოება, რომელიც ქმედით მონაწილეობას მიიღებს დემოკრატიული ღირებულებების გაძლიერებაში.

ბავშვთა მიმართ ძალადობის სხვადასხვა ფორმებს ვხვდებით. დღესდღეისობით ერთ-ერთი ყველაზე რთულად გადასაჭრელ პრობლემას წარმოადგენს ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობა.

ბავშვზე სექსუალურ ძალადობას ხშირად იდუმალ დანაშაულად მოიხსენიებენ. საყოველთაოდ ცნობილია, რომ მსხვერპლ ბავშვებს ძალიან უჭირთ ძალადობის ფაქტის გამჟღავნება. განსაკუთრებით პატარებს ხშირად არ აქვთ საკმარისი სიტყვათა მარაგი თავიანთი სათქმელის გადმოსაცემად და, შესაძლოა, არც კი იციან, რომ მათი უფლებები დაირღვა. შეიძლება ბავშვს შერცხვეს ან მოერიდოს თავის გამოცდილებაზე საუბარი, ან სულაც მოძალადის მხრიდან მუქარის გამო ეშინოდეს დანაშაულის გამოაშკარავების. ზოგ შემთხვევაში ბავშვებს დამნაშავეს მიმართ გრძნობები აკავებთ ან შესაძლოა ფიქრობენ, რომ არავინ დაუჯერებს. მიუხედავად ამისა, და იმის გათვალისწინებით, რომ ბავშვების გადმოსახედიდან ძალადობის არ გამოძღვანების მრავალი მიზეზი არსებობს, კვლევები ცხადყოფენ, რომ სექსუალური ძალადობის მსხვერპლთა უმრავლესობა ადრე თუ გვიან მაინც ამჟღავნებს ძალადობის ფაქტს. პატარები ამის შესახებ ხშირად მშობლებს ეუბნებიან, უფრო მოზრდილები კი, განსაკუთრებით მოზრდილები, როგორც წესი, თავიანთ თანატოლებს ანდობენ ამ საიდუმლოს.

რაც მთავარია, შეგვიძლია ვივარაუდოთ რომ რაც უფრო ნაცნობი და მტკივნეულია საზოგადოებისათვის ეს პრობლემა, მით უფრო მეტი ძალადობის მსხვერპლი ბავშვი შეძლებს თავისი თავგადასავლის გამხელას.

ბავშვთა მიმართ ძალადობა გამიხატება არა მარტო დაბადების შემდგომ, არამედ მისი მუცლად ყოფნის დროსაც. სიცოცხლის უფლების აღიარების და მისი შეზღუდვის საკითხი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი და პრობლემატურია თანამედროვე მსოფლიოში. ადამიანის უფლებათა სფეროში მოქმედი საერთაშორისო აქტები აღიარებენ სიცოცხლის უფლებას, მაგრამ, უმეტეს შემთხვევაში, გაურკვეველია, თუ რა პერიოდისაა არის დაცული სიცოცხლის უფლება – ბავშვის ჩასახვის მომენტიდან თუ დაბადების მომენტიდან. ადამიანის უფლებათა ევროპის კომისიამ თავი შეიკავა აბორტის კონტექსტში სიცოცხლესთან დაკავშირებით რაიმე დეფინიციის გაკეთებისგან. მხოლოდ რამდენიმე აქტი არსებობს, სადაც სიცოცხლის უფლების დასაწყისად პირდაპირ არის აღიარებული ბავშვის ჩასახვის მომენტი

დაბადებამდე ბავშვის უფლების თემას ეხება ბავშვის უფლებათა კონვენცია, რომელსაც საქართველო 1994 წლიდან მიუერთდა. იგი პირდაპირ და ცალსახად აღიარებს ბავშვის სამართლებრივი დაცვის უფლებას მის დაბადებამდე. ამ ნორმის საფუძველზე და კონვენციაში აღნიშნული პრინციპების გათვალისწინებით, მსოფლიო ქვეყნებმა შექმნეს კანონმდებლობა, სადაც გარკვეული პირობების დაცვით, უზრუნველყოფილია ბავშვის სიცოცხლის უფლება მის დაბადებამდე. მიუხედავად იმისა, რომ ჩანასახის უფლებები ერთერთი აქტუალური საკითხია თანამედროვე მსოფლიოს სამართლებრივ სივრცეში.

გაეროს ბავშვთა უფლებათა კონვენციის მე-6 მუხლი შეეხება ზემოთ აღნიშნულ საკითხს:

„1. მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ, რომ ყოველ ბავშვს აქვს სიცოცხლის ხელშეუხებელი უფლება.

1. მონაწილე სახელმწიფოები შესაძლებლობისამებრ მაქსიმალურად უზრუნველყოფენ ბავშვის სიცოცხლის შენარჩუნებისა და ჯანსაღ განვითარებას.“

ყოველივე აქედან გამომდინარე სახელმწიფოები ცდილობენ შეიმუშაონ ეფექტური ღონისძიებები, რათა მაქსიმალურად დაცული იყოს ბავშვთა უფლებები, მაგრამ იმასაც ვერ ვიტყვით რომ პრობლემა ბოლომდე დაძლეულია. ეს იქიდანაც ჩანს, რომ ისეთი დიდი სახელმწიფო როგორც ამერიკაა არ არის მიერთებული ზემოთ აღნიშნულ ბავშვთა უფლებათა კონვენციას და შესაბამისად, ამ კონვენციით გათვალისწინებულ დებულებებსაც არ ახორციელებს ბავშვთა უფლებათა დასაცავად. შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს ერთგვაროვნად დიდი პრობლემაა, რადგან ამერიკას საკმაოდ დიდი ძალა აქვს მსოფლიო მაშტაბით და მისი ჩართულობა უფრო გააძლიერებდა ბავშვთა უფლებათა დაცვის ეფექტურ ღონისძიებათა განხორციელებას.

დღესდღეისობით, მიუხედავად მრავალი ქვეყნის ძალისხმევისა ბავშვთა მიმართ ძალადობის სხვადასხვა ფორმა მაინც იჩენს თავს, რომელსაც ხშირად საზოგადოება გულგრილად უყურებს და სახელმწიფოც თავისი ბერკეტებით სათანადოდ ვერ ახდენს მათ დაცვას.

სოფიკო ხუციშვილი

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის
სამართლის სკოლის ბაკალავრიატის სტუდენტი

გამოყენებული ლიტერატურა:

1. კრიმინოლოგია და სამართალდამცავი სისტემა საქართველოში. ფ. ადღერი, გ.ო. მიულერი, მ.ს. ლაუფერი, საქართველოს ავტორთა კოლექტივი.
2. ბავშვთა უფლებების დაცვა, საქართველოს კანონებისა და საერთაშორისო აქტების კრებული. თბილისი 2005.
3. <http://kids.ge/articles/ბავშვის-უფლებათა-კონვენცია>
4. http://cce.ge/portal/alias__CCE/newsid__238/callerModID__9034//tabid__4609/default.aspx
5. http://unicef.ge/uploads/CRC_georgian_language_version.pdf
6. <https://heconomic.wordpress.com>
7. მართლმსაჯულება ბავშვებისათვის, საუნივერსიტეტო კურსი, საკითხავი მასალა. გაეროს ბავშვთა ფონდი, 2013წელი

არასრულწლოვანთა მიმართ ჩადენილი დანაშაულობა,
საქართველო და საერთაშორისო სტანდარტები

რეზიუმე

ნაშრომში განხილულია არასრულწლოვანთა მიმართ ჩადენილი დანაშაულობა ისტორიულ, საერთაშორისო სამართლებრივ და საქართველოს კანონმდებლობის ჭრილში

განხილულია ქალაქ ბათუმში დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში 2014 წელს ჩატარებული დისკუსია „ბავშვთა უფლებების საერთაშორისო სტანდარტები და მათი განხორციელების პრაქტიკა საქართველოში“ და მოცემულია რეკომენდაციები.

Софико Хуцишвили

Преступления совершенные в отношении к несовершеннолетним:

грузинские и международные стандарты

Резюме

В статье рассматриваются преступления совершенные в отношении к несовершеннолетним с учетом истории, международного права и законодательства Грузии.

Рассмотрены результаты проведенной 2014 году в городе Батуми в центре демократической активности дискуссии «Международные стандарты по защите прав детей и практика их реализации в Грузии» и даны рекомендации.

Sopiko Khutsishvili

Criminality against juveniles, international and Georgia standards

Summary

The article deals with the issues of criminality against juveniles in the historical, International legal and in the legislation of Georgia setting.

Reviewed is discussion on the topic of “International Standards of Children’s Rights and their implementation practice in Georgia “ conducted at the center for civic Engagement in Batumi in 2014 and recommendations are given.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს რეფორმირების უწყებათშორისი კომისიის სამუშაო ჯგუფთან კრიმინოლოგიის ინსტიტუტისა და დანაშაულობის კვლევისა და პროგნოზირების ცენტრის თანამშრომლობა

საქართველოს მთავრობის სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს აპარატის თხოვნით დანაშაულობის კვლევისა და პროგნოზირების ცენტრი და გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის კრიმინოლოგიის ინსტიტუტი მონაწილეობდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს რეფორმირების საკითხებზე სამუშაო ჯგუფის მუშაობაში. ამ მიზნით ცენტრში შეიქმნა ექსპერტთა ჯგუფი: ცენტრის ხელმძღვანელის, სამართლის დოქტორის, პროფესორ **მალხაზ ბაძაღუას**; ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელის, საქართველოს უშიშროების ყოფილი მინისტრის, თადარიგის გენერალ – ლეიტენანტ, სამართლისა და პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ **ჯემალ გახოკიძის**; საქართველოს შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრის, თადარიგის გენერალ – ლეიტენანტ **კობა ნარჩემაშვილის**; სამართლის დოქტორის, პროფესორ **გიორგი ღლონტის** შემადგენლობით.

მომზადდა რამოდენიმე მნიშვნელოვანი მასალა, რომელიც განსახილველად გაიგზავნა საქართველოს მთავრობის სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოში, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს რეფორმირების უწყებათშორისი კომისიაში განსახილველად, რომელსაც წარმოგიდგენთ:

საქართველოს მთავრობის სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს მდივანს, ბატონ დავით სუჯაშვილს

როგორც ჩვენთვის ცნობილია საქართველოს პრემიერ-მინისტრის ინიციატივით შექმნილია შინაგან საქმეთა სამინისტროს რეფორმირებისა და რეორგანიზაციის სამუშაო ჯგუფი. ამასთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ დანაშაულობის კვლევისა და პროგნოზირების ცენტრში მუშაობს ექსპერტთა ჯგუფი ცნობილი მეცნიერი და პრაქტიკოსი იურისტების შემადგენლობით.

ამასთან დაკავშირებით მოგახსენებთ ჩვენს ხედვებს, კერძოდ:

- შინაგან საქმეთა სამინისტროს ინსტიტუციური მოდელის შემუშავებას, რეფორმირებასა და რეორგანიზაციას წინ უნდა უძღოდეს შესაბამისი მეცნიერული კვლევები.
- სამართალდამცავი და სპეციალური სამსახურების რეფორმა-რეორგანიზაციის საბოლოო მიზანი უნდა ემსახურებოდეს სამართალწარმოების პროცესის ეფექტიანობის ამაღლებას. ამ საკითხის გადაწყვეტა შეუძლებელია გამოძიების, როგორც სამართალწარმოებისა და მართლმსაჯულების მთავარი კომპონენტის სწორი ორგანიზაციის გარეშე, რაშიც იგულისხმება სრულიად ახალ ხედვებზე დაფუძნებული გამოძიების ერთიანი ორგანიზაცია. დღეის მდგომარეობით ქვეყანაში გამოძიება მრავალსუბიექტიანია და მას ახორციელებს ხუთი სხვადასხვა უწყება (შინაგან საქმეთა სამინისტრო, მთავარი პროკურატურა, თავდაცვის სამინისტრო, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო და ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურები).

ამასთან თვითონ რეფორმის ორგანიზაციასთან გვაქვს შენიშვნები, კერძოდ, როგორც ჩვენთვის ცნობილია ამ მიმართულებით მიმდინარეობს სამ უწყებაში რეფორმებზე მუშაობა. იუსტიციის სამინისტროში ხორციელდება სისხლის სამართლის რეფორმის საკოორდინაციო საბჭოს ფარგლებში არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის რეფორმა და პროკურატურის ინსტიტუციური რეფორმა. სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროში სასჯელაღსრულების სისტემის რეფორმა, საქართველოს მთავრობაში სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების

მართვის საბჭოში შინაგან საქმეთა სამინისტროს რეფორმა.

ჩვენი აზრით სამართალდამცავი და სპეციალური სამსახურების რეფორმა საქართველოს მთავრობაში კოორდინირებულად უნდა მიმდინარეობდეს და მას უნდა ხელმძღვანელობდეს მთავრობის მეთაური პრემიერ-მინისტრი, სხვა შემთხვევაში ერთიანი ხედვის გარეშე დანაშაულთან ბრძოლის ეფექტიანობის ამაღლების თვალსაზრისით რეფორმები ფორმალური ხასიათის მატარებელი იქნება და რეალურ შედეგებს არ მოიტანს.

გაცნობებთ, რომ ექსპერტთა ჯგუფს ზემოაღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით მომზადებული აქვს მოსაზრებები კონცეპტუალურ დონეზე.

ცენტრის ექსპერტთა ჯგუფი:

მალხაზ ბაძაღუა

ცენტრის ხელმძღვანელი, სამართლის დოქტორი, პროფესორი

ჯემალ გახოკიძე

სამართლისა და პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

კობა ნარჩემაშვილი

თადარიგის გენერალ-ლეიტენანტი

გიორგი ღლონტი

სამართლის დოქტორი, პროფესორი

25 თებერვალი, 2015 წელი

საქართველოს მთავრობის სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს მდივანს, ბატონ დავით სუჯაშვილს

“დანაშაულობის კვლევითი ცენტრი“-ს შექმნის საჭიროების შესახებ

საქართველოს სინამდვილეში სამართალდამცავ და სპეციალურ სამსახურებთან დაკავშირებული თეორიული და პრაქტიკული საქმიანობის მართვა საუკუნეების მანძილზე რუსეთის იმპერიასთან იყო დაკავშირებული. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ შექმნილი დამოუკიდებელი სახელმწიფოები ამ მიმართულებით ყოველგვარი მეთოდოლოგიური საფუძვლების გარეშე დარჩნენ.

ამასთანავე ყურადსაღებია, რომ ჩვენს ქვეყანაში დანაშაულობის კვლევების კუთხით არსებობს გარკვეული დადებითი გამოცდილება. აწ გარდაცვლილ პროფესორ ანზორ გაბიანის ინიციატივით და ხელმძღვანელობით, 1974 წელს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შეიქმნა „დამნაშავეობის სოციოლოგიური კვლევის ლაბორატორია“, რომელიც 1979 წელს გადავიდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებაში, ხოლო 1987 წელიდან საკავშირო შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებაში. სსრ კავშირის დაშლის შემდეგ 1992 წლიდან აღნიშნულმა კვლევითმა ცენტრმა გააგრძელა ფუნქციონირება დამოუკიდებელი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში „დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის პრობლემათა კვლევითი ცენტრის“ სახით, რომელიც სხვადასხვა მიზეზების გამო, წინა ხელისუფლების პირობებში 2004 წელს გაუქმდა. 2005 წელს, ასევე გაუქმდა ათეული წლების მანძილზე ეფექტურად მოქმედი საქართველოს შსს–ს „საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტი“, რომელიც მეცნიერების, ხელოვნებისა და სპორტის გამოჩენილ საზოგადო მოღვაწეებთან, სასულიერო პირებთან, დარგის ვეტერანებთან ერთად, სხვადასხვა ფორმით მონაწილეობდა დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის კომპლექსურ ღონისძიებებში.

საქართველოში დამოუკიდებლობის შემდგომ ხელისუფლებები დამნაშავეობის მდგომარეობაზე რეალურ გავლენას ვერ ახდენდნენ, ამ მიმართულებით რეფორმებიც უშედეგო იყო, რის ერთერთ მთავარ მიზეზს დანაშაულობის მეცნიერულ კვლევებზე სახელმწიფოს მხრიდან უყურადღებობა წარმოადგენდა. მსგავს გამოკვლევებს, მხოლოდ ცალკეული მეცნიერები არასისტემურად, პირადი ენთუზიაზმით და სახსრებით აწარმოებდნენ, უკეთეს შემთხვევაში საუნივერსიტეტო სამაგისტრო, ან სადოქტორო პროგრამებში, საერთაშორისო, ან არასამთავრობო ორგანიზაციების გრანტებით.

საერთაშორისო პრაქტიკაში აღნიშნული მიმართულებით მეცნიერული კვლევები სახელმწიფოებრივ დონეზე წარმოებს. დანაშაულობის კვლევის ინსტიტუტები ფუნქციონირებენ სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურებთან. კერძოდ, ამერიკის შეერთებული შტატების იუსტიციის დეპარტამენტში, სადაც შედის ფედერალური გამოძიების ბიურო, ფუნქციონირებს იუსტიციის ნაციონალური ინსტიტუტი, რომელიც თანამშრომლობს ქვეყნის სასწავლო სამეცნიერო დაწესებულებებთან, მეცნიერ–მკვლევარებთან. ინგლისის გაერთიანებული სამეფოს „ომე ფფიცე“ – შინაგან საქმეთა სამინისტროში მეცნიერების და სტატიკის საკითხებს კორდინირებენ ოფიციალური მრჩეველები. გერმანიის შინაგან საქმეთა სამინისტროში სამეცნიერო – კვლევით საქმიანობას ხელმძღვანელობს და კორდინაციას უწევს, მეცნიერ–მრჩეველთა საბჭო. თურქეთის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროში ანალოგიურ ფუნქციებს ასრულებს კვლევებისა და სწავლების ცენტრი. შოტლანდიაში ფუნქციონირებს საპოლიციო კვლევების ინსტიტუტი, რომელიც კვლევებს აწარმოებს 12 საუნივერსიტეტო დაწესებულებებთან თანამშრომლობით და სხვა

ქვეყანაში არსებული მოცემულობის ანალიტიკური კვლევა იძლევა საფუძველს, რომ ავლნიშნოთ: მეცნიერების და პრაქტიკის ურთიერთთანამშრომლობის გარეშე შეუძლებელია სამართლის, მეცნიერების და მასთან დაკავშირებული სახელმწიფო ორგანიზაციების, მათ შორის განსაკუთრებულად შინაგან საქმეთა სამინისტროს ევოლუციური განვითარება, თანამედროვე თეორიული ბაზით და ტექნოლოგიებით, რომელიც ადეკვატურ, დადებით გავლენას მოახდენს არსებულ და მოსალოდნელ გამოწვევებზე. „დანაშაულობის კვლევითი ცენტრი“-ს შექმნის აუცილებლობის შესახებ წლების განმავლობაში არაერთხელ ვსვავდით საკითხს ხელისუფლების წინაშე.

ქვეყანაში მიმდინარე სამართლებრივი სახელწიფოს მშენებლობასთან, ტურიზმის ინდუსტრიის უსაფრთხო განვითარებასთან, შინაგან საქმეთა სამინისტროს რეფორმირებისა და რეორგანიზაციის პროცესებთან მიმართებაში აუცილებლად მიგვაჩნია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებაში „დანაშაულობის კვლევითი ცენტრის“ შექმნა, ვინაიდან, სამართალდამცავ სფეროში სისტემური ხასიათის ცვლილებები მეცნიერული კვლევების, ანალიზის, რეკომენდაციების და დასკვნების საფუძველზე უნდა წარმოებდეს.

ცენტრის ძირითადი მიზნები და ამოცანები:

- დანაშაულობასთან ბრძოლის სისტემის შექმნა-ჩამოყალიბებისათვის ხელშეწყობა;
- სისხლის სამართლის, სისხლის სამართლის საპროცესო, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსების და სხვა ნორმატიული აქტების კრიმინოლოგიური ექსპერტიზა;
- შინაგან საქმეთა სამინისტროს ინსტიტუციური მოდელის შემუშავების, რეფორმირებისა და რეორგანიზაციისათვის კვლევები - რეკომენდაციების შემუშავება;
- დანაშაულობის კრიმინოლოგიური კვლევები: ქვეყნის, რეგიონის და ინდივიდუალურ დონეზე - რეკომენდაციების შემუშავება;
- დანაშაულობის მდგომარეობის შესაწავლა, მიზეზების და ხელშემწყობი პირობების, მათ შორის ლატენტური დანაშაულობის კვლევები - რეკომენდაციები;
- დანაშაულობის თავიდან აცილების-პრევენციის მექანიზმების შემუშავება - რეკომენდაციები;
- დანაშაულობის წინააღმდეგ ბრძოლის კრიმინოლოგიური პროგნოზირება- დაგეგმარება, მათ შორის ტურიზმის უსაფრთხოებისთვის ვიქტიმიზაციის პრობლემის შესწავლა, სეზონური დანაშაულობის კვლევები - რეკომენდაციები;

აღნიშნულის განხორციელება შესაძლებელია ქვეყნის სამთავრობო, საერთაშორისო, არასამთავრობო ორგანიზაციების, ადგილობრივი და საზღვარგარეთის ქვეყნების სამეცნიერო-აკადემიური რესურსების მონაწილეობით. კერძოდ, ქვეყნის უმაღლესი სასწავლებლების, სამართლის სკოლების, თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის, ამერიკისა და ევროპის კრიმინოლოგიური საზოგადოების, გერმანიის მაქს პლანკის საერთაშორისო და უცხოური სისხლის სამართლის და კრიმინოლოგიის ინსტიტუტის, ლიტვის კერიმინოლოგიის ინსტიტუტის და სხვა ორგანიზაციებთან თანამშრომლობით.

გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის
კრიმინოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი,
ა.ა.ი.პ. „დანაშაულობის კვლევისა და პროგნოზირების ცენტრის“
დამფუძნებელი - ხელმძღვანელი, სამართლის დოქტორი, პროფესორი
მალხაზ ბაბაძე
11 მარტი 2015 წელი

საქართველოს პარლამენტის თავჯდომარეს

ბატონ დავით უსუფაშვილს,

საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავჯდომარეს ბატონ ირაკლი სესიაშვილს

საქართველოს მთავრობის სახელმწიფო უსაფრთხოებისა

და კრიზისების მართვის საბჭოს მდივანს,

ბატონ დავით სუჯაშვილს

მოსაზრებები შინაგან საქმეთა სამინისტროს რეფორმასთან დაკავშირებით

წერილის ავტორები ცალსახად მხარს ვუჭერთ საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებას შინაგან საქმეთა სამინისტროს რეორგანიზაციის შესახებ. თავის დროზე ერთ სამინისტროში, ერთ ჭერქვეშ საპოლიციო და სახელმწიფო უშიშროების სტრუქტურების გაერთიანება განუსაზღვრელი ძალაუფლების უწყების შექმნას ემსახურებოდა. მისი მართვა მაშინდელ ხელისუფალთ გაცილებით უადვილებდა შეუფერხებლად განეხორციელებინათ სისხლის სამართლის დევნა ნებისმიერი არასასურველი პირის მიმართ. სწორედ ამავე მიზნით დაუქვემდებარეს პროკურატურის ორგანოებიც იუსტიციის სამინისტროს.

დღეისათვის პოსტსაბჭოურ რესპუბლიკებში საპოლიციო და უშიშროების სისტემები ცალ-ცალკე ფუნქციონირებენ. პრეცედენტი დაშვებულ იქნა სომხეთის რესპუბლიკაში, სადაც ასეთმა გაერთიანებულმა ძალოვანმა უწყებამ 1997-2001 წლებში იფუნქციონირა და შემდეგ ისევ ორ სამინისტროდ შინაგან საქმეთა და უშიშროების სამინისტროებად გაიყო. რაც შეეხება დასავლეთის ქვეყნებს იქ მიდგომები არაერთგვაროვანია.

აღნიშნული საკითხის კვლევამ აჩვენა, რომ როგორც წესი უშიშროების (უსაფრთხოების) სამსახური შინაგან საქმეთა სამინისტროსგან გამოყოფილია იმ ქვეყნებში, სადაც გამოიყენება ანგლო-ამერიკული საერთო (ე.წ. პრეცედენტული) სისხლის სამართლის წარმოების წესი. მაგალითად, აშშ-ში, 11 სექტემბრის ტერორისტული აქტის შემდეგ, შეიქმნა ეროვნული უსაფრთხოების დეპარტამენტი (Homeland Security Department), რომელშიც გაერთიანდა რამდენიმე ძალოვანი და საფინანსო საქვეუწყებო ერთეული, კერძოდ: საბაჟო და საზღვრის დაცვის სამსახური (CBP), განსაკუთრებული სიტუაციების მართვის ფედერალური სააგენტო (FEMA), ფედერალური სასწავლო ცენტრი (FLETC), საემიგრაციო და საბაჟო აღსრულების სამსახური (ICE), საიდუმლო სამსახური და სატრანსპორტო უსაფრთხოების სამსახური (USSS).

აშშ-ის მსგავსად, უშიშროების სამსახური და საპოლიციო სამსახურები ერთმანეთისგან გამოყოფილია დიდ ბრიტანეთში, ავსტრალიასა და ახალ ზელანდიაში.

ევროკავშირის წევრ ქვეყნებში სახელმწიფოს უშიშროების სამსახურები ფორმალურად შედიან შინაგან საქმეთა სამინისტროს შემადგენლობაში, ასეთ ქვეყნებს მიეკუთვნებიან: გერმანია, საფრანგეთი, იტალია და სხვები. ნიშანდობლივია, რომ ყოფილი საბჭოთა კავშირის წევრი ქვეყნები: ლატვია, ლიტვა და ესტონეთი მიემხრო ევროპულ სისტემას და გააერთიანა აღნიშნული უწყებები. ხაზგასასმელია, რომ უშიშროების სამსახურები ამ ქვეყნებში მართვის და დამოუკიდებლობის მაღალი ავტონომიურობის ხარისხით სარგებლობენ.

პრინციპები, რომელსაც უნდა დაეფუძნოს რეფორმა

საზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ ხელისუფლების პოლიტიკური ნება შსს-ს რეორგანიზაციის შესახებ არ უნდა გავიგოთ როგორც ამ სამინისტროს მექანიკური გაყოფა ორ უწყებად, შინაგან საქმეთა და უშიშროების სამსახურებად. მიგვაჩნია, რომ რეფორმის წარმატებით განხორციელებისათვის აუცილებელია:

1. პოლიციის და უშიშროების ორგანოების დეპოლიტიზება და მათი დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა.
2. მკაცრად უნდა განიზაზღვროს რა ძირითადი ფუნქციების შესრულება მოუწევს რეორგანიზაციის შედეგად აღმასრულებელ ხელისუფლებაში შექმნილ ამ ორ უწყებას (ე.ი. რა უნდა დაეცვათ, რისგან და რა საშუალებით) და ამის მიხედვით უნდა შეიქმნას თითოეულში შესაბამისი სტრუქტურები და ქვესტრუქტურები.
3. რეორგანიზაცია თავისთავად უნდა გულისხმობდეს ორ სისტემაში არსებულ სტრუქტურებს შორის კომპეტენციათა გამიჯვნას და ოპტიმიზაციას, იმდაგავარდ, რომ სამომავლოდ გამოირიცხოს რეორგანიზებულ უწყებათა ფუნქციებში პარალელიზმი და დუბლირება.
4. რეფორმამ მიზნად უნდა დაისახოს სახელმწიფო და საზოგადოებრივი უშიშროების, მართლწესრიგის, დანაშაულის პრევენციის, გახსნისა და გამოძიების ეფექტურობის მნიშვნელოვნად ამაღლება.
5. ფუნქციების განსაზღვრას და მათ ორ უწყებაში გადანაწილების გადაწყვეტილების მიღებისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს სახელმწიფოს წინაშე მდგარი მუდმივი ეროვნული ინტერესები, გარე და შიდა საფრთხეები, გეოპოლიტიკური და გეოსტრატეგიული ფაქტორები, ქვეყნის შიგნით არსებული კოფლიქტები და განდგომილი რეგიონები.
6. უნდა მომზადდეს ახალი საკანონმდებლო ბაზა, კერძოდ ცვლილებები:
 - ა) კანონში „პოლიციის შესახებ“;
 - ბ) კანონში „საზოგადოებრივი უსაფრთხოების სამსახურის შესახებ“;
 - გ) კანონში „კონტრაზვერვითი საქმიანობის შესახებ“;
 - დ) „სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში“;
 - ე) კანონში „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“;
 - ვ) დებულებებში ახლად შემნილი უწყებებისათვის, მათში შემავალი სტრუქტურებისათვის, ქვესტრუქტურებისათვის უფლებამოსილების და შიდა რეგულაციების განსაზღვრის მიზნით.
7. შიდა და გარე საფრთხეების აღსაკვეთად წინადადებების, რეკომენდაციებისა და სტრატეგიული გადაწყვეტილებების შესამუშავებლად შინაგან საქმეთა და უშიშროების სამსახურებში უნდა შეიქმნას შესაბამისი პროფილით სპეციალიზებული სამეცნიერო-კვლევითი ცენტრები.
8. კანონით დადგენილი წესით ორივე უწყებაზე უნდა განხორციელდეს როგორც საპარლამენტო, საპროკურორო და სასამართლო, ისე საერთაშორისო პრაქტიკით დამკვიდრებული გარე საზოგადოებრივი კონტროლი.

გარე კონტროლის მექანიზმები

სხვადასხვა სახელმწიფოთა მიდგომები გარე კონტროლთან დაკავშირებითაც არაერთგვაროვანია. ვფიქრობთ საყურადღებოა ყველაზე მაღალი კომპეტენციის მქონე აშშ-ს ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოს მიმართ გამოყენებული გარე კონტროლის სისტემა აშშ-ს პრეზიდენტთან, რომლის დაქვემდებარებაშიცაა ეს უწყება, შექმნილია დაზვერვის სახელმძღვანელო საბჭო (მრჩეველთა საბჭო). საბჭოს წევრებს ნიშნავს პრეზიდენტი, რომლებიც ანგარიშვალდებულები არიან მხოლოდ მის წინაშე. თვითონ საბჭო თავის საქმიანობას ახორციელებს საბჭოში მოწვეული მაღალი კომპეტენციის, შეუბღალავი რეპუტაციის, გამოცდილი, კვალიფიციური პერსონალის მეშვეობით. მათი საქმიანობის წესი, მოქმედების ფარგლები, საიდუმლოების დაცვის რეჟიმი და სხვა ორგანიზაციულ-სამართლებრივი რეგულაციების საკითხები მოწესრიგებულია პრეზიდენტის სპეციალური ნორმატიული აქტით. კონტროლის ასეთი წესი დამკვიდრებულია კანადაშიც. სავსებით შესაძლებელია ახლად შექმნილი უწყებების: შინაგან საქმეთა და უშიშროების სამსახურების გარეკონტროლის მიზნით პრემიერ-მინისტრთან შეიქმნას მსგავსი საბჭო.

გენერალური ინსპექცია

რაც შეეხება სამართალდამცავ უწყებებში არსებულ გენერალურ ინსპექციებს, ისინი დღეისთვის უწყებრივი შიდა კონტროლის ძირითადი სამსახურებია. სამწუხაროდ მათ მიმართ ნდობის ხარისხი არასასურველია და კრიტიკის ობიექტს წარმოადგენს.

უნდა აღინიშნოს, რომ მოსაზრებები არსებული გენერალური ინსპექციების მაგივრად ცალკე დამოუკიდებელი საგამოძიებო სამსახურის შექმნის შესახებ, რომელიც გამოიძიებს სამართალდამცავი სტრუქტურების თანამშრომელთა მიერ ჩადენილ დანაშაულს, ანგარიშგასაწევია და სერიოზული განხილვის საგანი უნდა გახდეს.

მიგვაჩნია, შესაძლებლად პრემიერ-მინისტრის დაქვემდებარებაში ამ ტიპის დამოუკიდებელი სამსახურის შექმნა, რომელსაც პროცესუალურ ხელმძღვანელობას და კონტროლს გაუწევს მთავარი პროკურატურა. მსგავსი სამსახურები გარკვეული სპეციფიკით არსებობენ, როგორც ევროპულ, ისე ანგლო-ამერიკულ სამართლის სისტემის ქვეყნებში.

გასათვალისწინებელია, რომ ასეთი სამსახურისთვის სამართალდამცავ უწყებების გენერალურ ინსპექციებში დასაქმებულთა გაცილებით ნაკლები რესურსი იქნება საჭირო. ამასთან აუცილებელია ორივე უწყების ხელმძღვანელს შიდა კონტროლის განხორციელების მიზნით, გააჩნდეს დისციპლინარული დევნის და მონიტორინგის სამსახური.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ძირითადი ფუნქციები

შინაგან საქმეთა სამინისტროს ძირითად ამოცანად უნდა განესაზღვროს საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვა, მისი კომპეტენციის ფარგლებში დანაშაულის თავიდან აცილება, გახსნა და გამოძიება. შინაგან საქმეთა სამინისტრო უნდა ჩამოყალიბდეს სამოქალაქო და პოლიციური ფუნქციების მქონე უწყებად, რომელსაც ხელმძღვანელებს მინისტრი. მინისტრი გასაზღვრავს სამინისტროსა და მასში შემავალი დანაყოფების ძირითად სტრატეგიას, უზრუნველყოფს შიდა სტრუქტურული ერთეულების კოორდინირებულ მუშაობას ქვეყნის სამართალდამცავ და სპეციალურ სამსახურებთან, ასევე საერთაშორისო თანამშრომლობას. სტრუქტურის მიმართ ჩვენი ხედვა ასეთია:

I. მინისტრის სამოქალაქო ოფისი და უზრუნველყოფის სამსახურები;

II. პოლიციური სტრუქტურები:

ა) საზოგადოებრივი უსაფრთხოების, წესრიგის დაცვისა და დანაშაულის პრევენციის სამსახურები; რომელთა მართვა რეგიონებში განხორციელდება ორმაგი დაქვემდებარების პრინციპით, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და ადგილობრივი მუნიციპალიტეტების მეშვეობით, რაც დაფინანსებაშიც აისახება.

ბ) დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის, გახსნისა და გამოძიების ოპერატიული სამსახურები შესაბამისი ოპერატიულ-ტექნიკური და სპეციალური უზრუნველყოფის სამსახურებით;

ამ სამსახურების შექმნა და დაქვემდებარება ყველა დონეზე ცენტრალიზებულია.

უშიშროების სამსახურის ძირითადი ფუნქციები:

სახელმწიფო და საზოგადოებრივი უშიშროების უზრუნველსაყოფად, ახლად ჩამოყალიბებულმა უწყებამ, რომლის მისია და პასუხისმგებლობა განსაკუთრებულია, უნდა განახორციელოს შემდეგი ძირითადი ფუნქციები შესაბამისი სტრუქტურებით:

1. ინფორმაციის, ანალიზისა და მართვის;
2. კონტრდაზვერვის;
3. კონსტიტუციური წყობილების დაცვის;
4. ანტიტერორისტული;
5. საჯარო მოხელეთა კორუფციასთან ბრძოლის;
6. საერთაშორისო ორგანიზებულ დანაშაულთან და ნარკობიზნესთან ბრძოლის;
7. გამოძიების.

რა თქმა უნდა, შესაბამისი უზრუნველყოფის სამსახურებით და სპეციალური დანაყოფებით. კორუფციასთან ბრძოლის სამომავლო პოლიტიკა

ჩვენს მიერ ჩამოთვლილი ძირითადი სამსახურებიდან გარკვეული აზრთა სხვაობა შეიძლება გამოიწვიოს კორუფციასთან ბრძოლის სამსახურის ადგილის განსაზღვრამ. მიგვაჩნია, რომ ასეთი სამსახური სწორედ სახელმწიფო უშიშროების ფუნქციის შემადგენელი ნაწილი უნდა იყოს შემდეგ გარემოებათა გათვალისწინებით: სახელმწიფო უშიშროების ახლად შექმნილ სამსახურს „პრეტენზია“ უნდა ჰქონდეს მაღალი საფრთხის შემცველ მოვლენებზე ქვეყნის უმაღლესი პოლიტიკური ხელმძღვანელობის უზრუნველყოფა სარწმუნო, გადამოწმებული, უტყუარი ინფორმაციით. სწორედ ასეთად მოიაზრება კორუფცია. არ უნდა გამოგვრჩეს მხედველობიდან ის გარემოებაც, რომ თავის დროზე შევარდნაძის ხელისუფლების უუნარობამ კორუფციასთან ბრძოლის თვალსაზრისით, „ვარდების ხელისუფლება“ მოიყვანა და დღესაც დასავლეთი ჩვენი ქვეყნის იმიჯს და ხელისუფლების რეიტინგს პირდაპირ უკავშირებს კორუფციასთან ბრძოლის მდგომარეობას.

გამოძიების პრობლემები

იმის გათვალისწინებით, რომ ორივე უწყებას დანაშაულის გახსნისა და გამოძიების ფუნქცია უნარჩუნდებათ, ცალკე გვინდა შევხერდეთ გამოძიებისა და გამოძიებლის ინსტიტუტის შესახებ, რომელიც საგალალო მდგომარეობაში აღმოჩნდა „ნაცმოძრაობის“ მიერ გატარებული „რეფორმის“ შემდეგ:

ვფიქრობთ თავის დროზე კანონმდებელმა ხელოვნურად გააუფასურა გამოძიებლის ინსტიტუტი, იგი საქმეზე პრაქტიკულად არავითარ გადაწყვეტილებას არღებულობს და პროკურორის ტექნიკური თანაშემწის როლში გვევლინება. გამოძიებელს არ გააჩნია რა არავითარი უფლებამოსილება არც რაიმე პასუხისმგებლობას გრძნობს გამოძიებული საქმის მიმართ. სინამდვილეში კი გამოძიებელი თავის თავს პროკურორის „ოპონენტად“ უნდა თვლიდეს. აქ მაშინდელი კანონმდებლის მიზანი იყო, მხოლოდ ერთი, პროკურორს დაუბრკოლებლად, ყოველგვარი შიდა წინააღმდეგობის გარეშე უნდა განეხორციელებინა სისხლისსამართლებრივი დევნა მისთვის სასურველი შედეგების დადგომის მიზნით. აქ აშკარად სცოდავს მოქმედი სისხლისსამართლის საპროცესო კოდექსი.

უფრო რთულადაა საქმე გამოძიებლის ორგანიზაციული და პროცესუალური დამოუკიდებლობის თვალსაზრისით და სამწუხაროდ იგი დღესაც გრძელდება. შსს-ს გამოძიებლები ოპერატიულ-სამძებრო სამსახურების უშუალო დაქვემდებარებაში იმყოფებიან და მათი ნება-სურვილის შემსრულებლად გვევლინებიან. საკმარისია აღინიშნოს, რომ გამოძიების საქმიანობის ორგანიზაციული და მეთოდური ხელმძღვანელობის მიზნით დღემდე შსს-ს ცენტრალური აპარატში არავითარი სტრუქტურა არ არსებობს. რა თქმა უნდა, ყველაფერი. ეს უარყოფითად აისახება გამოძიების ხარისხზე და სასამართლოში გამოტანილ განაჩენებზე.

გამოძიებასთან დაკავშირებით გვაქვს წინადადებები:

1. უნდა განისაზღვროს გამოძიებლის სტატუსი სისხლის სამართალწარმოებაში და იგი მსოფლიოში დღეს აღიარებულ რომელიმე მოდელში უნდა ჩაჯდეს.
2. უნდა გადაიხედოს და შეფასდეს რამდენად გაამართლა გამოძიების დეცენტრალიზაციამ, (სსსკ-ის 34-ე მუხლის თანახმად 6 უწყებაშია გადანაწილებული) ხომ არ შეიქმნა პირობები ერთიანი საგამოძიებო სამსახურის შექმნის მსჯელობისათვის.

უშიშროება და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური

განსჯისათვის მოგახსენებთ ჩვენს მოსაზრებას სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურთან დაკავშირებით. იგი დღეს ცალკე დამოუკიდებელი უწყების სახით ფუნქციონირებს აღმასრულებელ ხელისუფლებაში. მის ძირითად ამოცანას და აქედან გამომდინარე უმნიშვნელოვანეს ფუნქციას წარმოადგენს სახელმწიფო პოლიტიკური თანამდებობების პირების და მათი ოჯახების პირადი უსაფრთხოება და ასევე, განსაკუთრებული მნიშვნელობის სახელმწიფო ობიექტების დაცვა. საფრთხეები, რომელიც მათ მიერ უნდა იქნეს აცილებული, დაკავშირებულია ძირითადად სახელმწიფო დანაშაულობებთან და ტერორიზმთან. გასათვალისწინებელია, რომ ამავე დროს, ამ კატეგორიის დანაშაულობათა პრევენცია, გახსნა და გამოძიება უშიშროების სამსახურების ძირითად საზრუნავს წარმოადგენს. ყოველივე ამის გათვალისწინებით, ამ ორი სამსახურის ცალ-ცალკე ფუნქციონირების შემთხვევაში არ უნდა გამოვრიცხოთ პარალელიზმისა და დუბლირების საფრთხე.

ამასთან სამართლიანობა მოითხოვს და უნდა აღინიშნოს, რომ თავის დროზე სდსს-ს ცალკე გამოყოფა სწორი პოლიტიკური ნაბიჯი იყო სხვადასხვა გარემოებათა გათვალისწინებით. დღეს ის თანამედროვე ოპერატიული ტექნიკითა და კვალიფიცი-

ური საკადრო რესურსის მქონე სამსახურს წარმოადგენს.

ასეთ ვითარებაში ვფიქრობთ, არ არის აზრს მოკლებული ვიმსჯელოთ ამ ორი სამსახურის სამომავლო ურთიერთდამოკიდებულების შესახებ. მით უმეტეს სდსს-ს განკარგულებაშია მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ოპერატიულ-ტექნიკური საშუალებები შესაბამისი სპეციალისტებით, რომელთა დაუბრკოლებლად გამოყენება შეიძლება სახელმწიფო უშიშროების სამსახურში, რაც ყველაფერთან ერთად დიდი ფინანსური ეფექტის მომცემი იქნება.

უშიშროება თუ უსაფრთხოება

საჭიროდ მივიჩნით კიდევ ერთი პრობლემის შესახებ მოგვეხსენებინა. არაერთგვაროვანი დამოკიდებულებაა ტერმინებთან „უშიშროება“ და „უსაფრთხოება“, უფრო მეტიც სრული აღრევაა მათი შინაარსობრივი დატვირთვის თვალსაზრისით. საკმარისია აღინიშნოს, რომ დღეს მოქმედებს 2004 წელს მიღებული კანონები: „საზოგადოებრივი უსაფრთხოების სამსახურის შესახებ“, „ეროვნული უშიშროების საბჭოს შესახებ“, 2011 წელს ეროვნული უშიშროების საბჭოს მიერ მომზადებული და პარლამენტის მიერ დამტკიცებული „ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია“ და ა.შ. მიგვაჩნია რომ ამ ორ ტერმინს შინაარსობრივად სხვადასხვა დატვირთვა აქვს და მისი ლინგვისტური და პოლიტიკურ-სამართლებრივი მნიშვნელობის გათვალისწინებით ტერმინი „უშიშროება“ გამოყენებულ უნდა იქნეს შესაბამის კონტექსტში, კერძოდ „სახელმწიფო უშიშროება“, „სამხედრო უშიშროება“, „საზოგადოებრივი უშიშროება“, „მოქალაქეთა პირადი უშიშროება“, ამასთან, როგორც წესი, ასეთის დარღვევის შემთხვევაში ძალადობრივ ქმედებებთან გვაქვს საქმე, რაც სისხლის სამართლის დანაშაულებთანაა დაკავშირებული

რაც შეეხება ტერმინს „უსაფრთხოება“, იგი უნდა იქნეს გამოყენებული, როცა საფრთხის წყაროს წარმოადგენს მაგალითად საწარმოო, ტექნიკური და ბუნებრივ-ეკოლოგიური წარმოშობის მოვლენები და სხვა.

ექსპერტთა ჯგუფის სახელით:

ჯგუფის ხელმძღვანელი,

თადარიგის გენერალ-ლეიტენანტი,

სამართლისა და პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი,

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, **ჯემალ გახოკიძე**

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის კრიმინოლოგიის

ინსტიტუტის დირექტორი, დანაშაულობის კვლევისა და პროგნოზირების

ცენტრის ხელმძღვანელი, სამართლის დოქტორი, პროფესორი

მალხაზ ბაბაძე

17 აპრილი 2015 წელი

ჩვენი მილოცვები

2014 წლის 25 სექტემბერს წმინდა გიორგი ჭყონდიდელის ხსენების დღეს დაფუძნდა წმინდა გიორგი ჭყონდიდელის სახელობის აკადემია, რომლის მიზნები და საქმიანობაა ხელი შეუწყოს:

- სრულიად საქართველოს ერთიანობის იდეის განვითარებას და ერის ერთსულოვნების განმტკიცებას;
- წმინდანების - დავით აღმაშენებლისა და გიორგი ჭყონდიდელის ეპოქის კვლევას და საზოგადოების ინფორმირებას;
- ქართული - ეროვნული ცნობიერებისა და თვითმყოფადობის შენარჩუნება-განვითარებას, წარსულის შესწავლას და მომავლის რაციონალურ გააზრებას, გლობალიზაციის შეუქცევად პირობებში, ისტორიული მისიის გათვალისწინებით, საქართველოს მსოფლიოს თანამეგობრობაში ადგილის დამკვიდრებას;
- ქართული სახელმწიფოს და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიის, სამართლის, საქართველოს კონსტიტუციის, სახელმწიფოს მშენებლობის და მართვის საკითხების შესწავლა-გაანალიზებას;
- საზოგადოებაში სახელმწიფოებრივი აზროვნების დამკვიდრებას;
- ქვეყნის ხელისუფლების, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის და საზოგადოების, დედაქალაქისა და რეგიონების, საქართველოში მცხოვრები სხვადასხვა ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების, თაობების მჭიდრო დაკავშირება-განვითარებას;
- საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიას შორის კონსტიტუციური შეთანხმების შესრულებას;
- მარტვილის რაიონში კულტურულ-საგანმანათლებლო ინიციატივებს;

განახორციელოს:

- სამეცნიერო-კვლევითი-ანალიტიკური, პედაგოგიური, საგანმანათლებლო, აღმზრდელობითი, სახელოვნებო, სპორტული და კულტურული პროექტები;
- სამთავრობო, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით, ერთობლივი პროგრამები და პროექტები;
- სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციები, სიმპოზიუმები, სესიები, ლექცია-სემინარები, ღია გაკვეთილები, მრგვალი მაგიდები, დისკუსიები, გამოფენები, კონკურსები და გამოცემები, მათ შორის პერიოდული;
- მონაცემთა საინფორმაციო ბაზების შექმნა; სპეციალური სწავლებების ორგანიზება;
- ასევე სხვა სახის საქმიანობა რომელიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას.

აკადემია დააფუძნეს:

- ჭყონდიდელმა **მიტროპოლიტმა მეუფე პეტრე-ცაავამ**, რომელიც არჩეულია აკადემიის მწიგნობართა დარბაზის თავად.
- შურნალ **„კრიმინოლოგის“** მთავარი რედაქტორმა, სამართლის დოქტორმა, პროფესორმა, **მალხაზ ბაძაღვამ**, რომელიც არჩეულია აკადემიის რექტორად.

შურნალის სარედაქციო კოლეგია წმინდა გიორგი ჭყონდიდელის აკადემიას უსურვებს წარმატებებს დასახული მიზნების და ამოცანების განხორციელების საქმეში.

საქართველოს მთავრობის სახელმწიფო უსაფრთხოების და კრიზისების
მართვის საბჭოს მდივანს,

ბატონ დავით სუჯაშვილს

ბატონო დავით,

მაქვს პატივი მოგახსენოთ, რომ გრივოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის კრიმინოლოგიის სამეცნიერო -კვლევით ინსტიტუტი, დანაშაულობის კვლევისა და პროგნოზირების ცენტრი, სამეცნიერო-პრაქტიკულ ჟურნალ „კრიმინოლოგი“-ს სარედაქციო კოლეგია, მათში გაერთიანებული სხვადასხვა თაობის მეცნიერ-პრაქტიკოსი იურისტები გილოცავენ საქართველოს მთავრობის სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს მდივნის ქვეყნისათვის უმნიშვნელოვანეს საპასუხისმგებლო თანამდებობაზე დანიშვნას, გისურვებთ წარმატებას პირად ცხოვრებასა და სამსახურეობრივ საქმიანობაში.

ამასთანავე, მზადყოფნას გამოვთქვამთ ვითანამშრომლოთ სახელმწიფო უსაფრთხოების და კრიზისების მართვის საბჭოსთან, საქართველოს პრემიერ-მინისტრის ინიციატივით შექმნილ შინაგან საქმეთა სამინისტროს რეფორმირებისა და რეორგანიზაციის სამუშაო ჯგუფში. მით უფრო, რომ გაგვანია ამ მიმართულებით ქვეყნის „უშიშროებისა და სამართალდაცვის სისტემის ორგანოების ინსტიტუციური რეფორმის დროებითი საუწყებათაშორისო კომისიასთან“ თანამშრომლობის გამოცდილება.

ვიმედოვნებთ, რომ თქვენი პირადი დაინტერესებით და მხარდაჭერით, ქვეყანაში არსებული პოლიტიკური ნების გათვალისწინებით, თანამშრომლობა პერსპექტიული და საქმიანი იქნება.

პატივისცემით,

მალხაზ ბაძაღუა

ინსტიტუტისა და ცენტრის ხელმძღვანელი,

იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი,

პროფესორი

14 დეკემბერი 2014 წელი

2014 წლის 27 დეკემბერს ჩატარდა საქართველოს სამსახურეობრივ-გამოყენებითი სპორტის ფედერაციის საერთო საანგარიშო კრება.

კრებამ აირჩია გამგეობის განახლებული შემადგენლობა, ფედერაციის პრეზიდენტად კვლავ არჩეულია **მალხაზ ბაძაღუა**. საქართველოში სამსახურეობრივ-გამოყენებითი სპორტის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის ფედერაციის თანადამფუძნებლები და გამგეობის წევრები: – გრივოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი მამუკა თავხელიძე და საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსი, გენერალ-მაიორი **ვახტანგ კაპანაძე** დაჯილდოვდნენ წმინდა გიორგის სახელობის მედალიონებით.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს,

ბატონ ვახტანგ გომელაურს

ბატონო ვახტანგ,

მაქვს პატივი, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის კრიმინოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის, ა.ა.ი.პ. „დანაშაულობის კვლევის და პროგნოზირების ცენტრი“-ს, სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი „კრიმინოლოგი“-ს სარედაქციო კოლეგიის, მათში გაერთიანებული მეცნიერ-პრაქტიკოსი იურისტების სახელით მოგილოცოთ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის თანამდებობაზე დანიშვნა, გისურვოთ წარმატებები პირად ცხოვრებასა და სახელმწიფოებრივ მოღვაწეობაში.

ამასთანავე, ვსარგებლობთ შემთხვევით და მზადყოფნას გამოვხატავთ ქვეყანაში საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების უზრუნვესაყოფად, დანაშაულობის გამომწვევი მიზეზების, ხელისშემწყობი პირობების მეცნიერული კვლევის და სამინისტროს სისტემის რეფორმირებისა და რეორგანიზაციის საკითხებში თანამშრომლობაზე. ამ მიმართულებით გვაქვს რამოდენიმე ინოვაციური პროექტი.

ვიმედოვნებთ, რომ მეცნიერებისა და პრაქტიკოსების ერთობლივი ძალისხმევა დანაშაულობასთან ბრძოლაში იქნება ეფექტური და შედეგიანი.

პატივისცემით,

მალხაზ ბაძაღვა

ინსტიტუტის და ცენტრის ხელმძღვანელი,

სამართლის დოქტორი, პროფესორი

3 თებერვალი 2015 წელი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავჯდომარეს,
ქალბატონ ნინო გვენეტაძეს

ქალბატონო ნინო,

დანაშაულობის კვლევისა და პროგნოზირების ცენტრის, ჟურნალ „კრიმინოლოგი“-ს სარედაქციო კოლეგიის სახელით გულითადად გილოცავთ ქვეყნის უმაღლესი სასამართლოს თავჯდომარის თანამდებობაზე თქვენს არჩევას.

გისურვებთ წარმატებებს ქვეყანაში სამართლიანობის აღდგენის საქმეში მით უფრო, რომ თქვენ ბრძანდებით ქართული სამართლის სკოლის ერთ-ერთი გამორჩეული მეცნიერი და პრაქტიკოსი, ამასთანავე ჩვენი ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის წევრი.

ვიმედოვნებთ, რომ ქვეყანაში არსებული პოლიტიკური ნების გათვალისწინებით თქვენი პირადი გამოცდილების საფუძველზე სასამართლო ხელისუფლების თანამშრომლობა საზოგადოებასთან, აკადემიურ წრეებთან, არასამთავრობო სექტორთან პერსპექტიული და საქმიანი იქნება.

პატივისცემით,

ცენტრის ხელმძღვანელი, ჟურნალ „კრიმინოლოგი“-ს

მთავარი რედაქტორი ,

პროფესორი **მალხაზ ბაბაძე**

25 მარტი 2015 წელი

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრს,
პროფესორ მერაბ ტურავას

ბატონო მერაბ!

გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის კრიმინოლოგიის ინსტიტუტის, დანაშაულობის კვლევისა და პროგნოზირების ცენტრის, ჟურნალ „კრიმინოლოგი“-ს სარედაქციო კოლეგიის სახელით გულითადად გილოცავთ ქვეყნის საკონსტიტუციო სასამართლოს წევრად თქვენს არჩევას.

გისურვებთ წარმატებებს ქვეყანაში სამართლიანობის აღდგენის საქმეში მით უფრო, რომ თქვენ ბრძანდებით ქართული სამართლის სკოლის ერთ-ერთი გამორჩეული პედაგოგი, მეცნიერი და პრაქტიკოსი, ამასთანავე ჩვენი უნივერსიტეტის გამორჩეული პროფესორი.

ვიმედოვნებთ, რომ ქვეყანაში არსებული პოლიტიკური ნების გათვალისწინებით თქვენი პირადი გამოცდილების საფუძველზე საკონსტიტუციო სასამართლოს თანამშრომლობა საზოგადოებასთან, აკადემიურ წრეებთან, არასამთავრობო სექტორთან პერსპექტიული და საქმიანი იქნება.

პატივისცემით,

ინსტიტუტის ხელმძღვანელი, ჟურნალ „კრიმინოლოგი“-ს

მთავარი რედაქტორი ,

პროფესორი **მალხაზ ბაბაღუა**

24 აპრილი 2015 წელი

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს,

ბატონ გიორგი მღებრიშვილს

ბატონო გიორგი,

მაქვს პატივი, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის კრიმინოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის, ა.ა.ი.პ. „დანაშაულობის კვლევის და პროგნოზირების ცენტრი“-ს, სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი „კრიმინოლოგი“-ს სარედაქციო კოლეგიის, მათში გაერთიანებული მეცნიერ-პრაქტიკოსი იურისტების სახელით მოგილოცოთ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის თანამდებობაზე დანიშვნა, გისურვოთ წარმატებები პირად ცხოვრებასა და სახელმწიფოებრივ მოღვაწეობაში.

ამასთანავე, ვსარგებლობთ შემთხვევით და მზადყოფნას გამოვხატავთ ქვეყანაში საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნვესაყოფად, დანაშაულობის შესწავლის, მისი გამომწვევი მიზეზების, ხელისშემწყობი პირობების მეცნიერული კვლევისა და სამინისტროს სისტემის რეფორმირების საკითხებში თანამშრომლობაზე. ამ მიმართულებით გვაქვს რამოდენიმე ინოვაციური პროექტი.

ვიმედოვნებთ, რომ მეცნიერებისა და პრაქტიკოსების ერთობლივი ძალისხმევა დანაშაულობასთან ბრძოლაში იქნება ეფექტური და შედეგიანი.

პატივისცემით,

მალხაზ ბაძაღუა

ინსტიტუტის და ცენტრის ხელმძღვანელი,

სამართლის დოქტორი, პროფესორი

7 აგვისტო 2015 წელი

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსს,
ბატონ, ვახტანგ გომელაურს

ბატონო ვახტანგ,

მაქვს პატივი, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის კრიმინოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის, ა.ა.ი.პ. „დანაშაულობის კვლევის და პროგნოზირების ცენტრი“-ს, სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი „კრიმინოლოგი“-ს სარედაქციო კოლეგიის, მათში გაერთიანებული მეცნიერ-პრაქტიკოსი იურისტების სახელით მოგილოცოთ საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის თანამდებობაზე დანიშვნა, გისურვოთ წარმატებები პირად ცხოვრებასა და სახელმწიფოებრივ მოღვაწეობაში.

ამასთანავე, ვსარგებლობთ შემთხვევით და მზადყოფნას გამოვხატავთ ქვეყანაში სახელმწიფო უსაფრთხოების უზრუნვესაყოფად, დანაშაულობის შესწავლის, მისი გამომწვევი მიზეზების, ხელისშემწყობი პირობების მეცნიერული კვლევისა და სამსახურის რეფორმირების საკითხებში თანამშრომლობაზე. ამ მიმართულებით გვაქვს რამოდენიმე ინოვაციური პროექტი.

ვიმედოვნებთ, რომ მეცნიერებისა და პრაქტიკოსების ერთობლივი ძალისხმევა სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულობასთან ბრძოლაში იქნება ეფექტური და შედეგიანი.

პატივისცემით,

მალხაზ ბაძაღუა

ინსტიტუტის და ცენტრის ხელმძღვანელი,

სამართლის დოქტორი, პროფესორი

7 აგვისტო 2015 წელი

2015 წელს დანაშაულობის კვლევისა და პროგნოზირების ცენტრის მიერ საქართველოს დაზვერვის სამსახურის მხარდაჭერით გამოიცა თადარიგის პოლკოვნიკ **გაიოზ ჩუბინიძის** წიგნი **“ქართველი მზვერავები საიდუმლო მისიით”**. მასში მოთხრობილია დაზვერვის სისტემაში მისი მრავალწლიანი მოღვაწეობის დროს რეალურ მომხდარ ფაქტებზე, მოვლენებზე, სადაზვერვო ოპერაციებზე, რომელიც საბჭოთა პერიოდში მეორე მსოფლიო ომსა და შემდგომ პერიოდში განახორციელეს ქართველმა მზვერავებმა.

ქართველი მკითხველი განებივრებული არ გახლავთ დაზვერვასთან დაკავშირებული მხატვრული ლიტერატურით. წიგნი ქართულ სინამდვილეში ერთ – ერთი პირველი სერიოზული ცდაა ამ მიმართულებით.

წიგნის რედაქტორებია: თადარიგის გენერალ – მაიორი **ანზორ მაისურაძე**, საქართველოს უშიშროების ყოფილი მინისტრი და დანაშაულობის კვლევისა და პროგნოზირების ცენტრის ხელმძღვანელი, ჟურნალ **“კრიმინოლოგის”** მთავარი რედაქტორი, პროფესორი **მალხაზ ბაძაღუა**.

ჟურნალ **“კრიმინოლოგის”** სარედაქციო კოლეგია წიგნის ავტორს უსურვებს პირველ რიგში ჯანმრთელობას და მკითხველის მოწონებას.

გამოსათხოვარი

ანზორ გაბიანი

ქვეყნის სამეცნიერო-პედაგოგიურმა საზოგადოებამ უდიდესი დანაკლისი განიცადა, შეწყდა ღირსეული მამულიშვილის, გამოჩენილი მეცნიერისა და პედაგოგის კრიმინოლოგიის ეროვნული სკოლის ერთ-ერთი ფუძემდებლის, უურნალ „კრიმინოლოგის“ სარედაქციო კოლეგიის წევრის, საქართველოს მეცნიერებათა დამსახურებული მოღვაწის, სოციოლოგიისა და სამართლის დოქტორის, პროფესორ **ანზორ გაბიანის** სიცოცხლე.

პროფესორი **ანზორ გაბიანი** წლების განმავლობაში იყო დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის პრობლემათა სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის უფროსი, რომელიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციოლოგიის კათედრასთან 1974 წელს მისი ინიციატივითა და ხელმძღვანელობით შეიქმნა. ამ ცენტრის წარმატების საფუძველზე საქართველოს ხელისუფლების მიერ გადაეცა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, ხოლო უფრო მოგვიანებით საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებაში. დისლოკაციისა და საკვლევი პრობლემატიკის შეცვლის გარეშე და მის კავკასიის განყოფილებად იქცა, ხოლო **ანზორ გაბიანს** პოლიციის პოლკოვნიკის სპეციალური წოდება მიენიჭა.

გასული საუკუნის 70-იანი წლების მეორე ნახევარში იგი, როგორც გამოჩენილი მეცნიერ-სოციოლოგი, არჩეულ იქნა საბჭოთა სოციოლოგიური ასოციაციის პლენუმზე ცენტრალური სარევიზიო კომისიის თავჯდომარედ, სადაც იმუშავა უწყვეტლევ სსრ კავშირის დაშლამდე. ანზორ გაბიანი პარალელურად, დაახლოებით 40 წლის მანძილზე იყო ჯერ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციოლოგიის კათედრის გამგის მოადგილე, ხოლო შემდეგ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სისხლის სამართლისა და კრიმინოლოგიის კათედრის პროფესორი. იგი დაჯილდოვებულია „ღირსების ორდენით“.

ხანგრძლივი სამეცნიერო-კვლევითი და პედაგოგიური მუშაობის მანძილზე პროფესორი **ანზორ გაბიანი** ჩამოყალიბდა როგორც კრიმინოლოგიისა და ნორმიდან გადახრილი ქცევის სოციოლოგიის გამოჩენილი მეცნიერი ემპირიკოსი, რომლის ინიციატივითა და ხელმძღვანელობით, აგრეთვე პირადი მონაწილეობით ჩატარდა მრავალი მსხვილმასშტაბიანი სოციოლოგიური და კრიმინოლოგიური გამოკვლევა საქართველოში და მის ფარგლებს გარეთაც, რომელთა საერთო რაოდენობამ ექვს ათეულს გადააჭარბა და მის ავტორს ფართო აღიარება მოუტანა, რომელთა შორისაც აღსანიშნავია მაგალითად, ნარკოტიკების, დამნაშავეობის გეოგრაფიის და რიგი სხვა ორიგინალური გამოკვლევებისა. მათ დღემდე ანალოგი არ გააჩნია, ყოველ შემთხვევაში, პოსტსაბჭოთა სივრცეში.

2012 წლის დასაწყისში გამოაქვეყნდა მისი საკმაოდ მოზრდილი წიგნი „**ნარკოტიკული ქვესკნელი და მისი ბინადრები**“. საკმაოდ გრძელი და რთული ცხოვრების გზაზე მან გამოქავეყნა ორასამდე სამეცნიერო, სამეცნიერო-პოპულარული და პუბლიცისტური ნაშრომი, მათ შორის ცამეტი მონოგრაფია.

პროფესორი **ანზორ გაბიანი** ღირსეულ ადგილს დაიკავებს ქვეყნის სამეცნიერო-პედაგოგიურ, სოციოლოგიისა და კრიმინოლოგიური საზოგადოების ისტორიაში. მისი ღვაწლი ქვეყნის წინაშე ფასდაუდებელია.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს ბატონ **ანზორ გაბიანის** სული.

სერგო რიგვავა

გარდაიცვალა გამოჩენილი მამულიშვილი, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე **სერგო რიგვავა**.

ბატონი სერგო წლების განმავლობაში საქმიანობდა საქართველოში კომკავშირულ და პარტიულ ხელმძღვანელ თანამდებობებზე.

70-იანი წლების დასაწყისში იგი არჩეული იყო ქ.თბილისის კალინინის რაიონული საბჭოს აღმასკომის თავჯდომარედ შემდგომ ამავე რაიონის პარტიის რაიკომის პირველ მდივნად. 1972 წლიდან პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივნად იდეოლოგიის დარგში, შემდეგ – მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავჯდომარის პირველ მოადგილედ. საიდანაც იგი დააწინაურეს საქართველოს სსრ პროფესიულ – ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავჯდომარედ, სადაც რვა წელიწადი იმუშავა და სისტემის მუშაკთა დიდი სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა. გამოავლინა უზადო ორგანიზატორული ნიჭი და ნოვატორული უნარი, მისი ხელმძღვანელობით პროფესიულ – ტექნიკური განათლების მატერიალურ – ტექნიკური ბაზა გამდიდრდა, აღიჭურვა დროის შესაბამისად და მრავალ წარმატებას მიაღწია.

ბატონი სერგო რიგვავა 1986 წლიდან საქართველოს მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველად მუშაობდა.

სადაც არ უნდა ემუშავა, გამოირჩეოდა განსაკუთრებული გულისხმიერებითა და მოკრძალებით, რითაც ქართული ინტელიგენციის პატივისცემა დაიმსახურა. დაჯილდოებული იყო ოქტომბრის რევოლუციის, შრომის წითელი დროშის “საპატიო ნიშნის” ორდენებით. იყო საქართველოს უმაღლესი საბჭოს 7 მოწვევის დეპუტატი, მრავალგზის იყო არჩეული საქართველოს კომპარტიის ყრილობის დელეგატად და კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრად.

ბატონი სერგო, წლების განმავლობაში აქტიურად თანამშრომლობდა დანაშაულობის კვლევისა და პროგნოზირების ცენტრთან. განსაკუთრებულად აღსანიშნავია მისი მონაწილეობა ცენტრის მიერ განხორციელებულ “ანტიკორუფციული მოძრაობის” პროექტში.

სამშობლოსა და ოჯახზე უზომოდ შეყვარებული, ერისა და ქვეყნის წინაშე ვალდობდილი კაცი, ზეციურ სასუფეველში მიუვიდა თავის სათაყვანებელ ქალიშვილს რუსუდანს, რომლის ნაადრევად გარდაცვალებამაც, სიცოცხლე გაუნახევრა.

საქართველოს შსს 2012 – 2014 წლებში, 2015 წლის იანვარ – ივნისის თვეებში

რეგისტრირებული დანაშაულის სტატისტიკა

(მეთოდოლოგია, ყოველთვიური დინამიკა, ტენდენციები)

საქართველოში 2013 წლიდან სრულყოფილად ფუნქციონირება დაიწყო სისხლის სამართლის დანაშაულის აღრიცხვის ერთიანმა სტატისტიკურმა მოდულმა, რომლის მეშვეობით ცენტრალიზებული მონაცემების საფუძველზე ხორციელდება გამოვლენილი დანაშაულის სააღრიცხვო-საანგარიშო ფორმების გენერაცია.

ამასთან, თვისობრივად თავიდან გადაიშავედა მეთოდოლოგია და გაანგარიშების ძირითადი პრინციპები.

რეგისტრირებული დანაშაული - აღსარიცხი ერთეული: დანაშაული/სსკ-ის მუხლი - აღირიცხება დანაშაულთა საერთო რაოდენობა, რომლებზეც დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის მუხლების მიხედვით და შევიდა ცვლილებები საანგარიშო პერიოდში, გამოძიების დაწყებიდან შემდგომი განვითარების მიხედვით.

რადგანაც სისხლის სამართლის საქმე გამოძიების დაწყებიდან საქმის საბოლოო დასრულებამდე განიცდის სხვადასხვა პროცესუალურ ცვლილებებს, ამიტომ მეტი თვალსაჩინოებისა და რეალურ მონაცემთა გადმოცემის მიზნით, დეტალურად ხდება სისხლის სამართლის საქმის ყველა სტატუსის აღრიცხვა და პროგრამულ უზრუნველყოფაში გათვალისწინება, რაც აისახება ახალ კონსოლიდირებულ სტატისტიკურ ფორმაში.

ნებისმიერი ისეთი საფუძველით შეწყვეტილი სისხლის სამართლის საქმე, რომელიც დანაშაულს არ გამოირიცხავს (პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილება, განრიდება, მედიაცია, ქმედითი მონანიება, ბრალის არარსებობა...), მიმდინარე კონსოლიდირებული სტატისტიკური ანგარიშისათვის უკვე წარმოადგენს სააღრიცხვო ობიექტს.

გარემოება, რომელიც წარმოადგენს დათვლის ახალი მეთოდოლოგიის უპირატესობას - როდესაც საქმის გამოძიების პროცესში გამოვლინდება სხვა დანაშაული, რომელზეც არ მოხდება ცალკე გამოძიების დაწყება და არსებულ სისხლის სამართლის საქმეში იქნება გახსნილი (დაიწყება დევნა), ელექტრონული სისტემისთვის უკვე წარმოადგენს სააღრიცხვო ობიექტს შესაბამისი სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული მუხლის მიხედვით და როგორც რეგისტრირებული დანაშაული ფაქტი აისახება სტატისტიკურ ფორმაში.

ყოველთვიური სტატისტიკა ასახავს კონკრეტული თვის საანგარიშო პერიოდში რეგისტრირებულ დანაშაულს, კუმულატიური სტატისტიკა წარმოადგენს კონკრეტული პერიოდის (2 თვის, 3 თვის და ა.შ.) ბოლოსთვის არსებული რეგისტრირებული დანაშაულის მონაცემებს.

კუმულატიური სტატისტიკის დათვლა-დაანგარიშება არ შეიძლება ცალკეული თვეების მონაცემთა არითმეტიკული დაჯამების სახით, ვინაიდან, სტატისტიკის რთული ბუნებიდან გამომდინარე, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით განსაზღვრული შესაბამისი პროცედურების გათვალისწინებით, მიმდინარე თვეში რეგისტრირებული დანაშაული მომდევნო თვეებში შესაძლებელია გადაკვალიფიცირდეს სხვა დანაშაულზე, შეწყდეს, ერთი რაიონული საგამოძიებო დანაყოფის მიერ დაწყებული სისხლის სამართლის საქმე გადაეცეს სხვა რაიონულ საგამოძიებო დანაყოფს და ა.შ., რაც აისახება მომდევნო თვეების სტატისტიკურ ანგარიშში, ხოლო მიმდინარე

თვის სტატისტიკა რჩება უცვლელად.

2012 წლამდე დანაშაულის რეგისტრაცია ხორციელდებოდა დანაშაულის აღრიცხვის ბარათების მეშვეობით, ხოლო 2012 წლიდან სატესტო რეჟიმში ამოქმედდა იუსტიციის სამინისტროსთან კოორდინირებით შექმნილი ერთიანი ელექტრონული სისხლის სამართალწარმოების სტატისტიკური მოდული, რომელიც დღეისათვის უკვე სრულფასოვნად ფუნქციონირებს. მისი მეშვეობით ხდება რეგისტრირებული დანაშაულის დათვლა/გაანგარიშება მთელი საქართველოს მასშტაბით.

სტატისტიკური მონაცემები თან ერთვის:

**საქართველოს შსს საინფორმაციო – ანალიტიკური
დეპარტამენტის საინფორმაციო ცენტრი**

